პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეშვიდე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა
და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (უოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან ღამის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—58
) ღამის მორიგეს 18—80.

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 34, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთათვის, გლეხების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები: საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- გაიხსნა უკრაინის ცაკის სესია.
- სალფორდში გაიხსნა ინგლისის კომპარტიის მეათე ყრილობა.
- ალეპოში დასრულდა სირიის აჯანყებულთა პროცესი.
- იტალიის წინააღმდეგ აჯანყდნენ კირენაიკის (სამხრეთ აფრიკა) მცხოვრებნი.
- ამერიკაში გაფიცვა გამოაცხადა 100 ათასმა მემაღაროემ.
- საკოსა და ვანცეტის ხსოვნის აღსანიშნავათ პარიზში ეწყობა დემონსტრაცია.

სამშაბათი, 11 ოქტომბერი 1927 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 230 (1975)

სამი „ბრალდება“

I. თუმცა საფრანგეთის მთავრობის ნოტა საბჭოთა მთავრობისადმი, სადაც ოფიციალურად მოთხოვნილია ამხ. რაკოვსკის გაწვევა, ჯერ არ არის გამოქვეყნებული, მაგრამ მის შინაარსს დღეს გადმოგვცემს პარიზიდან მიღებული დეპეშა. ამ ცნობის თანახმად, ამხ. რაკოვსკის გაწვევის მოთხოვნის „დასასაბუთებლად“ საფრანგეთის მთავრობას სამი მოტივი მოჰყავს.

პირველ მოტივად დასახელებულია ამხ. რაკოვსკის ხელის მოწერა ოპოზიციის დეკლარაციაზე. ამ დეკლარაციაში ნათქვამია: კაპიტალისტური არმიის თვითეული ჯარისკაცი საბჭოთა კავშირთან იმპერიალისტურ ქვეყნების ომის დროს რევოლიუციონურ ჯარის მხარეზე უნდა გადმოვიდესო. ესაა ჩვეულებრივი კომუნისტური შეხედულება და რომ ამხ. რაკოვსკი ასეთ თვალსაზრისს სდგა, ეს, ცხადია, უცხო არ იყო საფრანგეთის მთავრობისათვის, როცა უკანასკნელი თანხმდებოდა ამხ. რაკოვსკის დანიშვნაზე ელჩად საფრანგეთში. ამის შემდეგაც ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, როცა ამხ. რაკოვსკი ასრულებს ელჩის მოვალეობას, ზევით ხსენებული არგუმენტაცია მის წინააღმდეგ ბოლო დრომდე არ წამოუყენებიათ.

არსებითად რომ ვილაპარაკოთ, ხსენებული მოტივი პირდაპირ აბირებულია. იგი უდრის იმის მოთხოვნას, რომ ამხ. რაკოვსკიმ გამოიცვალოს თავისი პოლიტიკური მრწამსი და იმპერიალისტურ პოზიციაზე დადგეს. იგი ნიშნავს იმის მოთხოვნას, რომ საბჭოთა მთავრობამ პარიზში ელჩად დანიშნოს არა კომუნისტი, ამასთან ისეთი პირი, რომელიც საერთოდ ომის, კერძოდ კი საბ. კავშირის წინააღმდეგ ომის მომხრე იქნება თავისი შეხედულებით.

რას იტყოდა რუსეთის მთავრობა, რომ მისთვის მსგავსი მოთხოვნები წაეყენებია, ე. ი. მოგვეთხოვა, რომ, მაგ., ერბეტტი რევოლიუციონერი გამხდარიყო, დაეცვა ის აზრი, რომ ომის შემთხვევაში იმპერიალისტური ჯარები რევოლიუციონურ არმიის მხარეზე უნდა გადავიდნენ, ან მოგვეთხოვა მოსკოვში ელჩად კომუნისტის დანიშვნა. ასეთი მოთხოვნა, აშკარაა, სისულელე იქნებოდა და მას საბ. მთავრობა, დაინტერესებული საფრანგეთთან ნორმალურ დამოკიდებულების დამყარებით, ვერ წამოაყენებდა.

ჩვენ არ უნდა დავივიწყოთ,—და ეს მთავარია,—რომ პარტიის შიგნით ამხ. რაკოვსკის მიერ გამოთქმულ აზრს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს მის მიერ თავის, როგორც საფრანგეთში საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლის, მოვალეობის ასრულებასთან, მიტომ, რომ ვერავინ დაამტკიცებს, რომ ამხ. რაკოვსკი ერეოდა საფრანგეთის შინაურ საქმეებში და იქ ეწეოდა რევოლიუციონურ პროპაგანდას; პირიქით. მისი დიპლომატიური მუშაობის დამახასიათებელი თვისება იყო სრული ჩაურევლობა საფრანგეთის შინაურ ცხოვრებაში და ლოიალობა საფრანგეთის მთავრობისადმი. ეს ფაქტი არა ერთხელ დაუდასტურებიათ თვით მთელ რიგ ფრანგ სახელმწიფო მოღვაწეებს.

ბოლოს, თვით საფრანგეთის მთავრობამ, ამხ. ჩიჩერინისა და რაკოვსკის განმარტებათა შემდეგ, „ინციდენტი“ ამოწურულად ჩასთვალა ჯერ კიდევ 4 სექტემბერს.

ყველაფერ ამის შემდეგ აშკარაა, რომ „პირველი მოტივი“ კრიტიკის მსუბუქ შეხებასაც ვერ უძლებს. მასთან დაკავშირებულია მეორე მოტივი: ამხ. რაკოვსკის განცხადება, რომ ხსენებულ ხელმოწერის გამო ბრიანის შეკითხვაზე ამხ. ჩიჩერინის პასუხით. მისთვის, ამხ. რაკოვსკისათვის საბჭოთა მთავრობას ურწმუნობა და გაკიცხვა სრულებით არ გამოუცხადებია. განა ეს განცხადება რაიმე საბუთად გამოდგება ამხ. რაკოვსკის გაწვევის მოთხოვნისათვის? ამხ. ჩიჩერინის პასუხი სავსებით გაიზიარა ამხ. რაკოვსკიმ და ამ მხრივ ჩვენს ელჩსა და საბჭოთა მთავრობას შორის არავითარი აზრთა სხვადასხვაობა არ არსებობს. ამხ. რაკოვსკი სულ მუდამ გადაუხვევლად ატარებდა თავის მთავრობის დირექტივებს საფრანგეთთან დამოკიდებულების საკითხში. ასე, რომ საფრანგეთის მთავრობის ხსენებული მოსაზრება დიდი გაუგებრობაა, მეტი რო არა ვსთქვათ.

ფრანგული რეაქციონური პრესა აცხადებს, რომ ამხ. რაკოვსკი საფრანგეთისათვის არ არის სასურველი პიროვნება, რომ მან „ინცინდენტის“ შემდეგ დაკარგა ავტორიტეტი ისეთი დიდი საქმის შესასრულებლად, როგორიცაა საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების გაგრძელება. მაგრამ ჩვენ ვიცით დე-მონზის მიერ საჯაროდ გამოთქმული აზრი, რომ ამხ. რაკოვსკი ყველაზე უფრო მისაღები კაცია მხარეთა შორის შეთანხმების მისაღწევად. ასეთი შეხედულებისაა საფრანგეთის ფართე მოსახლეობაც. გაეცანით თუ გინდ რუსეთის ობლიგაციების მქონე მილიონ ნახევარ ფრანგულ მოქალაქის ხმას. მათი უფლებების დამცველ დროებითმა კომიტეტმა წერილით მიმართა დე-მონზის, სადაც ის მადლობას უცხადებს დე-მონზისთან ერთად ამხ. რაკოვსკის, რომლებმაც ამდენი გააკეთეს ე. წ. ვალების საკითხის მოსაგვარებლად და მწუხარებას გამოსთქვამს ამხ. რაკოვსკის გაწვევის მოთხოვნის გამო, რასაც შეიძლება მოჰყვეს რუსეთის ფასიან ქაღალდების მფლობელთა უკანასკნელ იმედების დაღუპვა. ასეთი დამოკიდებულება ამხ. რაკოვსკისადმი გასაგებია: ამხ. რაკოვსკი ხომ ის პიროვნებაა, რომელმაც უდიდესი როლი ითამაშა საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკების წარმატების საქმეში. ამის შემდეგ რწმუნება, თითქო ამხ. რაკოვსკი ავტორიტეტით არ სარგებლობდეს, რა თქმა, უნდა, ოდნავადაც არ არის დამაჯერებელი.

ბოლოს, ამხ. რაკოვსკის იმ „ბრალდებას“ უყენებენ, რომ მან საბჭოთა მთავრობის წინადადებები ვალების და კრედიტების საკითხის შესახებ გადასცა პრესას. განა არის ამაში რაიმე „ბოროტმოქმედება“? საფრანგეთის მთავრობის ეს „არგუმენტი“ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მას ეშინია საზოგადოებრივი აზრის, რომელიც შეთანხმების მომხრეა და რომელსაც ეს შეთანხმება შესაძლებლად მიაჩნია ჩვენ მიერ წამოყენებულ პირობების საფუძველზე.

თავის თავად ცხადია, რომ ამხ. რაკოვსკის გარშემო ატეხილ განგაშის მიზანი სრულებით არ განისაზღვრება მისი გაწვევის მიღწევით. რეაქციონერებს უფრო ფართე გეგმები აქვთ დასახული. ამით ისინი ცდილობენ ნიადაგი შექმნან საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის გაწყვეტისათვის. მემარჯვენე პრესა ამას აშკარად აღიარებს. საფრანგეთის მთავრობამ მათ დაუთმო ამხ. რაკოვსკის საკითხში, რეაქციონერები გააგრძელებენ იერიშს თავის მიზნის განსახორციელებლად. მათ ზურგს უმაგრებენ ინგლისის იმპერიალისტები; შემთხვევით კი არ ჩამოსულან პარიზში ჩემბერლენი და ჩერჩილი.

ჩვენ არ ვფიქრობთ, რომ ამჟამად ისინი შესძლებენ დამოკიდებულების ჩაშლას. საფრანგეთის მოსახლეობის ფართე მასები იმდენად ამხედრებული არიან ანტი-საბჭოთა კამპანიით, რომ ე. წ. ზომიერი და „მემარცხენე“ წრეები ვერ გაბედავენ ამ ავანტიურის ჩადენას, მით უმეტეს არჩევნების მოლოდინში. მაგრამ ნაბიჯი აქეთკენ უკვე გადადგმულია. საბჭოთა მთავრობა წინანდებურად მტკიცედ გააგრძელებს თავის სამშვიდობო პოლიტიკას და ამავე დროს მზად შეხვდება მდგომარეობის ყოველგვარ მოსალოდნელ გართულებას.

მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ყრილობა

ხვალ გაიხსნება საბჭოების წევრ მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა სრ. საკავშირო მეორე ყრილობა. მშრომელ ქალთა საუკეთესო მოწინავე წარმომადგენელნი ამ ყრილობაზე განიხილავენ სოციალისტური მშენებლობის მორიგ საკითხებს. ეს ყრილობა მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ მისი მოწვევის დრო თითქმის ხვდება ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავს და მან ჯამი უნდა გაუკეთოს იმ მუშაობას, რომელიც მშრომელ ქალთა აქტიობის გაფართოებისათვის იქნა ჩატარებული ამ ხნის განმავლობაში. პროლეტარ-ქალთა და გლე-ქალთა პირველი ყრილობა, რომელზედაც მონაწილეობას იღებდა ლენინი, მოხდა ოქტომბრის რევოლიუციის პირველი წლის თავზე, როცა ის იყო საფუძველი ეყრებოდა მშრომელ ქალთა საზოგადოებრიობას.

ეგრედ წოდებული „ქალთა საკითხი“ საბჭოთა კავშირში—მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის საკითხია. მისი სწორი და თანმიმდევრობითი გადაწყვეტა—სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინასწარი პირობაა. ყოვლად წარმოუდგენელია სოციალიზმის აშენება, თუ მუშა-ქალებმა და გლეხ-ქალებმა შეგნებული მონაწილეობა არ მიიღეს სოციალიზმის მშენებლობაში, თუ ქალები არ განთავისუფლდენ მატერიალური ყოფა-ცხოვრების და იდეური მონობისაგან. მშრომელ ქალთა ეს მნიშვნელობა საუცხოვოდ ჰქონდათ შეგნებული საერთაშორისო სოციალიზმის დიდ ოსტატებს. მშრომელ ქალთა როლი რევოლიუციაში, სოციალისტურ მშენებლობაში და საბჭოთა სახელმწიფო აპარატში არა ერთხელ განუმარტა ლენინმა ჩვენს პარტიას და ჩვენს ქვეყანას.

საბჭოთა კავშირისათვის განსაკუთრებით ნათელია ის ფაქტი, რომ ქალთა განთავისუფლების პრობლემა არის სოციალისტური მშენებლობის პრობლემა. სოციალიზმის შენება ნიშნავს ახალი საზოგადოებრივი წყობილების შექმნას, ნიშნავს ჩვენი ხუთი სამეურნეო ფორმის შეცვლას ერთ-სოციალისტურ ფორმად. ამისათვის საჭიროა მთელი ჩვენი ძალების ენერგიულად ამოქმედება. ამისათვის საჭიროა საკუთარი ბუნების გარდაქმნა, მასების კულტურული განვითარების დონის ამაღლება, ყოფა-ცხოვრების ახალ საფუძვლებზე აშენება, ბავშვების ახალ ნიადაგზე აღზრდა, მრავალი მავნე დრომოჭმული შეხედულებების აღმოფხვრა. ცხადია, რომ მშრომელ-ქალთა ფართო მასების აქტიობისა, შეგნებისა და თვითმოქმედების განმტკიცების გარეშე შეუძლებელია ასეთ ამოცანის შესრულება.

მშრომელ ქალთა აქტიობის ზრდა, ყველაზე უფრო დაჩაგრულთა გადაქცევა სოციალიზმის შეგნებულ მშენებლად. „სახელმწიფოს მმართველობის სწავლება ყოველი მზარეული ქალისათვის“—არ არის ადვილი საქმე. საშინელი იყო ცარიზმის სამეურნეო კულტურული მემკვიდრეობა. სიბნელეში ყოფნამ მთელი საუკუნოების განმავლობაში, კლასობრივმა და ოჯახურმა ჩაგვრამ მეტად შეავიწროვა მშრომელი ქალი და მხოლოდ მაშინ, როცა ძლევამოსილმა ოქტომბრის რევოლიუციამ დაამსხვრია ეს ძველი წყობილება, პირველად ისტორიაში დადგა მშრომელ ქალთა განთავისუფლების საკითხი.

„ბოლშევიზაცია და საბჭოთა რევოლიუცია ისე ღრმად სჭრის ქალთა ჩაგვრისა და უთანასწორობის ფესვებს, როგორც ეს ვერ გაბედა ვერც ერთმა პარტიამ, ვერცერთმა რევოლიუციამ მსოფლიოში“. ასე განმარტა ოქტომბრის რევოლიუციის მნიშვნელობა ვლადიმერ ილიჩმა. სწორედ ოქტომბრის რევოლიუციამ ძირიანად მოსჭრა ქალთა ჩაგვრის ფესვები და გასწმინდა გზა მშრომელ ქალთა სრულ განთავისუფლებისათვის. არავითარი ქალთა თავისუფლების შემბორკავი წესები და კანონთა ნორმები. რომლებსაც ჩვენ ვხედავთ ყოველ კაპიტალისტურ ქვეყანაში, თუნდაც ფულების „დემოკრატიის“ ქვეყანაში ჩრდ.-ამ. შეერთ. შტატებში, არ არსებობს საბჭოთა კავშირში. გზა ქალთა სრული და რეალური განთავისუფლებისათვის საბჭოთა კავშირში თავისუფალია. ამ გზით მიდის ჩვენი კავშირი თუმცა ნელის ნაბიჯით.—ვინაიდან ჩვენი ქვეყანა კულტურულად, ტეხნიკურად და სამეურნეო განვითარების მხრივ ჩამორჩენილია,—მაგრამ მიდის მტკიცედ, შეურყევლად, თავისი ენერგიული მუშაობით თანდათან ანთავისუფლებს მშრომელ ქალს ძველ დრომოჭმულ ადათ-ჩვეულებათაგან, გაუნათლებლობის ბურუსისაგან და ჩაგვრისაგან. იმ დროს, როცა ჩვენი მტრები ბევრს ლაყბობდენ, როცა კაუცკი და კომპ. ბევრ საძაგელ ჭორებს ავრცელებდენ „ქალების სოციალიზაციის“ და სხ. შესახებ, პროლეტარ ქალთა და გლეხ-ქალთა აქტიობა განუწყვეტლივ იზრდებოდა და აღმოსავლეთის ქალები იხსნიდენ ჩადრს, მათი დამონებისა და ჩაგვრის სიმბოლოს. ყოველ წლობით იზრდება ქალთა აქტიობა საბჭოთა საზოგადოებრივ ორგანიზაციებში. ამჟამად საბჭოთა კავშირში არის 200.000-მდე უბრალო მუშა-ქალი და გლეხ-ქალი, რომელნიც ჩაბმული არიან დაბალი საფეხურის საბჭოთა აპარატში და რომელნიც უკვე მართავენ სახელმწიფოს.

მთელი ჩვენი პარტიისათვის, რომელიც ხედავს გლეხთა და მუშა-ქალთა კულტურულ-პოლიტიკურ აღორძინებას, უცხო უნდა იყოს ურწმუნოთა „უიმედობის ბოდვა“. პარტია და ჩვენი ქვეყანა ხედავს, თუ როგორ არევოლიუციონებს მშრომელ ქალთა შეგნებას სოციალისტური მეურნეობის წარმატება. ქვეყანას კარგად აქვს შეგნებული, რომ მშრომელ ქალთა აქტიობის ზრდა ძალიან დააჩქარებს სოციალისტურ მშენებლობას. პარტია კვლავ განაგრძობს მუშაობას სოციალისტური მშენებლობის ამ ერთ-ერთი უდიდესი მნიშვნელობის ფრონტზე, რომელზედაც მიუხედავად უძნელეს დაბრკოლებათა, ჩვენ აუცილებლად მოვიპოვებთ საბოლოო გამარჯვებას.

„პრავდა“. 9 ოქტომბერი.

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამხ. რაკოვსკის გაწვევის მოთხოვნის შემდეგ

საფრანგეთის მემარცხენე საზოგადოებრივი აზრი გაწვევის წინააღმდეგია

იტალიის პრესა აღნიშნავს, რომ ანტისაბჭოთა კამპანიის უკან სდგას ინგლისი

ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის ურთიერთობის გამწვავება—სამხრეთ-სლავიის ნოტა

მექსიკის მთავრობის ჯარმა დაამარცხა აჯანყებული კონტრ-რევოლიუციონერების რაზმი

ეროვნული გლოვის დღე ლიტვაში ვილნოს ოკუპაციის წლის თავზე.—ზეიმი პოლონეთში

საფრანგეთ-საბჭ. კავშირის ურთიერთობა

მილიონ-ნახევარ წვრილ მესაკუთრეთა ხმა

პარიზი, 9 ოქტომბერი. რუსეთის ფასიან ქაღალდების წვრილ მესაკუთრეთა უფლებების დამცველმა დროებითმა კომიტეტმა მიმართა დე-მონზის წერილით, რომელშიაც ის მილიონნახევარ წვრილ მესაკუთრეთა სახელით მადლობას უძღვნის დე-მონზისა და რაკოვსკის მათ მიერ მოლაპარაკების პროცესში გამოჩენილ ტაქტიკისათვის. კომიტეტი ულრმესი მწუხარებით აღნიშნავს, რომ იმ მომენტში, როდესაც წვრილი მესაკუთრეები უკვე დაიმედებული იყვნენ პირველი ყოველწლიური გადასახადის მიღებაში, ბოროტგამზრახველთა ინტრიგებმა ხელი შეუშალეს შეთანხმებაზე ხელის მოწერას, რადგან რაკოვსკის გამგზავრება ნიშნავს მოლაპარაკების შესაძლებლობის სამუდამოთ მოსპობას და, მაშასადამე, უკანასკნელი იმედის დაღუპვას, ფარნკის კურსის დაცემით მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი წვრილი მესაკუთრეები ფიქრობენ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციამ მეტად დადებით შედეგებს მიაღწია იმით, რომ რუსეთის ფასიანი ქაღალდები 50 პროცენტით უფრო ხელსაყრელი გახადა კაპიტალის მოთავსებისათვის, ვიდრე საფრანგეთის რენტა.

წვრილი მესაკუთრეები ამტკიცებენ, რომ ნულანსმა, რომელიც მოქმედობს ერთი მუჭა სპეკულიანტების სახელით, შეისყიდა რუსეთის დიდძალი ფასიანი ქაღალდები და სარგებლობს მით საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ამის გამო წვრილი მესაკუთრენი უკრძალავენ ნულანსს გამოსვლას მათი სახელით.

წვრილი მესაკუთრენი გამოსთქვამენ სურვილს, რომ დამტკიცებულ იქნას საფრანგეთ-საბჭოთა კონფერენციაზე მიღწეული შეთანხმება და რომ დამდეგ ზამთარს შეიძლებოდეს კუპონების წარდგენა გასანაღდებლად.

კომიტეტი მთავრობის ყურადღებას მიაქცევს იმ პასუხისმგებლობაზე, რომელიც დააწვება მას იმ შემთხვევაში, თუ დაუდევრად მოეკიდება და შეიწირავს მილიონზე მეტ ფრანგ მოქალაქეთა საარსებო ინტერესებს. (ადს).

სამი „საბუთი“

პარიზი, 9 ოქტომბერი. გაზეთების სიტყვით, ნოტა, რომელიც გაეგზავნა ერბეტს ჩიჩერინისათვის გადასაცემად და რომელშიც ფორმალურად არის მოთხოვნილი რაკოვსკის უკან გაწვევა, ემყარება შემდეგ სამ საბუთს: რაკოვსკის მიერ ხელის მოწერა ოპოზიციის დეკლარაციაზე; რაკოვსკის განცხადება, რომ ჩიჩერინის პასუხი ბრიანის შეკითხვაზე ამ ხელმოწერის გარშემო სრულიადაც არ შეიცავს მისთვის უნდობლობის გამოცხადებას და მესამე,—საგარეო საქმეთა სამინისტროს დაუკითხავად საბჭოთა მთავრობის უკანასკნელ წინადადების გამოქვეყნება პრესაში, ვინაიდან ეს ფაქტი მიღებულ იქნა, როგორც მიმართვა საფრანგეთის საზოგადოებრივი აზრის მიმართ და, მაშასადამე, როგორც არა-თავაზიანი საქციელი (ადს).

ვინ იზარალებს

პარიზი, 9 ოქტომბერი. „იუმანიტე“ აღნიშნავს ინგლისის ფარულ გავლენას საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის გამწვავებაზე და აგრეთვე ბრალდებებს, რომლებიც საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წაუყენა რაკოვსკის ვალების მოწესრიგების შესახებ საბჭოთა წინადადებების გამოქვეყნების გამო პრესაში. „იუმანიტე“ სწერს, რომ საფრანგეთის მთავრობის მიერ მოქნეული მუშტი ხვდება წვრილ მესაკუთრეებს, რომლებიც მოთმინებას ჰკარგავენ და ემზადებიან, რათა ჩაშალონ თაღლითური მახინაციები (ადს).

მემარჯვენე პრესის აზრი

პარიზი, 9 ოქტომბერი. უკიდურესი მემარჯვენე პრესა არ კმაყოფილდება ფორმალური მოთხოვნილებით რაკოვსკის გამოწვევის შესახებ და მოითხოვს საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტას. უფრო ზომიერი მემარჯვენე გაზეთები იმედოვნებენ რა საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის შეწყვეტას ისეთი ფორმით, რომლის დროსაც პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს საბჭოთა მთავრობას და რადიკალურ პარტიას, ხაზგასმით აღნიშნავენ, იმ გარემოებას, რომ მთავრობა ფიქრობს, რომ რაკოვსკის გამოწვევა არ ნიშნავს ურთიერთობის შეწყვეტას; პრესა სოლიდარობას უცხადებს მთავრობას. **რადიკალური პრესის სოციალისტური ნაწილი ძლიერ შიშობს, რომ რაკოვსკის გამოწვევამ არ დააბრკოლოს საფრანგეთ-საბჭოთა მოლაპარაკება და გამოიწვიოს ურთიერთობის შეწყვეტა, რის პასუხისმგებლობაც დაეკისრება საფრანგეთს. კომუნისტური პრესა პროტესტს აცხადებს საფრანგეთის მთავრობის საქციელის წინააღმდეგ** და მოუწოდებს მუშებს მიიღონ მონაწილეობა სენტ-ატუანში (პარიზის მახლობელი უბანი) გამართულ დემონსტრაციაში, რომლის ერთ-ერთ მიზანს შეადგენს პროტესტის განცხადება საფრანგეთ-საბჭოთა დიპლომატიური ურთიერთობის ჩაშლის წინააღმდეგ.

რეაქციონური „გოლუა“ სწერს:

„საკითხის ერთად-ერთი ლოღიკური გადაწყვეტა იყო და არის ოფიციალური კომუნისტური მოქმედების საბოლოოდ აღკვეთა გრენელის ქუჩაზე“ (ამ ქუჩაზე მოთავსებულია საბჭოთა კავშირის საელჩო).

პარიზი, 9 ოქტომბერი. მძიმე მრეწველობის ორგანო „ბიულეტენ კოტიდიენი“ სწერს:

„ეხლა, ჩიჩერინის საჯარო გამოსვლის შემდეგ, ვერც საფრანგეთის და ვერც საბჭოთა მთავრობა ვეღარ დაიხევენ უკან. მათი შეხედულებები იმდენად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, რომ შეუძლებელია მათი შერიგება.

თუ ჯერ კიდევ არაა შეწყვეტილი ურთიერთობა და მოსკოვიდან არაა გამოწვეული საფრანგეთის ელჩი, სულ ერთია რაკოვსკის გამგზავრებისთანავე მაინც შეწყდება დაწყებული მოლაპარაკება“.

მემარცხენე პრესის აზრი

მემარცხენე ბურჟუაზიული „კოტიდიენი“ სწერს:

„შეიძლება, რასაკვირველია, ვიდავოთ და უარვყოთ ნოტების გამოქვეყნებული ტექსტი, მაგრამ ძირითადი მიზანი მიღწეულია: ბნელი ძალები ზეიმობენ. კმაყოფილი დარჩებიან ფრანგი რეაქციონერები და გერმანია, რომელნიც ილაშქრებენ საფრანგეთ-საბჭოთა და პოლონეთ-საბჭოთა საგარანტიო ხელშეკრულებათა შესახებ მოლაპარაკების წინააღმდეგ, რომ საბჭოთა კავშირმა შეასრულოს საფრანგეთის მოთხოვნილება, მაინც არის საფუძველი ვიქონიოთ შიში ურთიერთობის შეწყვეტისა. რამდენადაც საფრანგეთის მთავრობა დაუბრუნდა მტკიცე პოლიტიკის მეთოდებს, მიუხედავად იმისა, რომ შინაური მდგომარეობა შეთანხმებას მოითხოვს. მიუხედავად ამისა, რეაქცია აშკარად სცდილობს ურთიერთობის შეწყვეტას“.

მემარცხენე ბურჟუაზიული „ვულონტე“ **არასაკმაოდ სთვლის იმ დოკუმენტებს, რომელნიც ერბეტის ნოტაში იყო მოყვანილი რაკოვსკის გამოწვევის მოთხოვნილების** დასასაბუთებლად. გაზეთი სწერს: „აი, როგორი უბრალო მიზეზების გამო და როგორი არასწორი მტკიცებით სურს მთავრობას ჩაშალოს მოლაპარაკება, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საფრანგეთის პრეტენზიების დაკმაყოფილება რუსეთის მიერ, გახსნას საბჭოთა ტერიტორია საფრანგეთის ექსპორტისათვის და ხელშეკრულების დადებით უნდა უზრუნველყოს მშვიდობიანობა აღმოსავლეთ ევროპაში“.

სოციალისტური „პოპიულერი“ სწერს:

„ბრიანი, ერიო და პენლევე ატყუებენ თავიანთ სინდისს და თვალთმაქცურად არწმუნებენ თავის თავს, რომ საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობაში არაფერი არ შეცვლილა და რომ ლაპარაკია მხოლოდ პირსონალური ცვლილების შესახებ. **საფრანგეთი ეცემა რეაქციის ანკესზე** და აპირებს ურთიერთობის შეწყვეტას“. (ადს).

იტალიის პრესის აზრი

რომი. 9 ოქტომბერი. იტალიის პრესა ირონიულ შენიშვნებს უკეთებს საფრანგეთის რეაქციონერთა ანტისაბჭოთა კამპანიას და აღნიშნავს, რომ ეს კამპანია აღფრთოვანებას ჰგვრის ინგლისის ნავთის მრეწველთ.

„ტრიბუნა“ ვრცელ მოწინავე წერილში სწერს: „უსამართლობაა საფრანგეთის შიგნით წარმოშობილ სიძნელეების დაბრალება მოსკოვისათვის“.

მუშათა პარტიის აღმასკომი

ლონდონი, 9 ოქტომბერი. ახლად არჩეულ მუშათა პარტიის აღმასკომში შედიან: **კლაინსი, რობერტსი, კრემპი, ჯენკინსი, ხერსტი; რობინსონი, სმიტი, ლანსბერი, ტრეველიანი, ოსვალდი, მოსლი, მორისონი, სიუზანა, ლაურენსი და ელენ-ვილკინსონი.** მაკდონალდი არჩეულია, ხელმეორედ ხაზინადრათ, ჯენკინსი. ლანსბერი, მოსლი და ვილკინსონი ცენტრისტებია, დანარჩენი ემხრობიან მემარჯვენე ფრთას. (ადს).

საბჭოთა პრესა

პარტია და ოპოზიცია

მეხუთმეტე პარტყრილობა ახლოვდება და მის მოახლოებასთან ერთად, იმის მაგიერ, რომ ხელი შეეწყოს პარტიული ერთსულოვანების ორგანიზაციულ-პოლიტიკურ დარაზმვას იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომლებსაც უყენებს მმართველ პარტიას რთული საერთაშორისო მდგომარეობა და შინაური მშენებლობის სიძნელენი — ყოველივე ამის მაგიერ ტროცკისტული ოპოზიცია არაფერს არ ერიდება, რომ დაამხოს ეს ერთსულოვანება და თავისი აღვირ-წავარდნილი მუშაობით დაშალოს მთლიანობა ჩვენი პარტიის. ოპოზიცია არა მარტო არ შლის ფრაქციულ ჯგუფებს, არ სწყვეტს ფრაქციულ მუშაობას, როგორც ამის დაპირება რამდენჯერმე მისცა მან პარტიას და მის ხელმძღვანელ ორგანოებს, არამედ, სწორედ ფრაქციული მუშაობის დაჟინებული გაგრძელებით და გაღრმავებით ჰქმნის რეალურ საფრთხეს **მეორე** პარტიის შექმნისას, რომლის **ჩანასახს** შეიცავს ეს ფრაქცია და მისი მუშაობა. საიდან სჩანს ეს?

ამ საკითხზე პასუხს აძლევს გაზ. „Бакинский Рабочий“, რომელიც სწერს შემდეგს:

„პირველი იქიდან, რომ ოპოზიციური ბლოკის ფრაქცია პარტიისაგან კონსპირატიულად მოქმედებს; ის არსებობს როგორც არალეგალური ორგანიზაცია, რომელიც გულმოდგინეთ უმალავს პარტიას თავის მუშაობას, თავის კრებებს, თავის დოკუმენტებს, თავის კავშირს, თავის ცენტრებს; ის არსებობს, როგორც კონსპირატიული, პარტიის თვალისაგან დამალული პოლიტიკური ორგანიზაცია.

მეორე—მას აქვს ჩანასახის სახით თავის საკუთარი აპარატი, თავისი შემაკავშირებელი და გამანაწილებელი პატარა ცენტრები და დამოკიდებულებათა თავისი „იერარქია“.

მესამე — მას აქვს თავისი შინაფრაქციული დისციპლინა, რომელსაც ამ ფრაქციის წევრები უცქერიან, როგორც **უმაღლეს** დისციპლინას, რომელიც **განსაზღვრავს** ოპოზიციონურ ბლოკში შემავალ პარტიული წევრების პოლიტიკურ ყოფა-ქცევას.

ამნაირად ჩვენ თვალწინ არის საკმაოდ განვითარებული ჩანასახი ახალი პარტიის და ამასთანავე არა საზოგადოთ პარტიის, არამედ ისეთის, რომელიც იბრძვის პროლეტარიატის დიქტატურის ხელმძღვანელ ლენინურ კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ“.

ასეთია შინაპარტიული მდგომარეობა მეხუთმეტე ყრილობის წინ. წევრები ლენინის პარტიის, რომლებიც აღზრდილი არიან დიდი ბელადის ორგანიზაციული პრინციპების ტრადიციებში, ამხანაგები, რომლებსაც შეგნებული აქვთ თანამედროვე ვითარდება, რომელშიც პარტია და ხელისუფლებას უხდება მუშაობა და ხელმძღვანელობა პროლეტარიატის დიქტატურისათვის უდიდეს ქვეყანაში, ყოველ ზომას იხმარებენ, რომ დროზე შეაჩერონ ფეხსასხლეტელი ფრაქციონერები, ან სრულიად უმნიშვნელო მინიმუმამდი დაიყვანონ შედეგები ფრაქციონერების საბედისწერო ნაბიჯის, თუ ისინი არ დაიშლიან და მაინც გადადგამენ ამ ნაბიჯს.

ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტი

მდგომარეობა მაკედონიაში

ვენა, 9 ოქტომბერი. ბელგრადიდან მიღებული ცნობით, **მაკედონიის მთელ სამხრეთ-სლავიურ ნაწილში კომიტაჯიებმა გააცხოველეს თავისი მოქმედება.** 7 ოქტომბერს, 5 კომიტაჯიმ გადალახა სამხრეთ-სლავიის საზღვარი გევგელის რკ. გზის მახლობლად და **ყუმბარები გადაისროლეს ჟანდარმთა სამმართველოს, საფოსტო განყოფილების და ხაზაჟის შენობებში.** სამივე შენობა საგრძნობლადაა დაზიანებული. ჟანდარმებთან ხანგრძლივი ბრძოლის შემდეგ, კომიტაჯიები გადავიდენ ბულგარეთის ტერიტორიაზე.

სკოჩივარის ტყეში პარტიზანები. რომლებიც, ბელგრადის გაზეთების სიტყვით, ალბანეთიდან გადმოვიდენ, თავს დაესხნენ სამხრეთ-სლავიის ჟანდარმერიის გუშაგს. ხანგრძლივი სროლის შემდეგ, პარტიზანები დაბრუნდნენ უკან.

ასეთი თავდასხმები ხდებოდა მთელი მაკედონიის საზღვარზე. (ადს).

სამხრეთ-სლავიის ულტიმატუმი

ვენა, 9 ოქტომბერი. სამხრეთ-სლავიის ელჩმა სოფიაში **ნეშიჩმა** აცნობა ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ბუროვს, რომ **სამხრეთ-სლავიის მთავრობამ დახურა ბულგარეთის საზღვარი.**

„ნეიე ფრეიე პრეს“-ის ცნობით, **ნეშიჩმა ჩააბარა ბუროვს ულტიმატუმი. რომელშიაც სამხრეთ-სლავიის მთავრობა მოითხოვს მაკედონელთა ავტონომისტების კომიტეტის დაუყოვნებლივ დაშლას, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამხრეთ-სლავია გაიწვევს თავის წარმომადგენელს. სარკინიგზო მიმოსვლა სამხრეთ-სლავიასა და ბულგარეთს შორის შეწყვეტილია.** (ადს).

„მეგობრული ტონით“

ვენა, 9 ოქტომბერი. წინააღმდეგ გავრცელებულ ხმებისა, რომ თითქოს სამხრეთ-სლავიის ელჩმა სოფიაში **ნეშიჩმა ულტიმატიური ნოტა წარუდგინა** ბულგარეთის მთავრობას, სამხრეთ-სლავიის ოფიციალური ცნობა აცხადებს, რომ ნეშიჩს არ გადაუცია ბულგარეთის მთავრობისათვის ნოტა; მან მხოლოდ აცნობა ბულგარეთის მთავრობას, რომ **სამხრეთ-სლავიის მთავრობამ დახურა ბულგარეთის საზღვარი** და ღებულობს ზომებს ამ საზღვრების დასაცავად, მან აგრეთვე მეგობრული ტონით მიაქცია ბულგარეთის მთავრობის ყურადღება მომხდარ ამბების შესაძლებელ შედეგებზე.

როგორც ცნობაშია ნათქვამი, ბულგარეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა აცნობა ნეშიჩს, რომ ბულგარეთის მთავრობა მწუხარებას გამოსთქვამს უკანასკნელ ამბების გამო და იმედოვნებს, რომ მომხდარი გაუგებრობა მოგვარებული იქნება (ადს).

საფრანგეთის შუამავლობა

ვენა, 9 ოქტომბერი. საფრანგეთის ელჩმა ბელგრადში გადასცა სამხრეთ-სლავიის მთავრობას საფრანგეთის წინადადება, რომ უკანასკნელი კისრულობს შუამავლობას ბულგარეთ-სამხრეთ-სლავიის კონფლიქტის მოსაგვარებლად. საფრანგეთის ელჩმა სოფიაში ანალოგიური წინადადებით მიმართა ბულგარეთის მთავრობას (ადს).

ინგლისის კომპარტიის ყრილობა

ყრილობის გახსნა

მანჩესტერი, 9 ოქტომბერი. სალფორდში გაიხსნა ბრიტანეთის კომპარტიის მეათე ყრილობა.

ამხ. ხორნერის სიტყვა

ცეკას სახელით ყრილობას მიესალმა **ხორნერი,** რომელმაც განაცხადა, რომ ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ უფრო გაძლიერდა ომის საშიშროება და აღნიშნა მოქმედება, რეფორმისტებისა, რომლებიც თავის მოღალატური ნაბიჯებით ცდილობენ ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშებს შორის არსებული სოლიდარობის ჩაშლას.

შემდეგ **ხორნერი** შეეხო მუშათა პარტიის ყრილობის შედეგებს და განაცხადა:

„ბლეკპულის ყრილობამ მთლიანად დაადასტურა ის ბრალდებები, რომლებიც წამოყენებული ჰქონდა კომუნისტებს მუშათა პარტიის ლიდერების წინააღმდეგ. ამ ყრილობის მემარჯვენე ფრთამ საბოლოოთ შესწირა მუშები კაპიტალისტურ დემოკრატიის ინტერესებს. მინისტრთა პორტფელების ხელში ჩაგდების მიზნით, მუშათა პარტიის ლიდერები სწორედ იმ დროს ანიარაღებენ მუშებს, როდესაც მოწინააღმდეგე ემზადება შეტევისათვის“.

ამხ. როტშტეინის მოხსენება

პოლიტიკური მოხსენებით გამოვიდა **როტშტეინი.** მან აღნიშნა, რომ კაპიტალისტების იერიშების დამარცხება შეიძლება, მხოლოდ მშრომელთა მთლიანი ფრონტის დაცვით და განაცხადა, რომ მთლიანი ფრონტის შექმნა არ ნიშნავს იმას, რათა დაფარული იქნეს რეფორმიზმის დანაშაული. ამის საუკეთესო მაგალითს იძლევა საკ. პროფკავშირების ცენტრ. საბჭოს სწორი ტაქტიკა ინგლის-რუსეთის კომიტეტის საკითხში.

მოხსენება ყრილობის მიერ ერთხმად იქნა მიღებული. (ადს).

მისალმება საკ. კომ. პარტიას (ბ)

მანჩესტერი, 9 ოქტომბერი. ინგლისის კომპარტიის ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ესალმება საკ. კომ. პარტიას (ბ). რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ინგლისის კომუნისტური პარტია ყველა ზომებს იხმარს იმისათვის, რომ განამტკიცოს ინგლისის და საბჭოთა კავშირის პროლეტარიატის კავშირი. ეს იქნება ჩვენი საუკეთესო მონაწილეობა ოქტომბრის დღესასწაულში“.

შემდეგ განნინგტონმა შემოიტანა შემდეგი რეზოლიუცია:

„ფიცს ვსდებთ ჩვენივე სიცოცხლით დავიცვათ პირველი მუშური რესპუბლიკა“.

ყრილობამ განინგტონს ოვაციები გაუმართა. (ადს).

აჯანყება კირენაიკში

ანგორა, 9 ოქტომბერი. კირენაიკის (ჩრდ. აფრიკა), სამხრეთ ნაწილში გრძელდება სისხლის მღვრელი ბრძოლა. უდაბნოსკენ უკუქცეულმა სენუსიტებმა კვლავ მოიკრიფეს თავისი ძალა და დაეცენ იტალიელების ჯარს **იტალიელები დამარცხდენ და იძულებული გახდენ შეეწყვიტათ შეტევა.** მხოლოდ ტანკებისა და ჰაეროპლანების საშუალებით მოახერხა იტალიის ჯარმა თავის დაღწევა ბედუინების ალყიდან.

მემაღაროეთა გაფიცვა

ამერიკაში

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. მემაღაროეთა გაფიცვა ინდიანას შტატში, რომელიც ექვსი თვე გაგრძელდა, დროებითი შეთანხმებით დამთავრდა. ამ დროებითი შეთანხმების მიხედვით, სამუშაო ხელფასის ძველი განაკვეთები ძალაში რჩება ახალი შეთანხმების დადებამდე.

ოჰაიოს შტატში და პენსილვანიის დასავლეთ ნაწილში გაფიცვას განაგრძობს 100.000 მემაღაროე (ადს).

ფაშისტების ყრილობა

ბერლინი, 9 ოქტომბერი. ოქტომბრის შუა რიცხვებში ჰააგაში შესდგება „მესამე ინტერნაციონალის წინააღმდეგ მებრძოლ საერთაშორისო გაერთიანების“ მესამე კონფერენცია. კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე თანხმობა განაცხადეს ბელგიის, ბულგარეთის, ავსტრიის, ჰუნგრეთის, ინგლისის, საფრანგეთის, ეგვიპტის; ფინეთის, საბერძნეთის, იტალიის, ჰოლანდიის, ნორვეგიის, პორტუგალიის, ჩეხო-სლოვაკიის, შვეიცარიის და სამხრეთ-სლავიის რეაქციონურმა ორგანიზაციებმა.

მთავრობის კრიზისი

ავსტრალიაში

ლონდონი, 9 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ საპარლამენტო არჩევნების შედეგები ახალ სამხრეთ-უელსის ავსტრალიის შტატში მოწმობს მუშათა პარტიის მთავრობის დამარცხებას. ფიქრობენ, რომ შესდგება კოალიციონური მთავრობა (ადს).

ბოლდუინის წინააღმდეგ

ლონდონი, 9 ოქტომბერი, **ფერმერების ეროვნულმა კავშირმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც სასტიკად აკრიტიკებს ბოლდუინის სიტყვას კარდიფში და ბრალს სდებს მთავრობას იმაში, რომ მან არ შეასრულა თავის დაპირება სასოფლო მეურნეობისათვის დახმარების აღმოჩენის შესახებ** (ადს).

სპარსეთ-საბჭ. კავშირის ხელშეკრულების გარშემო

თეირანი, 9 ოქტომბერი. ბარფრუშიდან მიღებულ ცნობებით, ადგილობრივმა ხელისუფლებამ, ვაჭრებმა და პოლიტიკურმა მოღვაწეებმა მიულოცეს საბჭოთა საკონსულოს სპარსეთ-საბჭოთა შეთანხმების დადება. საკონსულო ინახულა 200-ზე მეტმა სპარსელმა.

ვაჭრებმა გამართეს საზეიმო საღამო, რომელსაც დაესწრენ საბჭოთა კონსული და ბალფრუშის საბჭოთა სამეურნეო ორგანოების წარმომადგენელნი (ადს).

ბაქო, 10 ოქტომბერი. დღეს ჰაეროპლანით სპარსეთიდან ბაქოში ჩამოვიდა სპარსეთის საელჩოს კომერციული ელჩი მოსკოვში გამიდ-ხანი, რომელმაც სპარსეთის მთავრობას გადასცა სავაჭრო ხელშეკრულობის ტექსტი და ეხლა მიემგზავრება ისევ მოსკოვში. ამ.-კავკ. დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში გამიდ-ხანმა განაცხადა: „ხელშეკრულების დადებას დიდის კმაყოფილებით შეხვდენ სპარსეთში. ხელშეკრულებას უკამათოდ დაამტკიცებს მეჯლისი“. ხვალ გამიდ-ხანი მოსკოვში გაფრინდება. (ადს)

რეაქციონერების აჯანყება მექსიკაში

აჯანყებულთა დამარცხება

მექსიკო, 9 ოქტომბერი. მთავრობის ჯარები განაგრძობენ აჯანყებულთა დევნას; აჯანყებულთა ზურგში სასწრაფოდ ეწყობა გლეხთა შეიარაღებული რაზმები მათთვის უკან დასახევ გზის გადასაჭრელად. პირველად 3 ოქტომბრის შემდეგ ვერა-კრუცისაკენ გავიდა სამგზავრო მატარებელი, რაც მიაჩნიათ იმის ნიშნად, რომ მთავრობა დარწმუნებულია თავის ძალებში (ადს).

მექსიკის კომპარტიის დეპეშა

ნიუ-იორკი, 9 ოქტომბერი. უორკერს პარტიამ გამოაქვეყნა მექსიკის კომპარტიის მიერ გამოგზავნილი დეპეშა:

„რეაქციამ,— ნათქვამია დეპეშაში, — მოაწყო ამბოხება. მოგიწოდებთ თქვენ დაიცვათ მექსიკის პროლეტარიატის ინტერესები, რომელიც მთავრობასთან ერთად ებრძვის კონტრ-რევოლიუციას“ (ადს).

ვილნოს ოკუპაციის წლის თავი

პოლონეთში

ვარშავა, 9 ოქტომბერი. პოლონეთის ხელისუფლება განსაკუთრებული ზეიმით დღესასწაულობს ვილნოს დაკავების წლის თავს. ვილნოში ჩამოვიდა **პილსუდსკი** და მთავრობის სხვა წევრები, მათ შორის გარეშე საქმეთა მინისტრ ზალესკის მოადგილე **კნოლი.**

დღესასწაული ლიტვის საწინააღმდეგო ხასიათს ატარებს; ამასთანავე ნათლად სჩანს ტენდენცია იმისა, რომ ეს ზეიმი სურთ გადააქციონ დემონსტრატიულ პასუხად ლიტვის მთავრობის ანტიპოლონური გამოსვლის წინააღმდეგ. პილსუდსკის ჩამოსვლის დროს მოხდება ვილნოს ყოფილ სამხედრო პირთა ყველა ორგანიზაციების გაერთიანება.

გაერთიანებულმა კავშირმა მოსახლეობას მიმართა მოწოდებით:

„კოვნოს რამოდენიმე მონა,— ნათქვამია მოწოდებაში,— სცდილობს მოსპოს ძმობის ხელი, რომელიც აერთიანებს ორივე ხალხის საუკეთესო შვილებს. ჩვენ, რომელთაც საშინელი ომი გადავიტანეთ, არ გვსურს ახალი სისხლის ღვრა, ჩვენ ვაცხადებთ, რომ პროვოკაციას მოქმედებით უპასუხებთ“ (ადს).

ლიტვაში

კოვნო, 9 ოქტომბერი. **პოლონელების მიერ ვილნოს ხელში ჩაგდების წლის თავის გამო მთელ ლიტვაში გამოცხადებულია ეროვნული გლოვის დღე.** გაზეთები სამგლოვიარო არშიებით გამოვიდენ. ყოველგვარი გასართობები და სანახაობანი შეწყვეტილია. საზოგადოებრივ და მთავრობის შენობებში გაიმართება ლექციები და მოხსენებები ვილნოს ხელში ჩაგდების შესახებ (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ხო-ლუნის უკან დახევა

შანხაი, 9 ოქტომბერი. ჩინური გაზეთების ცნობით, ქალაქ კიტიანის (იმყოფება 40 კილომეტრის მანძილზე სვატოუდან) დატოვების შემდეგ ხო-ლუნის ჯარები გაიფანტენ მახლობელ სოფლებში და სცდილობდენ წინააღმდეგობის კვლავ გაწევას. მაგრამ გუანდუნის ჯარებმა არ შესწყვიტეს დევნა, რის გამოც ხო-ლუნის არმიის ნაშთებმა, რიცხვით 5.000 კაცმა, დაიხია ვეიტისკენ. აქ ხო-ლუნის ჯარებს მძაფრად შეუტიეს; ხო-ლუნის ჯარებმა დაჰკარგეს 1.000 ჯარისკაცი, ერთი დივიზიის უფროსი და ორი პოლკის უფროსი. თვითონ ხო-ლუნი მძიმედ დაიჭრა. მთავრობის ჯარებმა განაგრძეს შეტევა. ცზიაოიანის მიმართულებით, სადაც გაიფანტა ხო-ლუნის ჯარების ნაშთები (ადს).

გემ „ლენინის ხსოვნის“ მოსამსახურეთა შიმშილობა

შანხაი, 9 ოქტომბერი. ცზიანანფუდან მიღებულია ცნობები, რომ **საბჭოთა გემ „ლენინის ხსოვნას“ მოსამსახურეებმა შიმშილობა გამოაცხადეს** ნიშნად პროტესტისა იმის წინააღმდეგ, რომ ჩინეთის ხელისუფლებამ უარი სთქვა გემის დატუსაღებულ მოსამსახურეთა განთავისუფლებაზე და სასამართლოს დანიშვნაზე (ადს).

ბრიან-ჩემბერლენის შეხვედრა

მოურიდებელი შეკითხვა

პარიზი, 9 ოქტომბერი. „ეკო დე პარი“ აღნიშნავს, თითქოს ჩემბერლენის და ბრიანის საუბარი საგანს არ შეადგენდა საფრანგეთ-საბჭოთა ურთიერთობის გამწვავება. მაგრამ „პტი პარიზიენი“ იუწყება, რომ როდესაც გაზეთის თანამშრომელმა ჰკითხა ამის შესახებ ჩემბერლენს, უკანასკნელმა უპასუხა: „ნუ მაძლევთ ასეთ მოურიდებელ შეკითხვებს“-ო.

„პარი მატინალი“ და „პოპიულერი“ ამტკიცებენ, რომ საკითხი საბჭოთა კავშირთან საფრანგეთის, ინგლისის და პოლონეთის დამოკიდებულების შესახებ გახდება მსჯელობის სერიოზულ საგნათ ბრიანსა, ჩემბერლენსა და ზალესკის შორის.

„პარი მატინალი“ ამის შესახებ სწერს: „ჩვენ არ ვლაპარაკობთ, რომ ანტი-საბჭოთა ფრონტი შეიქმნება უახლოეს დღეებში, მაგრამ საჭიროთ ვსთვლით ხაზგასმით აღვნიშნოთ ჩემბერლენის და ზალესკის ერთდროულად ჩამოსვლის ფაქტი“.

„იუმანიტე“ სწერს, რომ ჩემბერლენი და ბრიანი განიხილავენ საბჭოთა კავშირის გარემოცვის გეგმას, კერძოთ იმის გეგმას, თუ რა გზით ათქმევინონ ზალესკის უარი მოსკოვთან საგარანტიო ხელშეკრულების დადებაზე. (ადს).

საფრანგეთის კომუნისტები

რომლებსაც ამას წინად პარიზში სასამართლომ მიუსაჯა 58 წლის საპყრობილე და 144.000 ფრანკი ჯარიმა.

პირველ რიგში ზევიდან მარცხნიდან მარჯვნივ: დიუკლო, (30 წელიწადი საპყრობილე), ანდრე მარტი (10 წელი). მეორე რიგში: ბარბე, ალჟაიე, ფერრა; მესამე რიგში: ბელლანჟე მიშლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ხიმშილობის გამოცხადებისათვის

ვარშავა, 10 ოქტომბერი. ვილნოს სასამართლომ ვილნოს ციხეში მოთავსებულ 14 პოლიტიკურ პატიმარს სიმშილობის გამოცხადებისათვის დაპატიმრების ვადა გაუდიდა 3-4 წლით. პროკურორის აზრით, სიმშილით გაფიცვა წარმოადგენს „აჯანყების ცდას“.

ავსტრია-საბჭოთა ვაჭრობა მტკიცდება

ვენა, 10 ოქტომბერი. ავსტრიის ეროვნულმა ბანკმა ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ განაცხადა, რომ პრინციპიალურად თანახმა არის გაანაღდოს ვაჭრობის სახ. კომისარიატის, ვენის სავაჭრო წარმომადგენლობის, „რატაოს“-ის „არუსავტორგის“ მიერ გაცემული თამასუქები. ვენის მუნიციპალიტეტს, როგორც იუწყებიან, განზრახვა აქვს იკისროს საბჭოთა შეკვეთების გარანტია. (ადს).

ჰინდენბურგის „ამნისტია“

ბერლინი, 10 ოქტომბერი. გამოირკვა, რომ ჰინდენბურგის მიერ გამოცხადებული ამნისტია ძალიან ნაკლებად შეეხო გერმანიის პროლეტარულ პოლიტიკურ პატიმრებს. პოლიტიკურ პატიმრების უმრავლესობა, რომელზედაც გავრცელდა ამნისტია, არ გაანთავისუფლეს, მათ დაუწიეს რამოდენიმე წლის გამოსაცდელი ვადა.

ბანკეტი საბჭოთა კავშირის წარმომადგენლობაში

თეირანი, 10 ოქტომბერი. 8 ოქტომბერს, საბჭოთა კავშირის ახალი სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. დავთიანის თეირანში ჩასვლისა და სპარსეთ-საბჭოთა შეთანხმებათა დადების გამო, სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გამართა დიდი ბანკეტი, რომელსაც დაესწრნენ სპარსეთის მთელი მინისტრთა კაბინეტი პრემიერის მეთაურობით, შაჰის მახლობელი პირნი სახალხო მინისტრ თეიმურტაშის მეთაურობით და აგრეთვე მეჯლისის დეპუტატთა უმრავლესობა, მთელი რიგი პოლიტიკოსი და სამხედრო მოღვაწენი და ყველა ჟურნალისტები; სრულუფლებიან წარმომადგენლობაში გამართა აგრეთვე ცალკე ბანკეტი ვაჭრებისათვის, რომელსაც დაესწრნენ თეირანის დიდ და საშუალო ვაჭართა ყველა გამოჩენილი წარმომადგენლები. (ადს).

საარჩევნო ტერორი პოლონეთში

ვარშავა, 10 ოქტომბერი. წინასწარ ცნობებით, მემარცხენე მუშათა ჯგუფის (ლევიცის) გაუქმებულ სიას ლოძში ხმა მისცა 53 ათასმა კაცმა. პოლონეთის სოციალისტური პარტიის სიამ მიიღო 55 ათასი ხმა. მემარცხენე მუშათა ჯგუფის ხმა გაუქმებულ იქნა აგრეთვე კალიშში. (ადს).

კონვენცია სამედიატორო სასამართლოების შესახებ ლატვიასთან

რიგა, 10 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ლატვიაში ლორენსმა და ლატვიის გარეშე საქმეთა მინისტრმა ცელინსმა ხელი მოაწერეს კონვენციას საბჭოთა კავშირსა და ლატვიას შორის. კონვენცია შეეხება სამედიატორო სასამართლოებს საოქალაქო და სავაჭრო საქმეებზე. კონვენციის რატიფიკაცია მოხდება ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულების რატიფიკაციასთან ერთად. (ადს).

გერმანიის კომპარტიის დიდი გამარჯვება ჰამბურგში

ბერლინი, 10 ოქტომბერი. გუშინ ჰამბურგში დამთავრდა საქალაქო არჩევნები. არჩევნებში დიდი გამარჯვება ხვდა კომუნისტურ პარტიას. მიღებული ხმების რაოდენობით (110.000 ხმა) კომპარტიამ მეორე ადგილი დაიჭირა. მანდატები ამგვარად განაწილდა: კომუნისტები—27 (წინედ იყო 24); სოციალ-დემოკრატები 63 (წინედ 53); დემოკრატები—16 წინედ 21); სახალხო პარტია—18 (წინედ 23); ნაციონალისტები—25 (წინედ 28); ფაშისტები—2 (წინედ 3). კომუნისტების გამარჯვებას არჩევნებში მით უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, რომ კომუნისტურ დემონსტრაციებს და დახურულ საგიტაციო კრებებს არბევდენ. კომუნისტების სიისათვის მიცემული ხმების რაოდენობა ორჯერ გაიზარდა სწორედ იმ რაიონებში, სადაც სწარმოებდა დემონსტრაციების დევნა. (ადს).

სარეკორდო ფრენა პატარა აეროპლანზე

ლონდონი, 9 ოქტომბერი. ინგლისელმა ქალმა პილოტმა ელიოტ ლინმა პატარა აეროპლანით მიაღწია 19.000 ფუტის სიმაღლეს, რაც სარეკორდოა ამ ტიპის თვითმფრინავებისათვის. (ადს).

რეპრესიები რეზერვისტების წინააღმდეგ

პარიზი, 9 ოქტომბერი. სამხედრო სასამართლომ მანში რეზერვისტებს ბლეს და კაბარეს მიუსაჯა პირველს 12 და მეორეს 15 თვის ციხე. მათ ბრალად ედებოდა ანტიმილიტარისტულ პლაკატების გაკვრა რეზერვისტების ბანაკში. (ადს).

მეთევზეობის კონვენციის დადება იაპონიასთან

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. 10 ოქტომბერს დამთავრდა მოლაპარაკება, რომელიც ერთ წელზე მეტი სწარმოებდა საბჭოთა კავშირსა და იაპონიას შორის მეთევზეობის კონვენციის დადების შესახებ. კონვენციის აქტები შემუშავებულ იქნა გარეშე საქმეთა სახ. კომისარის მოადგილის ამხ. კარახანისა და იაპონიის ელჩის (მოსკოვში) ტანაკას მიერ. კონვენციის საბოლოო ხელისმოწერა მოხდება ამ დღეებში. (ადს).

მემაღაროეთა ყრილობის დახურვა

ბაქო, 10 ოქტომბერი. 9 ოქტომბერს დაიხურა მემაღაროეთა მე-11 ყრილობა. არჩეულია ახალი ცენტრალური გამგეობა 66 კაცის შემადგენლობით (ადს).

მოჭადრაკეთა ამიერ-კავკასიის ოლიმპიადა

ბაქო, 9 ოქტომბერი. ამიერ-კავკასიის მოჭადრაკეთა ოლიმპიადაზე აზერბეიჯანის და სომხეთის შეხვედრა დამთავრდა 3½:½ აზერბეიჯანის სასარგებლოდ. ბელიაკოვმა მოუგო ჩელოიანს, გულიშამბაროვმა სარქისიანს, ვლადისლავლევმა კარინიანს. გამერისა და ტერ-მარტიროსიანის პარტია უშედეგოდ დამთავრდა. აზერბეიჯანი თამაშობდა თეთრებით (ადს).

სპარსეთის სამხედრო მინისტრი ფორუღი ბაქოში

ბაქო, 9 ოქტომბერი. დღეს თეირანიდან ბაქოში თვითმფრინავ „იუნკერს“-ით მოფრინდა სპარსეთის სამხედრო მინისტრი ფორუღი, რომელიც მოსკოვში გავლით მიემგზავრება ბერლინში საქმიოდ (ადს).

სპარსეთი და ოსმალეთი

სპარსეთის პასუხი

ანგორა, 9 ოქტომბერი. ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ სპარსეთის წარმომადგენელმა ოსმალეთში საიდ-ხანმა ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრს ტევფიკ - რუშდი-ბეის გადასცა სპარსეთის მთავრობის პასუხი ოსმალეთის იმ ნოტაზე, რომელიც ეხებოდა ოსმალეთ - სპარსეთის საზღვარზე მომხდარ ინციდენტს. სპარსეთის მთავრობის საპასუხო ნოტა ოსმალეთში მიღებულია თანაგრძნობით. სპარსეთის მთავრობის ნოტა ადასტურებს ყველა იმ ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ მეგობრობის და ლოიალობის პრინციპებზე აგებულ ურთიერთობიდან და აღნიშნავს, რომ მიღებულია ყველა საჭირო ზომები ოსმალეთის ნოტაში აღნიშნულ საკითხების მოსაწესრიგებლად. შემდეგ ნოტაში ნათქვამია, რომ გაცემულია კატეგორიული ბრძანება ბანდიტების წინააღმდეგ ენერგიული ზომების მიღების შესახებ. (ადს).

ოსმალო ოფიცრების დაბრუნება

ანგორა, 9 ოქტომბერი. ანატოლიის სააგენტო იუწყება, რომ ყველა ის ოსმალოელი ოფიცრები, რომლებიც უკანასკნელი ამბების დროს წაყვანილი იქნენ სპარსეთის ტერიტორიაზე, ჩამოყვანილი არიან ისევ ოსმალეთში. ჩამოყვანილია აგრეთვე ტყვეთ წაყვანილი ჯარისკაცების ნაწილიც. დანარჩენი ჯარისკაცების განთავისუფლებას მოელიან სულ ახლო ხანში. (ადს).

ინგლისური „ინფორმაცია“

ანგორა, 9 ოქტომბერი. ანატოლიის დეპეშათა სააგენტო იუწყება:

„ბორდოს რადიო - სადგური ავრცელებს თითქოს ინგლისის გაზეთებიდან ამოღებულ შემდეგ ცნობას: „ოსმალეთმა თავის ნოტაში სპარსეთის მთავრობისადმი განაცხადა, რომ თავდასხმის განმეორებას ოსმალეთის ტერიტორიაზე ის ჩასთვლის ომის საბაბად“. ბორდოს რადიო - სადგურის ეს ცნობა სრულიად არ შეეფერება სინამდვილეს“. (ადს).

ავსტრიის ბურჟუაზიული პრესა

საბჭოთა ელჩის, ამხ. იურენევის წინააღმდეგ

ვენა, 9 ოქტომბერი. ავსტრიის ბურჟუაზიული პრესა კომენტარიებს უკეთებს კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის რეზოლიუციას ვენის ივლისის ამბების გამო. რეაქციონური „ნეიეს ვინერ ჟურნალ“-ი სწერს:

„მოსკოვის თვალსაზრისი აშკარავებს ბოლშევიზმის მუშაობის მეთოდებს და მოწმობს იმას, რომ არსებობს დიდი საშიშროება მოსკოვის ჩარევისა ავსტრიის შინაურ საქმეებში. გონივრული იქნება, რომ ავსტრიის მთავრობა დააწესებდეს სასტიკ კონტროლს საბჭოთა ახალ ელჩ იურენევის და მის თანაშემწეთა მოქმედებაზე“ (ადს).

კომინტერნში

ინგლისის კომპარტია ოპოზიციის შესახებ

ლონდონი, 9 ოქტომბერი. „უორკერს ლაიფი“ კრიტიკას უკეთებს ტროცკის და ოპოზიციას და სწერს:

„მათ შეუძლიათ სიტყვიერათ გვარწმუნონ თავის ურყევ ლოიალობაში, მაგრამ მათი პოლიტიკა ხელს უწყობს იმპერიალისტების სამზადისს და პროპაგანდას ომისათვის. ის ბრძოლა ომის საშიშროების წინააღმდეგ, რომელსაც აწარმოებენ კომინტერნის ყველა სექციები, ნათლად ააშკარავებს რუსეთის ოპოზიციის ანტი-კომუნისტურ და ანტი-რევოლიუციონურ მოქმედებას“. (ადს).

კომინტერნი და ავსტრიის კომპარტია

ვენა, 9 ოქტომბერი. „როტე ფანემ“ მთლიანად გამოაქვეყნა კომინტერნის აღმასკომის პრეზიდიუმის რეზოლიუცია ივლისის ამბების შესახებ და დასძენს, რომ კომპარტია მთლიანად გამოიყენებს კომინტერნის ძმურ რჩევას, რომელსაც ის იძლევა მსოფლიოს კომუნისტური პარტიის მიერ დაგროვილ გამოცდილების მიხედვით. (ადს).

ფრანგები ლივანში

ანგორა, 9 ოქტომბერი. სირიიდან მიღებული ცნობებით, სამხრეთ - ლივანში დაპატიმრებულია 100-ზე დრუზი. მათი დაპატიმრების მიზეზია ვითომდა ახალი შეთქმულების აღმოჩენა საფრანგეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. დაპატიმრებამ საყოველთაო აღშფოთება გამოიწვია მოსახლეობაში.

აჯანყებულთა პროცესი

ალეპოში

ანგორა, 9 ოქტომბერი. ალეპოში (სირია), დასრულდა სამი აჯანყებულის პროცესი. ბრალდებულთ გადაუწყვიტეს სიკვდილით დასჯა. (ადს).

ხოლერა ირაკში

ანგორა, 9 ოქტომბერი. უკანასკნელ კვირაში ირაკში შენელდა ხოლერის ეპიდემია. (ადს).

ოთხთა პროცესი

პარიზი, 9 ოქტომბერი. საგანგებო სასამართლოში დამთავრდა ოთხი პირის პროცესი, რომელთაც ბრალად ედებოდა ფულადი დახმარების მიღება რემედასის საქმეზე დაპატიმრებულთათვის გადასაცემად. ყველა ბრალდებულებს მიუსაჯეს დაპატიმრება 1 ნახ.-დან 3 წლამდე (ადს).

დიდი ხანძარი

ინდოეთში

ლონდონი, 9 ოქტომბერი. რეიტერის სააგენტო იუწყება, რომ 7 ოქტომბერს შემთხვევითი მიზეზით დაწყებულმა ხანძარმა პეშავერის (ინდოეთი, ავღანისტანის საზღვრის მახლობლად) ყველაზე უფრო მჭიდროდ დასახლებულ უბანში მოსპო ათასზე მეტი სახლი (ადს).

ინგლისის ინტრიგები

ლონდონი, 9 ოქტომბერი. „ფაინანშიელ ნიუსი“ კომენტარიებს უკეთებს ლატვია-საბჭოთა ხელშეკრულებას და სწერს:

„თუ ლატვიის მთავრობა დაამტკიცებს ხელშეკრულებას, ამით ის შექმნის ახალ სიძნელეებს ლატვიისა და ინგლისს შორის უფრო მჭიდრო საფინანსო და სავაჭრო დამოკიდებულების განვითარების გზაზე. ლონდონის ბანკირთა და საქმიან წრეებში ფიქრობენ, რომ ხელშეკრულება არაა ხელსაყრელი ლატვიისათვის, ვინაიდან ის მთელ რიგ პრივილეგიებს აძლევს საბჭოთა რუსეთს, ხოლო სამაგიეროდ კი არაფერს არ ღებულობს. ინგლისის თვალსაზრისით, ხელშეკრულების რატიფიკაცია მეტად არახელსაყრელია იმით, რომ ის უზრუნველყოფს უპირატესობის მიცემას რუსეთის საქონლისათვის, ინგლისურ საქონელთან შედარებით“ (ადს).

ამხ. კეგლეშის წერილი

პრაღა, 9 ოქტომბერი. კებლეშისაგან ციხიდან მიღებულია წერილი. ამ წერილში იგი ააშკარავებს რუმინეთის პოლიციის მოქმედებას, რომელიც სცდილობდა კებლეშის გაცემას და მის წინააღმდეგ აყენებდა ყალბ ბრალდებებს. კებლეში აღნიშნავს, რომ ჩეხო-სლოვაკიის პოლიტიკა არ იჩენს საკმაო ობიექტიობას და თხოულობს, რომ მისი დაცვა სწარმოებდეს არა მიმართულებით: პოლიტიკურ გამოსვლების საშუალებით და იმის დამტკიცებით, რომ მის წინააღმდეგ წაყენებული ბრალდებანი სავსებით ყალბია. (ადს).

მიწის ძვრა ვენაში

მიწის ძვრა ვენაში 790 [illegible]

ვენა, 9 ოქტომბერი. 8 ოქტომბერს 20 ს. 4 წ. ვენაში მოხდა მიწის ძვრა, რომელიც 10 წამს გაგრძელდა. მიწის ბიძგებმა პანიკა გამოიწვია ხალხში. ტელეფონმა და ტრამვაიმ ამ ხნის განმავლობაში შეწყვიტა მუშაობა. ზოგიერთ ადგილას, განსაკუთრებით ქალაქის განაპირა უბნებში შენობები დაიბზარა. მიწის ძვრას ადამიანის მსხვერპლი არ მოჰყოლია.

საბჭოთა კავშირში

რუსეთი

უკრაინის ცაკის სესია

ხარკოვი, 10 ოქტომბერი. გაიხსნა სრულიად უკრაინის ცაკის მეორე სესია. სესიის დღის წესრიგის მიღების შემდეგ მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა სრ. უკრაინის ცაკის თავმჯდომარე ამხ. პეტროვსკი. (ადს).

სამხედრო ექიმთა გამოშვება

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს ბრძანებაში მუშურ-გლეხური წითელი არმიის აკადემიის მიერ სამხედრო ექიმთა მორიგ გამოშვების გამო ნათქვამია:

„ჯანმრთელობის დაცვა მუშურ-გლეხურ წითელ არმიაში საბჭოთა კავშირის შეიარაღებულ ძალთა ბრძოლის უნარიანობის განმტკიცების საწინდარია. ომის საფრთხე კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას აძლევს ჯანმრთელობის საქმეს. საბჭოთა კავშირის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭო მოუწოდებს ახალგაზრდა სამხედრო ექიმებს ერთსულოვანი და ენერგიული მუშაობისაკენ; მას ეჭვი არ შეჰყავს, რომ მუშურ-გლეხური წითელი არმია მათი სახით მიიღებს ერთგულ მუშაკებს. (ადს).

კომკავშირის შაბათობა

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა სამეურნეო ორგ-ცებს ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საკავშირო ახალგ. ლენ. კავშირის ცაკის მიერ მოწყობილ შაბათობის ჩატარებას. სამეურნეო ორგანოებმა შაბათობის მუშაობის დროს უნდა გამონახონ სათანადო მუშაობა, რომელიც შეტანილია ამა თუ იმ წარმოების გეგმაში და გათვალისწინებულია ხარჯთაღრიცხვით. (ადს).

ამხ. სმირნოვი მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ყრილობის შესახებ

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. რ. ს. ფ. ს. რ. მიწათმოქმედების სახ. კომისარმა ამხ. სმირნოვმა საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ყრილობის შესახებ განაცხადა შემდეგი:

„ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის მომზადებისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ქალთა აქტივობა და მონაწილეობა საბჭოთა აღმშენებლობაში. მაგრამ მიღწეული შედეგები საკმაო არ არის. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ კიდევ უფრო გავაძლიეროთ ქალთა აქტივობა, ჩავაბათ ისინი საბჭოთა აღმშენებლობის მუშაობაში; სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის განვითარების საქმეში და კულტურული მუშაობის ყოველ დარგში. ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელთა ერთსულოვანი მუშაობით, მუშა-ქალთა და გლეხ-ქალთა ახალი მასების აქტიური ზრდით ჩვენ თვითეულ შედეგებს მივაღწევთ სოციალიზმის მშენებლობის საქმეში. (ადს).

უცხოეთის მუშათა დელეგაციები

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. იაგლომ საბჭოთა კავშირის დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა, რომ მიღებული ცნობების მიხედვით, ყველა ქვეყნებში ენერგიული მზადება სწარმოებს ოქტომბრის ათი წლის თავისათვის. უკვე შედგენილია და საბჭოთა კავშირში მომგზავრება პროფკავშირთა შემდეგი დელეგაციები: ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების პროფკავშირთა დელეგაცია—50 კაცი, ბელგიის—30, ინგლისის—60, გერმანიის—60, ფინეთის—20, საფრანგეთის—30, ნორვეგიის—20, შვეციის—20, ჩეხო - სლოვაკიის—50, ირლანდიის—10, შვეიცარიის—15 და ავსტრიის—12 კაცი. არის ცნობები აგრეთვე, რომ დელეგაციები ჩამოვლენ არგენტინიდან, ბრაზილიიდან და ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებიდან. 13 და 14 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში ჩამოვლენ გერმანიის და შვეიცარიის დელეგაციები.

საკავშირო პროფკავშირთა ცენტ. საბჭომ ინგლისის კომიტეტისაგან (საბჭოთა კავშირში გამოსამგზავრებელი დელეგაციების მომწყობი კომიტეტი) მიიღო წინადადება, რომ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულის დღეებში საბჭოთა კავშირში მოწვეულ იქნას საბჭოთა კავშირის მეგობართა კონფერენცია, რომელიც განიხილავს ომის საფრთხეს და შეიმუშავებს ზომებს მსოფლიოში პირველი მუშურ-გლეხური რესპუბლიკის დასაცავად. საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ დეპეშით აცნობა, რომ იგი მზად არის ხელი შეუწყოს ასეთი კონფერენციის მოწვევას. მთელი რიგი დელეგაციებისა არა მარტო მონაწილეობას მიიღებენ ოქტომბრის რევოლიუციის ათი წლის თავის დღესასწაულში, არამედ ინახულებენ აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა უმთავრეს ცენტრებს.

საკავშირო კომპარტიის (ბ) ცკამ და საკავშირო პროფკავშირთა ცენტრ. საბჭომ ადგილებს დაუგზავნეს ცირკულიარი, რომ დახმარება აღმოუჩინონ დელეგაციების ყველა წევრებს მათ მუშაობაში წარმოების სხვადასხვა დარგებისა და ყოფა-ცხოვრების გასაცნობად.

მასალები ამხ. სტალინის შესახებ

ბაქო, 10 ოქტომბერი. აზერბეიჯანის სახელმწიფო არქივი ამჟამად აგროვებს და არჩევს საარქივო მასალებს ამხ. სტალინის არალეგალურ მოღვაწეობის შესახებ ამიერ-კავკასიაში. მასალები გამოიცემა ცალკე ბროშიურად ოქტომბრის რევოლიუციის მეათე წლის თავზე.

ბაქოს ყოფილ ჟანდარმთა სამმართველოს არქივებში აღმოჩენილი ჯერ უცნობი და გამოუქვეყნებელი საბუთები და ამხ. კობას (სტალინის) ფოტოგრაფიული სურათები.

ჟანდარმთა სამმართველოს საქმე № 75, რომელიც ეხება 1910—11 წ., დაკავშირებულია ამხ. სტალინის დაპატიმრებასთან და მის გაგზავნასთან „ციმბირის ყველაზე უფრო შორეულ ადგილებში, ვინაიდან ის არის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ლიდერი და ამასთანავე არა ერთხელ გაიქცა და გადაიმალა პოლიციის მეთვალყურეობიდან“.

მასალების შერჩევა გრძელდება; საბუთები ამხ. სტალინის შესახებ მოძებნილი იქნება ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქებშიაც (ადს).

მოჭადრაკეთა საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. გაიხსნა მოჭადრაკეთა სრულიად საკავშირო ყრილობის საზეიმო ნაწილი. მოხსენებით მოჭადრაკეთა მოძრაობის მორიგი ამოცანების შესახებ გამოვიდა ამხ. კრილენკო.

„საბჭოთა კოლექტიურ მოჭადრაკეთა მოძრაობა,—განაცხადა მომხსენებელმა,—იღებს მასიურ კოლექტიურ ფორმებს. საბჭოთა ჭადრაკი ორგანიზაციებიდან განდევნილია ფულის ინტერესი. ახალი ნიჭები თავს იჩენენ მოჭადრაკეთა მასის თამაშის თვისობრივი მხარის ამაღლებით. ამასთან დაკავშირებით უნდა გადაისინჯოს მოჭადრაკეთა ორგანიზაციების სრულიად საკავშირო შეჯიბრების პრინციპი, ეს შეჯიბრები იშვიათად, რამდენიმე წლის გამოშვებით, უნდა იმართებოდეს, მხოლოდ მაშინ შესძლებენ ისინი ახალგაზრდა ნიჭიერ მოჭადრაკეების დაწინაურებას. დასავლეთის მუშა-მოჭადრაკეთა ორგანიზაციებთან დაახლოვების მიზნით საბჭოთა კავშირში უნდა იმართებოდეს საერთაშორისო მუშა-მოჭადრაკეთა შეჯიბრი“.

ამხ. ლევმანის მოხსენების შემდეგ პროფკავშირთა საჭადრაკო მუშაობის შესახებ, ყრილობა გადავიდა სექციების მუშაობაზე (ადს).

პარტია და ტროცკისტული ოპოზიცია

ამხ. რუძუტაკის მოხსენება

სოხუმის პარტაქტივის კრებაზე 3 ოქტომბერს

ინდუსტრიალიზაციის გზით

ჩვენი ქვეყანა მიმდინარე მომენტში,—განაცხადა ამხ. რუძუტაკმა— განიცდის ერთგვარ ისტორიულ გარდატეხას. ჩვენ წინაშე მწვავედ დგას საკითხი—შეგვიძლია თუ არა ჩვენ მახლობელ წლებში განვაგრძოთ ჩვენს ქვეყანაში მშვიდობიანი აღმშენებლობა, თუ იძულებული ვიქნებით მობილიზაცია უყოთ ყოველგვარ საშუალებებს, მტრების თავდასხმის მოსაგერიებლად. მშვიდობიან აღმშენებლობის გაძლიერებამ დაარწმუნა ჩვენი მტრები, რომ ჩვენ საკმაოდ მოგვეპოება ძალები იმისათვის, რომ გავიზარდოთ და გავძლიერდეთ. მათ ეგონათ, რომ საკმარისი იყო დაეწყოთ ჩვენთან ვაჭრობა, რომ ისინი შესძლებდენ ჩვენი ქვეყნის გავსებას თავიანთი საქონლით და მის გადაქცევას მხოლოდ და მხოლოდ პროდუქტების მომხმარებელ ქვეყნად. მშვიდობიან აღმშენებლობის მოკლე ვადაში ჩვენ არამც თუ შევძელით მრეწველობის ომიანობის დროინდელ დონეს აღდგენა, არამედ მრეწველობის ახალ დარგების შექმნაც.

ამჟამად ჩვენ შევუდექით ისეთი ქარხნების აგებას, რომლებიც საშუალებას მოგვცემენ ჩვენი ქარხნებისათვის საჭირო მოწყობილობის დამზადებისას. მრეწველობის ორგანიზაცია, რომელიც შესძლებს ყველაფრის დამზადებას, რაც ჩვენთვის საჭიროა, ნიშნავს ქვეყნის განთავისუფლებას უცხო კაპიტალის დამოკიდებულებისაგან. ამიტომ ინდუსტრიალიზაციის საქმეში ერთნაირად დაინტერესებული არიან, როგორც მუშათა კლასი, ისე გლეხობა. ინდუსტრიალიზაციის გეგმის განხორციელებაზეა დამოკიდებული ქალაქის და სოფლის დაკავშირების საკითხი. ინდუსტრიალიზაციის საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული თავდაცვის საკითხთან, ვინაიდან მომავალ ომში გამარჯვებას მოიპოვებს ის, ვის მხარეზეც იქნება უფრო მეტი და უკეთესი ტეხნიკა. სწორედ ამიტომ ინდუსტრიალიზაციის საკითხი არის ძირითადი საკითხი, რომელიც გარშემო თავს იყრის ყველა დანარჩენი საკითხები.

ჩვენ დავარწმუნეთ ჩვენი მტრები, რომ ეკონომიურად ისინი ჩვენ ვერ დაგვამარცხებენ. სწორედ ამიტომ კვლავ იწყეს იარაღის ჟღარუნი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

რომ ჩვენ ამჟამად გვაქვს აღდგენილი სასოფლო მეურნეობა და განვითარების პროცესში მყოფი მრეწველობა, განა ყოველივე ეს შექმნილი არ არის მუშების და გლეხების ხელით, უცხოეთის დაუხმარებლად?

ამიტომ ცხადია: დავა, რომელმაც თავი იჩინა ჩვენს პარტიაში—შევსძლებთ თუ არა სოციალიზმის აშენებას ჩვენი ირგვლივ მდებარე ქვეყნების დაუხმარებლად—მხურვალე გამოძახილს პოულობს დასავლეთ ევროპის კაპიტალისტების შორის. მათაც იმედი ჰქონდათ, რომ ვერ ავაშენებთ სოციალიზმს ჩვენს ქვეყანაში, ხოლო დღეს ისინი დარწმუნდნენ, რომ ვაშენებთ სოციალიზმს მათი დახმარების გარეშე და თუ გინდ მათ გამოაცხადონ ეკონომიური ბლოკადა—ჩვენ მაინც არ დავიღუპებით. მართალია, მრეწველობის ტემპი ცოტათი შენელდებოდა, ვინაიდან ჩვენ ვერ შევძლებდით საზღვარგარეთიდან მოწყობილობის მიღებას, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვერ მოვახერხებდით ამ მოწყობილობის დამზადებას საკუთარ ძალებით, ზაჰესსა და „ვოლხოვსტროიზე“ ჩვენი ტურბინები უფრო ცუდათ არ მუშაობენ, ვიდრე საზღვარგარეთელი მანქანები

ომის საფრთხე და ოპოზიცია

სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს კაპიტალისტურ ქვეყნების მთლიანი ფრონტი, ვინაიდან კაპიტალისტებმა მოახერხეს პროფკავშირების და პოლიტიკურ პარტიების ზედა ფენების ხელში ჩაგდება და მუშათა მასების დაპყრობა. ამიტომ საბჭოთა კავშირის დაცვის საკითხი, საკითხი იმის შესახებ, რომ გავფანტოთ ჩვენს წინააღმდეგ წარმოებულ ცილისწამების და ჭორების კამპანია, ამჟამად წარმოადგენს ძირითად პრობლემას. და როცა ამ დროს გამოდიან ჩვენი და საზღვარგარეთელი ოპოზიციონერები და აცხადებენ, რომ ჩვენში არ არსებობს მუშათა მთავრობა, რომ მისი პოლიტიკის შედეგია კავშირის შეკვრა ღარიბ გლეხობის წინააღმდეგ, რომ ის უერთდება ნეპმანს მუშათა კლასის წინააღმდეგ—ჩვენ უნდა ვთქვათ, რომ ამას ამბობენ საბჭოთა ხელისუფლების მტრები.

ამბობენ, რომ ჩვენ საკმაო ტემპით ვერ ვანხორციელებთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას. შეიძლება ეს მართალიც იყოს, მაგრამ ამისათვის საჭიროა სახსრები და აი, აქ გამოდიან ისეთი ჭკუიანი ადამიანები, როგორიცაა ამხ. ზინოვიევი, რომელიც ამბობს: თქვენ შეგიძლიათ გლეხს და მოხელეს გამოართვათ თითო მილიარდი მანეთი და მიიღებთ ორ მილიარდ მანეთს. ამხ. ზინოვიევმა ალბათ არ იცის, რომ ის ფულები, რომელსაც ჩვენ ვღებულობთ გლეხებისაგან, ხმარდება არა მრეწველობას, არამედ ადგილობრივ ბიუჯეტს. გარდა ამისა, ჩვენი პოლიტიკის მიზანია სოფლის აღორძინება.

ამხ. რუძუტაკი

—:—

განა ამხ. ზინოვიევი, რომელიც ყვიროდა, რომ ცკა ილაშქრებს მუშათა კლასის წინააღმდეგ, რომ პარტია იღუპება. განა ის არ გაიძახოდა, რომ დღეს ან ხვალ დაიწყება ომი, რომ ჩვენ ვიმყოფებით თავდასხმის წინ? განა ეს არ არის კაპიტალისტურ მთავრობების გამოწვევა, რომ დადგა ჟამი, როცა შეიძლება კავშირზე თავდასხმა?

ოპოზიცია ამ საკითხზე ლაპარაკით აწარმოებს კონტრ-რევოლიუციონურ მუშაობას კავშირის შიგნით, ის ბადებს იმ რწმენას ჩვენს მტრებს შორის, რომ შეიძლება ომის დაწყება ჩვენ წინააღმდეგ იმიტომ, რომ მუშათა კლასი არ იცავს ცკას და არსებულ მთავრობას.

ოპოზიციონური დემაგოგია

მე უნდა ვსთქვა, რომ ამხ. ზინოვიევის, პრეობრაჟენსკის და შაროვის განცხადება, რომ ცკა დაადგა რეპრესიების გზას, რაც შეაფერხებს მტკივნეულ საკითხების განხილვის ნორმალურ მსვლელობას, მტკნარი სიცრუეა. განა ყველა უჯრედებში არ განხილულა საკითხები ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების, ჩინეთის რევოლიუციის, ინგლის-რუსეთის კომიტეტის, ღარიბების და კულაკების შესახებ?

ეს საკითხები უკვე განიხილა ჩვენმა პარტიამ და ამიტომ ოპოზიციამ კეთილინებოს და დაემორჩილოს პარტიულ გადაწყვეტილებებს.

ამას წინეთ ამხ. ტროცკიმ მოიყვანა მაგალითი, რომ იმპერიალისტურ ომის დროს, როცა საფრანგეთში ძალა-უფლების სათავეში იდგა მერყევი ხალხი, რომელთაც არ იცოდნენ, თუ როგორი ორიენტაცია აელოთ—სოციალ-დემოკრატებზე თუ როიალისტებზე—მოვიდა გაბედული კლემანსო და როცა გერმანელები იდგნენ პარიზიდან 80 კილომეტრის მოშორებით, დაამხო მთავრობა და აიღო ძალა-უფლება. თუ მტერი მოესწრობა ამას და 80 კილომეტ. მანძილზე მიუახლოვდა მოსკოვს, მაშინ ახალი კლემანსო, ტროცკი, აიღებს ძალა-უფლების სადავეს ხელში და იხსნის ჩვენს მთავრობას მტერთა შემოსევისაგან. მე კი ვფიქრობ, რომ უკვე გვიანი იქნება ქვეყნის ხსნა, როცა მტერი 80 კილომეტრის მანძილზე მიუახლოვდება დედა ქალაქს, ჩვენი ქვეყანა უნდა დავიცვათ დღესვე.

ოპოზიციის სიტყვა და საქმე

ოპოზიციამ გასული წლის ოქტომბერში დასდო წერილობითი განცხადება, რომ შეცდარათ სთვლის თავის პოლიტიკას, შემდეგში ხელს იღებს ყოველგვარ ფრაქციულ მუშაობაზე და ცხოვრებაში გაატარებს ცკას გადაწყვეტილებებს. იმ დროს, როცა ოპოზიცია გამოვიდა ამ განცხადებით, ამხ. ზინოვიევი და სხვები გამოვიდენ ლენინგრადში აგიტაციით ფაბრიკა-ქარხნებში. სექტემბრის პლენუმზე ოპოზიციამ უარი განაცხადა ფრაქციულ ბრძოლაზე, ხოლო ამის შემდეგ ჩვენ ვხედავთ, რომ ისინი საზღვარგარეთ უგზავნიან მასლოვს და რუთ ფიშერს ჩვენს პარტიულ საიდუმლო დოკუმენტებს. ეს დოკუმენტები გამოქვეყნებულ იქნა გერმანიის კონტრ-რევოლიუციონერების მიერ.

ოპოზიციონერები თავიანთ უკანასკნელ განცხადებაში სწერენ, რომ ყრილობის წინ მათ სურთ გამოსთქვან თავიანთი აზრი.

უკვე გამოცხადებული იყო, რომ დისკუსია დაიწყება ყრილობამდე ერთი თვით ადრე, მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ცკას თეზისების გამოქვეყნების შემდეგ დაიწყება დისკუსია.

როგორ შეიძლება დისკუსიის გახსნა იმ თეზისების გარშემო, რომლებიც ჯერ არ შეუდგენიათ და მიღებული არ არის? მხოლოდ მახლობელ 20 ოქტომბრის პლენუმმა უნდა მიიღოს ისინი. ოპოზიცია კი უკვე აწარმოებს მსჯელობას ამ თეზისების გარშემო და ისე შორს შიდის, რომ აარსებს არალეგალურ კომიტეტს, საკუთარ სტამბას. ამის შემდეგ ეს ხალხი კიდევ სტირის იმის გამო, რომ, როგორ შეიძლებოდა ისეთ „უზრდელობის“ ჩადენა, როგორიცაა ამ სტამბის და აქ მომუშავე ხალხის აღმოჩენა.

პარტიის მთლიანობა დაცული იქნება

აქ ლაპარაკია ჩვენი პარტიის ხელმძღვანელობის მეთოდებზე, ლაპარაკია იმაზე, რომ მთელს ქვეყანას უნდა ხელმძღვანელობდეს მთელი პარტია. ამჟამად ჩვენ გადაჭრით უნდა ვსთქვათ, რომ ჩვენს პარტიაში არ მოიპოვება ისეთი ადამიანი, რომელსაც შეეძლოს პირადათ გაუძღვეს პარტიას. იყო ერთი ასეთი კაცი—ლენინი. ის უკვე აღარ გვყავს. ამჟამად პარტიის ხელმძღვანელობა შეუძლია მხოლოდ ცკას. შეგვიძლია თუ არა ჩვენ დავუთმოთ პარტიის ხელმძღვანელობა ამ გამთიშველებს და ჩამოშორებულებს. ჩვენ, რომ ეს ჩავიდინოთ, ჩვენ მაშინ გადავიქცეოდით კონტრ-რევოლიუციონურ პარტიად, ხოლო ასეთი პარტია ვერ შესძლებდა გამარჯვების უზრუნველყოფას ახალ თავდასხმის შემთხვევაში.

ამიტომ ჩვენ მხოლოდ მთელს პარტიასთან ერთად ვიქნებით ძლიერნი და გავიმარჯვებთ. (მხურვალე ტაში).

რეზოლიუცია

ერთხმად მიღებულ რეზოლიუციაში **სოხუმის ორგანიზაცია გადაჭრით გმობს ოპოზიციის მოქმედებას და, სცნობს რა სწორად ცკას მიერ მიღებულ ზომებს, აღუთქვამს მას ერთსულოვან დახმარებას და მოუწოდებს მთელი აფხაზეთის ორგანიზაციას მტკიცე, გადამწყვეტ ბრძოლისაკენ გამთიშველ ოპოზიციონერების წინააღმდეგ.**

შრომის ნაყოფიერება და შრომის ხელფასი საქართველოს მრეწველობაში

შრომის ნაყოფიერების და შრომის ხელფასის დინამიკა საუკეთესო მაჩვენებელია, როგორც სახალხო მეურნეობის წინსვლის, ისე მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების. შრომის ნაყოფიერების ჩქარი ზრდა მაჩვენებელია იმის, რომ ჩვენი მრეწველობა დაბალ ტეხნიკურ საფეხურიდან თანდათანობით გადადის მაღალზე. ნაყოფიერების ზრდა იწვევს არა მარტო სამრეწველო პროდუქციის გადიდებას, არამედ ის ქმნის შრომის ხელფასის მომატების რეალურ წყაროს. ხელფასის და ნაყოფიერების პარალელური ზრდა, რომელსაც ადგილი აქვს საბჭოთა საქართველოში და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ამტკიცებს იმას, რომ პროლეტარულ ხელისუფლების მიერ პრაქტიკულად ტარდება მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. მცხოვრებლების სხვა ნაწილთან შედარებით მუშათა კლასის მდგომარეობის გაუმჯობესება გაცილებით უფრო ჩქარი ტემპით მიმდინარეობს. საკავშირო საგეგმო კომისიის ცნობის მიხედვით საბჭოთა კავშირში მუშათა კლასის შემოსავალი და მთელი მცხოვრებლების შემოსავალი უკანასკნელ წლებში ზრდის შემდეგ სურათს იძლევა:

	მცხოვრებლების შემოსავალი.	დაქირავებულ პირთა შემოსავალი.
23—24 წელი	100 პროც.	100 პროც.
24—25 წელი	129 პროც.	148 პროც.
25—26 წელი	160 პროც.	215 პროც.

მოყვანილი ცნობა გვიჩვენებს, რომ ორი წლის განმავლობაში დაქირავებულ შრომის პირთა შემოსავალი გაზრდილა 115 პროცენტით, მცხოვრებლების —კი მხოლოდ 60 პროცენტით. იგივე წყაროები ამბობს, რომ დაქირავებულ პირთა შემოსავალი მთელ სახალხო მეურნეობის შემოსავალში 1923—24 წელში შეადგენდა 23.2 პროც., 1925—26 წ.—28.8 პროც., 1926—27 წელ. — 29.8 პროც. და პერსპექტიული ხუთ წლიანი გეგმით ის უნდა გახდეს 1930—31 წელში — 34 პროც. ომის წინ კი დაქირავებულ პირთა შემოსავალი შეადგენდა საერთო შემოსავლის 22 პროცენტს. ამრიგად სახალხო მეურნეობის შემოსავლიანობის აბსოლიუტურ ზრდასთან ერთად მუშათა კლასის შემოსავლის ნაწილი საერთო შემოსავალში იზრდებოდა არა მარტო აბსოლიუტურად, არამედ შედარებითაც. ზრდის ასეთი ტენდენცია ბევრის მთქმელია. ასეთ დამოკიდებულებას ადგილი აქვს მხოლოდ საბჭოთა რესპუბლიკებში. ბურჟუაზიულ ქვეყნებში კი პირიქით საერთო შემოსავლის ზრდის დროს მუშათა კლასის შემოსავლის ნაწილი შედარებით მცირდება.

შრომის ნაყოფიერების ზრდის საკითხი გავლენას ახდენს არა მარტო წარმოებაში ჩაბმულ მუშათა ხელფასის ზრდაზე, არამედ უმუშევრობის რიცხვის შემცირებაზეც. რამდენათ მეტი იქნება გამომუშავებული ღირებულება წარმოებაში დაბანდებულ ერთ მუშის მიერ, იმდენათ მეტი შესაძლებლობა გვექნება ახალი წარმოებების მოწყობის და ძველების გაფართოვების. ეს კი ნიშნავს უმუშევრებისათვის სამუშაოს მიწოდებას.

შრომის ნაყოფიერების საკითხებს დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენი წარმოების პრაქტიკულ მუშაობაში. ის მაჩვენებელია თუ რამდენად მაღლა სდგას შრომის დისციპლინა, როგორ ინტენსივობით მიმდინარეობს მუშაობა და როგორ უნარს იჩენს ადმინისტრაცია წარმოების პროცესის რაციონალურად დაყენებაში. კარგი სამეურნეო მუშაკი სისტემატიურად უნდა აწარმოებდეს შრომის ნაყოფიერების მდგომარეობის გამორკვევას და მთელი რიგი პრაქტიკული ზომებით ხელს უწყობდეს მის შემდგომ აწევას.

სანამ გადავიდოდეთ შრომის ნაყოფიერების და შრომის ხელფასის ზრდის რიცხვობრივ დახასიათებაზე უნდა ითქვას, რომ შრომის ნაყოფიერებაზე გავლენას ახდენს, როგორც მუშის ინტენსიურ მუშაობის ხარისხი, ისე ორგანიზაციულ ტეხნიკური ზომებიც. შეიძლება შრომის ინტენსივობის ზრდას ადგილი არ ჰქონდეს და ამავე დროს შრომის ნაყოფიერება წარმოების ორგანიზაციულ - ტეხნიკურ გაუმჯობესებით გაიზარდოს. შეიძლება პირიქითაც, ადმინისტრაციას წარმოების პროცესში არავითარი გაუმჯობესება არ შეეტანოს, მაგრამ მუშის შრომის ინტენსივობით შრომის ნაყოფიერება გაიზარდოს.

შრომის ნაყოფიერების საზომად ჩვეულებრივად იღებენ ერთ მუშის მიერ დღის განმავლობაში დამუშავებულ ღირებულებას. ამისათვის წარმოების საერთო პროდუქციას ჰყოფენ ნამუშევარ კაც-დღეთა რიცხვზე. ნაყოფიერების ასეთი ანგარიში ცხადია, შეიცავს მთელ რიგ დეფექტებს, მაგრამ საერთოდ ისინი დიდ გავლენას არ ახდენენ ნაყოფიერების რაოდენობის გამორკვევაზე და გამოანგარიშების ეს მეთოდი იძლევა დაახლოვებით სწორ ცნობებს, ნაყოფიერების დინამიკაზე კი ამ მეთოდით გამოანგარიშების შეცდომებს უმნიშვნელო გავლენა აქვს, რამდენათაც სხვადასხვა პერიოდების ნაყოფიერების შედარება ხდება გამოანგარიშების ერთი მეთოდით მიღებულ ციფრების საშუალებით.

საქართველოს ცალკე სამრეწველო დარგებში შრომის ნაყოფიერების და ხელფასის დინამიკის დახასიათებამდე საჭიროა საერთო საშუალო ცნობების მოყვანა ყველა სამრეწველო დარგებისათვის ერთად. უნდა ითქვას, რომ შრომის ნაყოფიერების აღრიცხვა და ანგარიში საქართველოში აქამდი სუსტად სწარმოებდა. ამიტომ საერთო საშუალო ციფრები საქართველოს ყველა სამრეწველო დარგებისათვის არ არსებობს. იძულებული ვართ მოვიყვანოთ საერთო ცნობები მთელი საბჭოთა რესპუბლიკების შესახებ. ეს ცნობები დაახლოვებით საქართველოსათვისაც დამახასიათებელი იქნება, ვინაიდან შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ზრდის ტენდენცია თითქმის ერთნაირი იყო, როგორც აქ, ისე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში. ცოტაოდენი განსხვავება გამოიხატებოდა იმაში, რომ 22—23 წლებში ჩვენში შრომის ნაყოფიერება შედარებით უფრო დაბლა იდგა, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში, ხელფასი კი პირიქით შედარებით უფრო მაღლა.

საკავშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით შრომის ნაყოფიერების და შრომის ხელფასის ზრდა საშუალოდ ყველა სამრეწველო დარგებში 22—23 წლიდან 27 წლამდე შემდეგ სახით მიმდინარეობდა:

	გამომუშავება ერთ კაც. დღეზე ძველ მანეთებში	დღიური ხელფასი (ძველ მანეთებში)
1922—23 წ.	3,47	0,68
1923—24 წ.	4,06	0,89
1924—25 წ.	5,65	1 მ. 11 კ.
1925—26 წ.	6,82	1 მ. 30 კ.
1926—27 წლის პირველი ნახევარი.	6,78	1 მ. 37 კ.

ნაყოფიერება (გამომუშავება ერთ კაც. დღეზე) სამნახევარ წელიწადში გაზრდილა 96 პროცენტით, რეალური დღიური ხელფასი კი ამავე პერიოდში 118 პროცენტით.

შრომის ხელფასათ ჩვეულებრივ ითვლება ის, რაც წმინდათ ხელზე ეძლევა მუშას, მაგრამ როცა ხელფასის რაოდენობის ზრდას ვადარებთ შრომის ნაყოფიერების ზრდას, ან ახლანდელ ხელფასს ომამდე არსებულთან, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ **აგრეთვე მთელი რიგი ხარჯები, რომელსაც საბჭოთა მრეწველობა ეწევა მუშებისათვის.** 1925—26 წელში ხელფასზე დამატებითი ხარჯები შეადგენდა ხელფასის 32 პროცენტს. მაგალითად სოციალური გადასახადი საშუალოთ — 15 პროც., კავშირების სასარგებლოდ (მუშათა კომიტეტის შესანახი და კულტმუშაობისათვის)—1,7 პროც., სანატორიული საწოლები, ბავშთა ბაგეები და სხვა—0,58 პროც., საქარხნო და პროფტეხნიკურ სკოლებისათვის—1,7 პროც., ბინის ქირის კომპენსაცია და უფასო ბინები—4,5 პროც., უფასო გათბობა განათება, წყალი და კანალიზაცია — 2,6 პროც., სპეცტანსაცმლების ყიდვა — 1,63 პროც. და სხვა. ამას გარდა კიდევ სახელმწიფო წარმოებები მოგებიდან 10 პროც. სდებენ მუშა-მოსამსახურეთა ყოფა - ცხოვრების გაუმჯობესებისათვის. ყველა ზევით ჩამოთვლილი ხარჯები პირდაპირ აუმჯობესებს მუშების მდგომარეობას და წმინდათ მიღებულ ხელფასს ანთავისუფლებს მთელ რიგ აუცილებელ ხარჯებისაგან. **ამრიგათ ფაქტიურათ მუშის ხელფასი 20—30 პროცენტით უფრო მეტია ვიდრე ის ფულათ იღებს.**

საქართველოს ცალკე სამრეწველო დარგების მიხედვით შრომის ნაყოფიერების და ხელფასის ზრდა შემდეგ სურათს იძლევა:

ტყავის წარმოება. — შრომის ნაყოფიერება (გამომუშავება ერთ კაც დღეზე ძველ მანეთებში) და მუშის საშუალო დღიური წმინდა ხელფასის ჩერვონულ მანეთებში საქართველოს ტყავის ტრესტის წარმოებებში უდრიდა:

	გამომუშავება ერთ კაც დღეზე ძველ მანეთებში	დღიური ხელფასი ჩერვონულ მანეთ.
1922—23 წელი	6,5	—
1923—24 „	7,2	1,8
1924—25 „	9,8	2,19
1925—26 „	13,6	2,86
1926—27 წლის პირველი ნახევარი	15,6	3,18

შრომის ნაყოფიერება 1922—23 წლიდან 1926—27 წლის პირველ ნახევრამდე გაზრდილა ტყავის წარმოებაში 140 პროცენტით. საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცნობით 1913 წელში თბილისის ტყავის ქარხნებში შრომის ნაყოფიერება (გამომუშავება ერთ კაცს-დღეზე) უდრიდა 7,2 მანეთს. ახლა კი უდრის 15,6 მანეთს, ე. ი. ახლა ნაყოფიერება ორჯერ უფრო მეტია, ვიდრე იყო ომამდე.

ტყავის მრეწველობის დარგში შრომის ნაყოფიერების ასეთ მნიშვნელოვან ზრდას, გარდა მუშაობის ინტენსივობის აწევისა, ხელი შეუწყო წარმოების ორგანიზაციულ - ტეხნიკურმა გაუმჯობესებამ. დადგმული იქნა ახალი მანქანები და მოწყობილობა, საგრძნობლად შემოკლებული იქნა ტყავის დამზადების ხანგრძლიობა (2—3 კვირის მაგივრად 2—6 დღე), მთელ რიგ სამუშაო პროცესებში შემოღებულ იქნა მექანიზაცია და სხვ.

საკავშირო ტყავის მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება (გამომუშავება ერთ კაც-დღეზე) ძველ მანეთებში უდრიდა 26—27 წლის პირველ ნახევარში 14,50 მან. საქართველოში 15,6 მანეთს.

გასულ 25—26 წელთან შედარებით 26—27 წლის პირველ ნახევარში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 13,6 მანეთიდან 15,6 მანეთამდე (ძველ მანეთებში). ე. ი. 14,7 პროც-ით.

ზევით მოყვანილ ციფრებიდან სჩანს, რომ დღიური საშუალო ხელფასი ჩერვონულ მანეთებში საქართველოს ტყავის წარმოებაში გაზრდილა 23— 24 წლიდან 26—27 წლის პირველ ნახევრამდე 1 მან. 85 კაპ.-დან 3 მან. 18 კაპიკამდე, ანუ 72,4 პროცენტით. გასულ 25—26 წელთან შედარებით 26—27 წლის პირველ ნახევარში ხელფასი მეტია 11,2 პროც-ით.

მუშის საშუალო ხელფასი საქართველოს ტყავის წარმოებაში 26—27 წლის პირველ ნახევარში იმდენივეა, რამდენიც — საბჭოთა კავშირის ამავე დარგის წარმოებებში.

1913 წელში საქართველოს ტყავის წარმოებაში საშუალო თვიური ხელფასი ძველ მანეთებში უდრის 26 მანეთს. ამჟამად იმავე ძველ მანეთებში ის აღემატება 38 მან.

ფეხსაცმელების წარმოებაში (ტყავის ტრესტის ფეხსაცმელების ქარხანაში) შრომის ნაყოფიერება - გამომუშავება ერთ კაც-დღეზე 1925—26 წელში უდრიდა 11,05 ძველ მანეთს, 26—27 წლის პირველ ნახევარში კი ნაყოფიერება აღწევს 13,3 მანეთს, რაც იძლევა ზრდის 18 პროცენტს.

1923—24 წელში გამომუშავება ერთ კაც-დღეზე შრომის ერთეულებში შეადგენდა 1,7, მიმდინარე 26—27 წლის მეორე კვარტალში ის აღწევდა 5,46 შრომის ერთეულს, რაც იძლევა ნაყოფიერების 220 პროცენტით ზრდას. შრომის ნაყოფიერების ასეთ ზრდას ხელი შეუწყო ფეხსაცმელების ქარხანაში ჩატარებულმა ორგანიზაციულ - ტეხნიკურმა ზომებმა. მაგალითად რბილი ფეხსაცმელების ხელით გამოჭრა შეცვლილ იქნა მექანიკურით; ნედლი მასალის ნარჩენები და წანახდენი შემცირდა, რამაც ნედლი მასალის გამოყენება 15—20 პროც-ით გაზარდა; რგოლების გაკეთება ხელით შეიცვალა მექანიკურით; დადგმული იქნა ახალი მანქანები და ბაზგები და ხელით მუშაობის მაგივრად შემოღებული იქნა მანქანებზე მუშაობა; დამუშავებული პროდუქტების გადატანა ხდება მექანიკურად; შეცვლილ იქნა მუშაობის სისტემა, რამაც შეამცირა მასალის წახდენა და სხვ. (ნარდიდან პრემიალურზე გადასვლა).

საშუალო დღიური ხელფასი ჩერვონცებში თბილისის ფეხსაცმელების ქარხანაში 1923—24 წელში უდრიდა 1 მან. 60 კ., 1925—26 წ.—3 მან. 07 კაპ. და 26—27 წლის პირველ ნახევარში 3 მან. 16 კაპ. ამრიგათ 1924 წლიდან 27 წლამდე ხელფასი გაზრდილა 114 პროცენტით.

თამბაქოს წარმოებაში — შრომის ნაყოფიერება და ხელფასის ზრდა შემდეგნაირად მიმდინარეობდა:

	გამომუშავება ერთ კაც-დღეზე შრომის ერთეულებში	დღიური ხელფასი ჩერვონ. მანეთებში
1923—24 წ.	3,5	1 მან. 50 კაპ.
1924—25 წ.	4,4	1 „ 60 „
1925—26 წ.	5,8	2 „ 27 „
1926—27 წ. პირველი ნახევარი	6,92	2 „ 95 „

შრომის ნაყოფიერების ზრდა თამბაქოს ტრესტში 23—24 წლიდან პირველ ნახევრამდე (ჩათვლით) უდრის 98 პროცენტს.

გასულ 24—25 წელთან შედარებით 26—27 წლის პირველ ნახევარში ნაყოფიერება 19 პროც-ით მაღლა სდგას. 1913 წელში „როზა ლიუქსემბურგის“ სახელობის ქარხანაში გამომუშავება ერთ კაც-დღეზე არ აღემატებოდა 3,3 შრომის ერთეულს, ახლა კი ის უდრის 6,92 ერთეულს.

საშუალო გამომუშავება ერთ კაც-დღეზე თამბაქოს წარმოებაში საბჭოთა კავშირის მასშტაბით 26—27 წლის პირველ ნახევარში უდრიდა 14,50 ძველ მანეთს, საქართველოში კი 14,10 მან. თუ რამდენად ჩქარი ტემპით მიდის შრომის ნაყოფიერების ზრდა საქართველოში, ამის დამახასიათებლად მოვიყვანთ შედარებით ცნობებს. ერთ კაც-დღის გამომუშავება შრომის ერთეულებში შეადგენდა:

	25—26 წლის პირ.	26—27 წლის პირ
საქართველოში	5,4	7,1
აზერბეიჯანში	5,84	5,5
უკრაინაში	7,01	8,3
დონის რაიონში	6,57	7,0
ლენინგრადში	8,01	10,6

საქართველოს თამბაქოს წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდას უმეტეს ნაწილად ხელი შეუწყო წარმოების ორგანიზაციულ - ტეხნიკურმა გაუმჯობესებამ. მოხდა ნაწილობრივი კონცენტრაცია, ქარხნების სრული დატვირთვა, დაიდგა 44 ახალი სისტემის მანქანა, რომელიც გამოგონებული იქნა მუშა ნიკოლაევის მიერ (მანქანა იძლევა 36.000 მან. წლიურ ეკონომიას); თბილისის მეორე ქარხანაში შემოღებული იქნა თამბაქოს გადარჩევის კონვეიერული სისტემა,(რაც იძლევა 18 ათას მანეთის წლიურ ეკონომიას); მოწყობილი იქნა ტვირთის ასაწევი მანქანა; ორ გილზის მანქანაზე ამჟამად მუშაობს ერთი მუშა ნაცვლად ორისა (35 ათასი მან. ეკონომია წელიწადში); დადგმულ იქნა ომიაძის მიერ გამოგონებული კოლოფების მჭრელი მანქანა და სხვა.

შრომის ნაყოფიერების გაზრდაში მუშების შრომის ინტენსივობამაც ითამაშა როლი. მაგალითად 1925 წლის დასაწყისში სანარდო სისტემაზე გადასვლამ ინტენსივობა საგრძნობლად აწია. თუ რამდენად გაიზარდა შრომის ინტენსივობა უკანასკნელ წლებში, ეს იქიდან სჩანს, რომ 25—26 წლის პირველ მეოთხედში მუშის გადამუშავება ძირითად განაკვეთზე უდრიდა 34,8 პროც., 26—27 წლის პირველ მეოთხედში კი ის ავიდა 47,4 პროც-მდე.

თამბაქოს წარმოებაში მუშის საშუალო დღიური ხელფასი ჩერვონულ მანეთებში გაზრდილა 1923—24 წლიდან 1926—27 წლის პირველ ნახევრამდე (ჩათვლით) 1 მან. 50 კაპ-დან 2 მან. 59 კაპ-მდე ან 73 პროც-ით. 26—27 წლის პირველ ნახევარში ხელფასი 14 პროც-ით მეტია ვიდრე იყო 25—26 წელში. 1913 წელში „როზა ლიუქსემბურგის“ სახელობის ქარხანაში დღიური ხელფასი უდრიდა 95 კაპ. ახლა კი ის ძველ მანეთების ანგარიშით ერთ მანეთზე მეტია. მაშასადამე ხელფასის ახლანდელი რეალური რაოდენობა თამბაქოს მრეწველობაში უფრო მეტია, ვიდრე იყო ომამდე.

თამბაქოს მრეწველობის დამხმარე წარმოებათ ითვლება თბილისის საკოლოფო ქარხანა. შრომის ნაყოფიერების ზრდა იქ შემდეგ სურათს იძლევა:

	გამომუშავება ერთ კაც დღეზე ძველ მანეთებში
1923—24 წელში	2,52
1924—25 „	3,26
1925—26 „	3,86
1926—27 წლის პირველი ნახევარი	4,60

შრომის ნაყოფიერების ზრდა საკოლოფო ქარხანაში 23—24 წლიდან 26—27 წლის პირველ ნახევრამდე უდრის 82 პროცენტს. 26—27 წლის პირველ ნახევარში ნაყოფიერება 19 პროცენტით მეტია, ვიდრე იყო 25—26 წელში. ნაყოფიერების გაზრდაზე ხსენებულ წარმოებაში იმოქმედა წარმოების პროცესის ნაწილობრივ მექანიზაციამ, ნარდი მუშაობის შემოღებამ და მუშების მიერ კვალიფიკაციის აწევამ.

ქვანახშირის წარმოებაში შრომის ნაყოფიერების და ხელფასის პარალელური ზრდა შემდეგი სახით მიმდინარეობდა:

	ერთ კაც-დღეზე ძველ მანეთებში.	ხი ჩერვონ. მანეთ.
1922—23	1,0	—
1923—24	1,8	1,17
1924—25	2,2	1,45
1925—26	2,41	1,68
1926—27 წლის პირველ ნახევარი	1,99	2,01

22—23 წლიდან 26—27 წლის პირველ ნახევრამდე (ჩათვლით) შრომის ნაყოფიერება ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში გაზრდილა 99 პროც-ით. მიმდინარე 26—27 წლის პირველ ნახევარში ნაყოფიერება გასულ 25—26 წელთან შედარებით დაცემულა 17 პროცენტით. უმთავრესად ეს აიხსნება ხანძრებით, რომელსაც ადგილი ქონდა ტყიბულის მაღაროებში.

ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში შრომის ნაყოფიერება უფრო დაბლა დგას, ვიდრე სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში არსებულ ქვანახშირის წარმოებებში. 25—26 წელში საბჭოთა კავშირის მასშტაბით ქვანახშირის წარმოების შრომის ნაყოფიერების საშუალო რიცხვი იძლევა 2 მან 82 კაპ. (ძველ მანეთებში), საქართველოში კი 2 მან. 41 კაპ., ჩვენში ნაყოფიერება 17 პროც-ით უფრო ნაკლებია.

ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში ძალიან სუსტად ტარდება წარმოების ორგანიზაციულ-ტეხნიკური გაუმჯობესება. მხოლოდ შემოღებული იყო ნახშირის გარეცხვა, რამაც ნახშირის ნაცრიანობა შეამცირა 24 პროცენტიდან 13—15 პროცენტამდე. ამას გარდა მოწყობილი იყო ბრიკეტების დასამზადებელი პრესი. ნახშირის გამოღების მექანიზაცია კი, რომელიც ტარდება დონის ქვანახშირის წარმოებაში, ჩვენში ჯერ კიდევ არ არის შემოღებული.

დღიური საშუალო ხელფასი ტყიბულის ქვანახშირის წარმოებაში ჩერვონულ მანეთებით გაზრდილა 1923—24 წლიდან 26—27 წლის პირველ ნახევრამდე (ჩათვლით) 72 პროც-ით, შრომის ნაყოფიერება კი ამავე პერიოდში უფრო მცირე ზრდას იძლევა. 26—27 წლის პირველ ნახევარში ხელფასი მეტია 19,6 პროც-ით, ვიდრე იყო 25—26 წელში, ამავე დროს ნაყოფიერება შემცირებულა 17,4 პროც-ით. საერთოდ ტყიბულში შრომის ხელფასის ზრდა წინ უსწრებს შრომის ნაყოფიერებას.

ხის დამუშავების მრეწველობაში შრომის ნაყოფიერების აღრიცხვა ძალიან სუსტად სწარმოებს. მხოლოდ უკანასკნელ დროს არის ცდები ამ ნაკლის გამოსასწორებლად. ცნობების უქონლობის გამო შეუძლებელია ამ დარგში ნაყოფიერების დინამიკის დახასიათება რამოდენიმე წლების განმავლობაში.

ხე-ტყის სახერხ ქარხნებში საშუალო გამომუშავება ერთ კაც-დღეზე უდრიდა 25—26 წლის მესამე მეოთხედში 9 მან. 30 კ. (ძველ მანეთებში), 26—27 წლის მესამე მეოთხედში კი 8 მ. 87 კ. თუ ავიღებთ სხვა პერიოდებს, მივიღებთ ნაყოფიერების რაოდენობის მერყეობას, როგორც ზევით, ისე ქვევით. შრომის ხელფასი ასეთ მერყეობას არ განიცდის, მას ეტყობა თანდათანობითი ზრდა. მაგალითად 25—26 წლის მესამე მეოთხედში დღიური ხელფასი ჩერვონულ მანეთებში ხე-ტყის სახერხ ქარხნებში შეადგენდა 2 მან. 25 კაპ. 26—27 წლის მესამე მეოთხედში 2 მან. 39 კაპ.

ავეჯეულობის წარმოებაშიაც შრომის ნაყოფიერების პროგრესიულ ზრდას ვამჩნევთ. 25—26 წლის მესამე მეოთხედში ერთ კაც-დღეზე გამომუშავება უდრიდა 8 მ. 15 კ. (ძველ მანეთებში), 26—27 წლის მესამე მეოთხედში 8 მ. 29 კ. ხსენებულ პერიოდის განმავლობაში ადგილი აქვს ნაყოფიერების ოდნავ ზრდას. მაგრამ თუ ავიღებთ 25—26 წლის მეორე ნახევარს და 26—27 წლის პირველ ნახევარს, აღმოჩნდება, რომ ნაყოფიერება 3 მანეთიდან დასულა 2 მან. 90 კაპ. ხელფასი კი ჩერვონულ მანეთებით ამავე პერიოდში 2 მ. 85 კ. გაზრდილა 3 მ. 13 კ-დე.

საქართველოს ხის დამუშავების წარმოებაში ხელფასის ზრდა უკანასკნელ წლების განმავლობაში შემდეგნაირად მიმდინარეობდა:

	თვიური ხელფასი ჩერვონ. მანეთ.
1924—25	45 მ. 53 კ.
1925—26	53 მ. 77 კ.
1926—27 წლის პირვ. ნახევ.	58 მან.

24—25 წლიდან 26—27 წლის პირველ ნახევრამდე თვიური ხელფასი ჩერვონცებში ხის დამუშავების წარმოებაში გაზრდილა 27,5 პროცენტით.

პოლიგრაფიულ წარმოებაში ნაყოფიერების და ხელფასის ზრდა ტიპო - ლიტოგრაფიის დარგში შემდეგ სურათს იძლევა:

	გამომუშავება ერთ კაც-დღეზე ძველ მანეთ.	დღიური ხელფასი ჩერვონ. მანეთ.
1922—23 წ.	1,5	—
1923—24 წ.	1.8	2,03
1924—25 წ.	2,5	2,58
1925—26 წ.	3,23	3,05
1926—27 წლის პირვ ნახევარი	2,92	3,13

1922—23 წლიდან 26—27 წლის პირველ ნახევრამდე შრომის ნაყოფიერება გაზრდილა 95 პროცენტით, ხოლო უკანასკნელ წელს ადგილი აქვს ნაყოფიერების დაცემას 9,6 პროცენტით. რაც უმთავრესად აიხსნება წარმოების სუსტი დატვირთვით.

23—24 წლიდან 26—27 წლის პირველ ნახევრამდე ნომინალური (ჩერვონ. მანეთებში) ხელფასი იძლევა 54 პროცენტის ზრდას.

საპნის წარმოებაში შრომის ნაყოფიერების ზრდა შემდეგ სახით მიმდინარეობდა:

	გამომუშავება ერთ კაც-დღეზე ძველ მანეთებში.
1923—24 წ.	34 მან.
1924—25 წ.	47 „
1925—26 წ.	71,4 „
1926—27 წ. პირველი ნახევარში	54,0 „

1923—24 წლიდან 25—26 წლამდე შრომის ნაყოფიერება საპნის წარმოების დარგში 109 პროც-ით გაზრდილა. 26—27 წლის პირველი ნახევარი იძლევა ნაყოფიერების დაცემას 25—26 წელთან შედარებით. ეს გარემოება უმთავრესად აიხსნება ნედლი მასალის უქონლობით.

თვიური ხელფასის ზრდა ჩერვონცებში საქართველოს საპნის წარმოებაში შემდეგ სურათს იძლევა:

1924—25 წ.	42 მ. 28 კ.
1925—26 წ.	53 მ. 50 კ.
1926—27 წ. პირ. ნახევარი	58 მ. 87 კ.

24—25 წლიდან 26—27 წლის პირველ ნახევრამდე თვიური ხელფასი საპნის წარმოებაში გაზრდილა 39 პროცენტით.

მაუდის წარმოებაში — ქუთაისის მაუდის ქარხანაში გამომუშავება ერთ კაც-დღეზე ძველ მანეთებში უდრიდა:

1924—25 წელში	1,7
1925—26 „	3,0
1926—27 წლ. პირვ. ნახევარში	4,7

24—25 წლიდან 26—27 წლის პირველ ნახევრამდე მაუდის ქარხანაში ნაყოფიერება გაზრდილა 176 პროცენტით.

ლითონის წარმოებაში შრომის ნაყოფიერების სისტემატიური აღრიცხვა არ სწარმოებდა, რაც შეუძლებლად ხდის რაიმე შედარებითი ცნობების მოყვანას. ხელფასის ზრდა საქართველოს ლითონის წარმოებაში შემდეგ სურათს იძლევა:

	თვიური ხელფასი ჩერვონცებში.
1924—25 წ.	57 მან. 57 კაპ.
1925—26 წ.	68 მან. 70 კაპ.
1926—27 წლის პირველი ნახევარი	74 მან. 25 კაპ.

ზევით მოყვანილ პერიოდში (წელიწადნახევარში) ლითონის წარმოებაში მუშის საშუალო ხელფასი გაზრდილა 29 პროცენტით, ხოლო უკანასკნელ წელს კი 8 პროცენტით.

რეალური ხელფასი საქართველოს ყველა სამრეწველო დარგებში 1924—25 წლიდან 26—27 წლის პირველ ნახევრამდე შემდეგ ზრდას იძლევა:

	თვიური ხელფასი ძველ მანეთებში
1924—25 წ.	57 მ. 57 კ.
1925—26 წ.	68 მ. 70 კ.
1926—27 წლის პირველ ნახევარში	74 მ. 25 კ.

უკანასკნელ წელიწადნახევარში საქართველოს მრეწველობაში მუშის თვიური ხელფასი ომის წინადროინდელ მანეთებში გაზრდილა [illegible] პროცენტით, რეალური ხელფასის ეს ზრდა გამოანგარიშებულია კერძო ბაზრის ფასების მიხედვით. ხოლო თუ ავიღებთ კოოპერატიულ ფასებით, რეალური ხელფასი ან სხვანაირად, რომ ვსთქვათ, ხელფასის მსყიდველობითი ძალა, ამ უკანასკნელ წელიწადნახევარში გაზრდილა 25—30 პროცენტით.

ცალკე სამრეწველო დარგების მუშების რეალური ხელფასის ზრდა საქართველოში შემდეგ სურათს იძლევა:

მუშის თვიური ხელფასი ძველ მანეთებში—სხვადასხვა წარმოებებში:

	1924—25 წელ.	1926—27 წლის პირველ ნახევ.
ქვანახშირის	12 მ. 63 კ.	17 მ. 80 კ.
ლითონის	24 მ. 51 კ.	29 მ. 32 კ.
ხის დამუშავების	19 მ. 38 კ.	22 მ. 90 კ.
თამბაქოს	17 მ. 45 კ.	23 მ. 16 კ.
საპნის	18 მ. —	23 მ. 25 კ.
ტყავის	24 მ. 58 კ.	32 მ. 78 კ.
პოლიგრაფიულ	26 მ. 50 კ.	31 მ. 41 კ.
შუშის	19 მ. 80 კ.	26 მ. 07 კ.

ზევით მოყვანილ ცნობებიდან სჩანს, რომ უკანასკნელ წელიწადნახევარში რეალური ხელფასი (ძველ მანეთებში) გაზრდილა ქვანახშირის წარმოებაში 41 პროც-ით, ლითონის—20 პრო., ხის დამუშავების—18 პროც., თამბაქოს—33 პროც., საპნის — 29 პროც., ტყავის—33 პროც., პოლიგრაფიულ — 18,5 პროც. და შუშის—32 პროცენტით.

ს. გოდაბრელიძე.

პარტიული ცხოვრება

ამ.-კავკ. საკონტროლო კომისიის პლენუმი

10 ოქტომბერს, დილის 11 საათზე ამხ. ლუკაშინის თავმჯდომარეობით გაიხსნა საკ. კომ. პარტიის (ბ) ამიერ-კავკასიის საკონტროლო კომისიის მე-6 პლენუმი შემდეგი დღის წესრიგით: 1) შინაპარტიული მდგომარეობა ამიერ-კავკასიის პარტორგანიზაციებში საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს: კ: მე-6 გაერთიანებულ პლენუმის შემდეგ (ამხ. სტურუა); ა) აზერბეიჯანის კ. პ. (ბ) ც. საკ: კომისიის თანამოხსენება (ამხ. პლეშაკოვი), ბ) საქ. კ. პ: (ბ) ც. საკ. კომისიის თანამოხსენება (ამხ: დოლიძე), გ) სომხ. კ. პ. (ბ) ც. საკ: კომისიის თანამოხსენება (ამხ. ამირხანიანი), დ) ლენ. ახ. კომ. კავშირის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის საკ. კომისიის თანამოხსენება (ამხ. გუმედინი); 2) საკ. კ. პ. (ბ) ც. კ. და ც: ს: კ: უკანასკნელ პლენუმის გადაწყვეტილებები საკონტროლო კომისიებისა და მუშათა და გლეხთა ინსპექციების მუშაობის შესახებ, და ამიერ-კავკასიის მუშ. და გლ. ინსპექციის სახ. კომისარიატის 1927-28 წლის გეგმისა და გეგმიან მუშაობის საფუძვლები (ამხ. ლუკაშინი), 3) 15 პროცენტიან შემცირების გამოცდილება და აუცილებელი ღონისძიებანი ადმინისტრატიულ - სამმართველო ხარჯების 20 პროცენტიან შემცირების გასატარებლად. (ამხ. ფარდანიანი). (ადს).

ვგმობთ ოპოზიციის გამთიშველ მუშაობას

ჭიათურის ოპოზიციონერების განცხადება

მე ხელი მქონდა მოწერილი ჭიათურის ოპოზიციის ჯგუფის სიაზე, რომელიც იგზავნებოდა საკავშ. კომპარტიის ცეკაში. ეს ხელმოწერა გამოწვეული იყო ჩემი მცირე შეგნებით. დღეს სხვადასხვა მოხსენებებიდან დავრწმუნდი, რომ ოპოზიციის ხაზი არ არის სწორი და მას გათიშვისაკენ მიყავს ლენინის პარტია. ამიტომ მეც ვგმობ ოპოზიციის ხაზს, ვხსნი ჩემს ხელის მოწერას და უერთდები ცენტრალური კომიტეტის სწორ ხაზს. ამასთანავე მოუწოდებ სხვა ამხანაგებსაც, რომ მათაც გამოასწორონ თავიანთი შეცდომა.

მიხ. ვაშაძე.

—:—

მე სრულიად გაურკვევლად, ზოგიერთების თქმით და შთაგონებით ხელი მოვაწერე ოპოზიციის სიაზე, რომელიც იგზავნებოდა საკავშირო კომპარტიის ცეკაში. მე ჩემი ხელის მოწერით შეცდომა ჩავიდინე, რომელსაც დღეს ვხსნი და ვგმობ ოპოზიციის ხაზს და მათ მოთხოვნილებას, რომელიც მიმართულია ლენინის პარტიის მთლიანობის წინააღმდეგ, და რომელსაც მიყავს პარტია გათიშვისაკენ. უერთდები პარტიის ხაზს და მოუწოდებ ყველა ამხანაგებს, რომლებმაც ჩემსავით ჩაიდინეს შეცდომა პარტიის წინაშე, დროზე ჩამოშორდენ გამთიშველ მუშაობას, დაგმონ პარტიის დამრღვევი პოლიტიკა და შეუერთდენ ლენინის ცეკას ხაზს.

აქვსენტი ლეჟავა.

—:—

მე მქონდა მოწერილი ხელი ჭიათურის ოპოზიციის ჯგუფის სიაზე, რომელზედაც არ ვიყავი გარკვეული, თუ რა მოსაზრების იყო ოპოზიციის ჯგუფი და შეცდომით მომიხდა ხელის მოწერა, ამისათვის გთხოვთ გაუქმებულად გამოაცხადოთ ჩემი ხელის მოწერა. ამიერიდან სრული ჩემ შეგნებით უერთდები ლენინის ცეკას ხაზს.

ი. ლეშკაშელი.

—:—

პარტიის წინაშე მდგარ ამოცანების ჩემ მიერ გაურკვევლობის გამო, ვემხრობოდი ოპოზიციის თვალსაზრისს. დღეს, როდესაც ჩემთვისაც ნათელი გახდა პარტიის სწორი ხაზი, უარვყოფ და უკუვაგდებ ოპოზიციის შემცდარ თვალსაზრისს და ვგმობ მათ გამთიშველ მუშაობას.

ი. სტურუა.

—:—

ამ ბოლო ხანებში გავრცელდა ხმები, თითქოს მე ოპოზიციონერი ვიყო, რის გამო საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო, რომ მე ოპოზიციონერი არ ვყოფილვარ და არც ვარ. ოპოზიციონერებთან მე არავითარი მუშაობა და ურთიერთობა არ მქონია, გარდა პირადი ნაცნობობისა და ამხანაგური სალამისა და თუ ოპოზიციას სოლიდარობას უცხადებდი ჩინეთის საკითხში მე ცხოვრებამ დამარწმუნა, რომ ჩემი მიდგომა ამ საკითხისადმი იყო ბლანკისტური. ასევე ვცდებოდი გლეხთა დაბეგვრის საკითხშიაც, ამიტომ პარტიის ხაზი მთლიანათ სწორათ მიმაჩნია ოპოზიციონური კი შემცდარათ და დამღუპველათ, როგორც პარტიის, აგრეთვე რევოლიუციისათვისაც, რომელზედაც არამც თუ მიმხრობა, არამედ მათ წინააღმდეგ ბრძოლას მე ჩემს მოვალეობათ ვსთვლი.

მ. ბარამიძე.

მხარს უჭერენ საკ. კომპარტიის (ბ) ცეკას ხაზს

ახალციხე, 9 ოქტომბერი. 7 ოქტომბერს, ახალციხეში შესდგა პარტაქტივი სკრება, რომელზედაც გაკეთებულ იქნა ინფორმაციული მოხსენება 12 ოპოზიციონერის პარტიიდან გარიცხვის შესახებ არალეგალურ სტამბის მოწყობისათვის. მოხსენების გამო აქტივმა მიიღო შემდეგი რეზოლიუცია:

„აქტივი აღნიშნავს, რომ მიუხედავად ა. წ. 8 აგვისტოს განცხადებისა, ოპოზიცია განაგრძობს არალეგალურ ფრაქციულ მუშაობას, აძლევს მას სულ უფრო და უფრო უმწვავესი ხასიათს და უკავშირდება ბურჟუაზიულ და ანტისაბჭოთა ელემენტებს. ყველაფერი ეს წარმოადგენს ლენინის პარტიის საწინააღმდეგო მეორე პარტიის შექმნის ცდას, რაც გაუგონარია ჩვენ პარტიის ისტორიაში. ოპოზიცია პირველად არ არღვევს მის მიერ მოცემულ დაპირებებს, პირველად არ ატყუებს პარტიას და პირველად არ უქმნის დაბრკოლებებს ჩვენს პარტიას და ცდილობს მის გათიშვას.

ჩვენ მოვითხოვთ ცეკასაგან გადამჭრელ ზომების მიღებას პარტიის რიგების დეზორგანიზატორებისა და გამთიშველების წინააღმდეგ. თავის მხრივ ჩვენ მტკიცედ განვაგრძობთ ბრძოლას ჩვენი პარტიის მთლიანობისა, შეურყევლობისა და მონოლიტობისათვის ლენინის ცეკას ხელმძღვანელობით.

შორს ჩვენი რიგებიდან ოპოზიცია!

გაუმარჯოს ლენინის ცეკას"!

ხონი, 10 ოქტომბერი. 9 ოქტომბერს ხონის მეათე პარტკონფერენციაზე ამხ. ურუშაძის მიერ სამაზრკომისა და ოპოზიციონერთა მუშაობის შესახებ გაკეთებულ მოხსენების ირგვლივ გამოტანილ რეზოლიუციაში ნათქვამია.

ცეკას მტკიცე და ლენინურ ხელმძღვანელობით წარმატებით მიმდინარეობს სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში და ვითარდება საერთაშორისო სოციალისტური ძალების სოლიდარული დამოკიდებულება საბჭოთა სახელმწიფოსადმი. საერთაშორისო გართულებულ მდგომარეობას მერყეობაში შეჰყავს პარტიის ზოგიერთი წევრები. რომლებიც გადაცდენ რა ლენინიზმის გზას, მოქმედებენ პარტიის შესასუსტებლად. კონფერენციას აღშფოთებს ეს მდგომარეობა და მეტად აღელვებს ის გარემოება, რომ ოპოზიციას კავშირი შეუკრავს უპარტიო კონტრ-რევოლიუციონურ ინტელიგენციასთან არალეგალურ მუშაობისა და სტამბის მოწყობის მიზნით, რომლის ხელმძღვანელობაც, ამხ. პრეობრაჟენსკის განცხადებით, ეკუთვნოდა ოპოზიციონერთა ბელადებს. ასეთი თავაწყვეტილი და არალეგალური ფრაქციული მუშაობა პარტიას აყენებს ორ პარტიის შექმნის წინაშე, რაიც მოუთმენელი მოვლენაა ლენინის პარტიაში. თანახმად მეათე ყრილობის დადგენილებისა, კონფერენცია კატეგორიულად მოითხოვს უფრო მეტი ორგანიზაციული დასკვნების გაკეთებას გამოუსწორებელი ოპოზიციონერების მიმართ, რომელთაც წესდების დარღვევით და არალეგალური მუშაობით თავიანთი თავი დააყენეს პარტიის გარეშე. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ ცეკას პოლიტიკის გაგრძელება სრულ გამარჯვებამდე მიიყვანს ოქტომბრის რევოლიუციას. ძირს ოპოზიციონერების გამთიშავი არალეგალური და ფრაქციული მუშაობა ლენინის პარტიაში! გაუმარჯოს პარტიის მთლიანობას! გაუმარჯოს მერიგ მეხუთმეტე პარტყრილობას!

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურ საკ. კომისიისაგან

კუზნეცოვის საქმე

მოსკოვი, 10 ოქტომბერი. 9 ივნისს 1927 წ. საკ. კომ. პ. (ბ) ცენტრ. საკონტროლო კომისიაში შემოვიდა კუზნეცოვის შემდეგი განცხადება (კუზნეცოვი ჩვენი პარტიის ყოფილი წევრია, არალეგალურად მომუშავე წარსულში, პარტიიდან გამორიცხული იქნა მე-11 ყრილობის მიერ, როგორც ადამიანი, რომელმაც არ გაამართლა პარტიის ნდობა, შემდეგში 1923 წ. ის მონაწილეობას ღებულობდა 1923 წ. არსებულ „მუშათა ჯგუფის" ფრაქციულ მუშაობაში):

„[illegible] წარსულში მჭიდროთ ვიყავი დაკავშირებული საკ. კომ. პარტიასთან (ბ) და დღეს, როგორც მუშას და რევოლიუციონერს არ მაქვს წარმოდგენილი თავი მისი რიგების გარეშე, ვაცხადებ: განსაკუთრებული შინაპარტიული ეგრედ წოდებული „მუშათა ჯგუფის" დაარსებას 1923 წ. და ბრძოლის იმ მეთოდებს, რომელსაც აღნიშნული ჯგუფი მიმართავდა საკ. კომ. პ. (ბ) ცეკასთან ბრძოლაში მისი ხაზის წინააღმდეგ, რომელშიც მეც ვღებულობდი აქტიურ მონაწილეობას, ვსთვლი შემცდარათ და საზიანოთ პარტიისა და მუშათა კლასისათვის. ვაღიარებ, რომ ბრძოლის ეს მეთოდები მიზნათ ისახავენ ცალკე შინაპარტიული ორგანიზაციის შექმნას, რომელიც თავის გავლენის სფეროში მოაქცევდა, როგორც პარტიულ, ისე უპარტიო მუშებს და რომელიც არალეგალური საშუალებებით ხელს შეუწყობდა ბრძოლის გამწვავებას პარტიასთან. ვაღიარებ, რომ საკ. კომ. პ. (ბ) რიგებში არსებულ „მუშათა ჯგუფის" შეხედულებები რომლებიც ჩამოყალიბებული და აღნიშნული იყო დოკუმენტებში, არ ეთანხმებიან პარტიის ცეკას ხაზს და რომ ჩვენი გამოსვლა საბჭოთა ხელისუფლების მტრებმა გამოიყენეს პროლეტარული რევოლიუციის საზიანოთ.

დღეს ის მეთოდები, რომელსაც მიმართავდა „მუშათა ჯგუფი" მუშათა კლასის და პარტიის ინტერესების თვალსაზრისით მე შემცდარათ მიმაჩნია იმიტომაც, რომ მიუხედავათ იმისა, რომ ვიზიარებდი ამ ჯგუფის შეხედულებებს, პოლიტიკურად წარმოდგენილი არ მქონდა მაშინ პარტიასთან კავშირის გაწყვეტა. მე საჭიროთ მიმაჩნია ამის აღიარება იმისათვის, რათა პროლეტარული რევოლიუციის მტრებმა არ გამოიყენონ ჩემი დუმილი იარაღათ საკ. კომ. პარტიასთან (ბ) ბრძოლაში და იმისათვისაც, რომ ყველა ამხანაგები, რომლებიც გამორიცხული იქნენ პარტიიდან „მუშათა ჯგუფში" მონაწილეობისათვის დღეს აღდგენილი არიან თავის უფლებებში.

საკ. კომ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიას ვსთხოვ განიხილოს საკითხი ჩემი აღდგენის შესახებ და ვაცხადებ, რომ ის პოლიტიკური ხაზი, რომელსაც ატარებენ პარტია და მისი ორგანოები, თავის ძირითად ნაწილში მე მიმაჩნია სწორად და ვალდებულათ ვსთვლი თავს დავემორჩილო პარტიის და მის ორგანოების ყველა გადაწყვეტილებას".

საკ. კომ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიამ აღნიშნული განცხადების განხილვის შემდეგ დაადგინა: დასაშვებათ იქნეს ცნობილი საკითხის განხილვა კუზნეცოვის პარტიული მდგომარეობის შესახებ იმ შემთხვევაში თუ პარტიული უჯრედი აღძრავს ამის შესახებ სათანადო შუამდგომლობას.

საკ. კომ. პ. (ბ) ცენტრ. საკ. კომისიის მდივანი **იანსონი**.

სათემო პარტკონფერენცია თბილისის მაზრაში

ამ დღეებში ჩატარდა პარტკონფერენციები სართიჭალის, მცხეთის, თიონეთის, მარტყოფის და [illegible] თემებში. კონფერენციების მიერ განხილულ იქნა პარტმუშაობის და სოფლის მშენებლობის უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხები.

კონფერენციაზე პარტ-ამხანაგები იჩენდენ დიდ აქტივობას და დაბეჯითებით, ფხიზლად და სწორად უდგებოდენ ყველა იმ საკითხებს, რომელთა გადაჭრა აუცილებელია სოფლად პარტორგანიზაციების მუშაობის წარმატებით მიმდინარეობისათვის.

უდიდესი ინტერესი გამოიწვია მოხსენებამ ს. კ. პ. ც. კ. პლენუმის და შინაპარტიული მდგომარეობის შესახებ, ცნობილია, რომ პარტიის ზოგიერთ ორგანიზაციაში არის თითო-ოროლა ოპოზიციონური ჩხირკედელაობით და დემაგოგიით თავს გამოჩენის მოსურნე პირები. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნულ კონფერენციაზე არც ერთი ოპოზიციონერი არ ყოფილა. აღნიშნულ თემების ორგანიზაციები მთლიანად და სავსებით მტკიცედ სდგანან ლენინურ პარტიის მთლიანობის სადარაჯოზე.

კონფერენციების მიერ ერთხმად მიღებულ რეზოლიუციებში გამოთქმულია აღშფოთება ოპოზიციის მიერ პარტიის გამთიშველ და უაღრესად ანტიპარტიული მუშაობის წარმოების წინააღმდეგ.

კონფერენციები სავსებით იწონებენ პარტიის ხელმძღვანელ ორგანოების ყველა დადგენილებებს, რომლებიც მიმართულია კომპარტიის ლენინურ ხაზის დასაცავად და ჩვენი სოციალისტური ქვეყნის გასამტკიცებლად, და მოითხოვენ პარტიის ც. კ-გან სასტიკი ზომების მიღებას ყველა იმათ წინააღმდეგ. ვინც პარტიისათვის უცხო და ფრიად მავნე საქმეს ჰკიდებს ხელს ეხლანდელ გართულებულ პირობებში.

შ. შ.

ავჭალის თემის პარტკონფერენცია

ავჭალის თემის პარტკონფერენცია რომელიც ჩატარდა 4 ოქტომბერს იძლევა სრულ სურათს ერთის მხრივ ორგანიზაციის მთლიანობაზე და მეორეს მხრივ სათემო კომიტეტის მუშაობაზე.

საანგარიშო მოხსენებით გამოვიდნენ ამხ. ი. კოროშინაძე და ფანცულაია, რომლებიც შეეხენ მთელი წლის მუშაობას, მოხსენებიდან გაირკვა, ორგანიზაცია იზრდებოდა უმეტესად ღარიბ გლეხობისა და კომკავშირელ აქტივთა ხარჯზე.

წარმოების უჯრედებში სისტემატიურად მიმდინარეობდა კრებები, მაგრამ გლეხურ უჯრედების მუშაობას ხელს უშლიდა ზაფხულის პერიოდი, გლეხები დატვირთული იყვნენ საკუთარ მეურნეობაში მუშაობით, მოსავლის მოგროვება - დაბინავების მიზნით და სხვა.

დისციპლინა სდგას სათანადო სიმაღლეზე, ადგილი არა აქვს ინტრიგებს და სხვადასხვა გადახრებს. კოოპერატიულ მშენებლობის საკითხებს პარტიულმა კომიტეტმა მიაქცია სერიოზული ყურადღება, რომლის ცხოვრებაში გატარებამ მოგვცა: კოოპერატივის ქსელის გაფართოვება, კოოპერაციის წევრების რიცხვობრივი ზრდა, მათი პირველი მოთხოვნილების საგნებით მომარაგება და რაც მთავარია ფასების დაკლების კამპანიის სრულიად ჩატარება.

ქალთა შორის მუშაობა მოისუსტებს შესაფერ ორგანიზატორის უყოლობის გამო.

ჩატარდა ნაყოფიერი მუშაობა ღარიბ გლეხთა შორის, ჩამოყალიბდა საბჭოებთან ღ. გლეხთა ჯგუფები, სადაც განხილულ იქნა მათთვის საინტერესო საკითხები.

პარტხელმძღვანელობა კომკავშირის ორგანიზაციაზე მოისუსტებდა, პარტუჯრედები დღესაც ნაკლებად ერკვევიან მის წინაშე მდგომ მორიგ ამოცანებს, რასაც მომავლისათვის სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

დასასრულ მომხსენებელი შეეხო: ორგანიზაციის ზრდის, პოლიტგანათლების და სხვა საკითხებს.

კონფერენციამ თემკომის წლიური მუშაობა დამაკმაყოფილებლად სცნო და პრაქტიკულ მითითებებისათვის გამოჰყო კომისია [illegible] მუშაობის გასაჯანსაღებლად.

ბოლოს არჩეულ იქნენ დელეგატები სამაზრო - საქალაქო კონფერენციაზე გასაგზავნად.

რ. თ—ვი.

ჩავატარეთ ქალთა პირველი კონფერენცია

(შორაპნის მაზრა)

30 სექტემბერს ქ. ზესტაფონში შესდგა შორაპნის მ. თემსაბჭოს წევრ ქალთა დელეგატების პირველი კონფერენცია.

კონფერენციის გახსნისას მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ქ. გამეზარდაშვილმა, სამპარტკომიდან ამხ. დ. კომახიძემ და ა. ლ. კ: კ: მაზრკომიდან ამხ: ან. ოვანოვმა, რის შემდეგ არჩეულ იქნა პრეზიდიუმი.

კონფერენციის დღის წესრიგში იდგა 1) კოოპერაციის მუშაობა და მასში ქალთა მონაწილეობა, 2) საბჭოებში ქალთა მონაწილეობა, 3) ჯანმრთელობის და განათლების საკითხები და 4) დელეგატების არჩევა. საქ. ქალთა კონფერენციაზე გასაგზავნათ.

ყველა საკითხებზე გაკეთდა შესაფერი მოხსენებები. თვითეული საკითხის ირგვლივ აღნიშნული იყო, როგორც მიღწევები, აგრეთვე ნაკლი.

აღსანიშნავია გლეხ-ქალების გამოსვლა კონფერენციაზე, რომლებიც აღნიშნავდნენ თავიანთ თემში კოოპერატივების ნაკლს და მიუთითებდენ მის გამოსასწორებლად.

კონფერენციის დასასრულ არჩეულ იქნა დელეგატებათ ამხ. **დ. მაჭარაშვილი**, **ე. ცხადაძე** და **ე. ხარალიძე**. გაეგზავნა მისასალმებელი დეპეშები საქ. სახ. კომ. საბჭოს და პარტიის ცეკას.

გ. ზ—ძე.

ჩვენი ნაკლი და მიღწევები

(ანანურ-ყინვალის თემი)

ჩვენი ორგანიზაცია აერთიანებს 6 გლეხურ უჯრედს, რომელთა წევრების რიცხვი უდრის 100 კაცს. მიუხედავად იმისა, რომ ფასიანი თემკომის მდივანი არა გვყავს, ჩვენი მუშაობა მაინც ნორმალურია და უჯრედებს აქვს საკმაო მიღწევები.;

კომკავშირელები აქტიურ მონაწილეობას ღებულობენ სოფლის მეურნეობის აღორძინების, გზა-ხიდების შეკეთების, ქვრივ-ობლების და წითელარმიელთა ოჯახების დახმარების, სკოლების ქსელის გაფართოების და სხვა საქმეებში.

მიმდინარე წლის ზაფხულში კომკავშირის წევრებმა რამდენიმე ქვრივ ობოლს მოუმკეს ყანები და აუშენეს დანგრეული სახლები; რამაც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა გლეხობაზე და ნდობა მოუპოვა კომკავშირს. პოლიტგანმანათლებელ მუშაობაშიც კომკავშირელები აქტიურად არიან ჩაბმულნი. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ გვაქვს ნაკლიც: მაგალითად ქალთა და პიონერთა შორის მუშაობა მოისუსტებს. კომკავშირელები ვერ ერკვევიან მუშაობის ახალ ფორმებში, რადგან ნაკლებად ეცნობიან პარტ. და კომკავშირის ყრილობების კონფერენციების დადგენილებებს შესწავლას. მიაქცია რა ყურადღება კომკავშირის ადგილობრივ სათემო კომიტეტმა ასეთ ანორმალურ მდგომარეობას, მიზნად დაისახა ახლო მომავალში აღმოფხვრას აღნიშნული ნაკლი და სათანადო ელფერი მისცეს ორგანიზაციას.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ადგ. ლემპარტკომმა მთელი თავისი მუშაობის სიმძიმის ცენტრი გადმოიტანა ჩვენს ორგანიზაციაში და გვიწევს კარგ ხელმძღვანელობას.

რუისპირელი.

ჩოლურის თემკომი კარგად მუშაობს

ლეჩხუმის მაზრა ქვ. სვანეთი

ჩოლურის თემის პარტორგანიზაციას დიდი ხნის ისტორია არა აქვს. პირველ ხანებში პარტიული მუშაობა ძალზე მოისუსტებდა. პარტუჯრედს იქ ნაკლები გავლენა ქონდა.

თემის ადმინისტრატიულ აპარატში სვანს ნაკლებად შევხვდებოდით. ამჟამად კი იქ საპასუხისმგებლო პოსტებზე ადგილობრივი სვანი —ამხანაგები არიან დანიშნულ-არჩეული.

ჩოლურის პარტ-თემკომის მუშაობა სვანეთის პირობების მიხედვით დამაკმაყოფილებელია. ჩოლურის სათემო კომიტეტის მუშაობა ხარისხის მიხედვით, მთელ ლეჩხუმის მაზრაში მესამე ადგილს იჭერს.

თუმცა პარტ - მუშაობის პროცესში უარყოფითი მოვლენებიცაა, მაგრამ მათი გამოსწორება არ არის ძნელი. მთავარი, რაც ყურადღების ღირსია — ის არის, რომ ჩოლურის თემკომის ინიციატივით თემში საფუძველი ეყრება კულტმუშაობისადმი ლტოლვას. მაგრამ სურვილი ერთია და შესრულება მეორე. კულტმუშაობისათვის საჭიროა თანხები და თემკომს კი ასეთი არ ქონდა. ამიტომ თემკომის ინიციატივით ადგილობრივმა მუშა - მოსამსახურეებმა ერთ დღეს იმუშავეს მდინარე ცხენის წყალზე და ხეების წამოღებით შეაგროვეს 92 მანეთი, რომელი თანხაც დაანაწილეს კულტურულ მიზნებისათვის. აგრეთვე გადასდევს ნაწილი თავდაცვის ფონდისათვისაც.

ჩოლურის თემკომის ასეთი საქმიანობა მოასწავებს სვანეთის ორგანიზაციის გააქტივების გზაზე შედგომას. დანარჩენმა თემკომებმაც უნდა მიბაძონ ამ მაგალითს.

ბ. ფრუიძე.

კომკავშირში

ქუთაისის კომკავშირის 25 უჯრედის გაერთიანებული აქტივის რეზოლიუცია

ს. ა. ლ. კ. კ. ქუთაისის ორგანიზაციის 25 უჯრედის გაერთიანებულმა აქტივის კრებამ, მოისმინა რა მოხსენება ამხ. მინდაძის საკავშირო კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალურ კომიტეტის და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის, აგვისტოს პლენუმის შედეგების შესახებ, მთლიანად და სავსებით უერთდება უკანასკნელის დადგენილებებს.

გაერთიანებული კრება ხაზს გასმით აღნიშნავს, რომ პლენუმის მიერ აღებული ხაზი, ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მშენებლობის და საერთაშორისო პოლიტიკის საკითხებში არის ნამდვილი ბოლშევიკურ ლენინური გზა საერთაშორისო რევოლიუციის განვითარების საქმეში.

გაერთიანებული კრება ქ. ქუთაისის ორგანიზაციისა აღუთქვამს ადგილობრივ პარტიულ კომიტეტს და ცეკას ყოველ მხრივ დახმარებას ოპოზიციის ანტილენინურ გადახრის წინააღმდეგ ბრძოლაში, ამასთან ერთად კრება ერთხელ კიდევ მიმართავს ფრაქციულ მუშაობაში გადაჩეხილ ოპოზიციონერებს მოვიდენ გონს, დასტოვონ შემცდარი გზა, ჩადგენ ლენინურ პარტიის რიგებში და დაიცვან მისი ფოლადისებური სიმტკიცე, წინააღმდეგ შემთხვევაში გადაჭრით მოვითხოვთ ხელმძღვანელ ორგანოების წინაშე, მთელი სიმკაცრით იქნას დასჯილი ის, ვინც არ დაემორჩილება პარტიის ნებას.

სოფ. საგარეჯო

საგარეჯოს ახ. ლ. კ. კ. უჯრედი აერთიანებს 62 წევრს და ერთ კანდიდატს. 1925—26 წლებში უჯრედი აწარმოებდა ნაყოფიერ მუშაობას და დიდი ავტორიტეტი ჰქონდა მოპოვებული გლეხ - ახალგაზრდობაში. მაგრამ ამ ბოლო ხანებში უჯრედის მუშაობა მოდუნებულია. ნაკლები ყურადღება ექცევა კომისიების მუშაობას, როგორიც არის მაგალითად მოჯამაგირეთა, ქალთა და პიონერთა შორის მომუშავე კომისიები.

ხშირია შემთხვევები, როდესაც კომკავშირელები ლოთობაში ატარებენ დროს, რაც ცუდ შთაბეჭდილებას სტოვებს გლეხობაზე.

უნდა ითქვას, რომ ადგილობრივი პარტორგანიზაცია ნაკლებ ყურადღებას აქცევს ჩვენი უჯრედის მუშაობას.

საჭიროა სათანადო ყურადღების მიქცევა ახ. ლ. კ. კ. თემკომის მიერ.

ფერდოელი.

ნოქალაქევის ა. ლ. კ. კ-ს უჯრედში

ს. ა. ლ. კ. კ. ნოქალაქევის თემკომმა გაცხოველებული მუშაობა აწარმოვა თვითმფრინავ „ამ.-კავკ. კომკავშირელის" ასაგებ ფონდის გასაძლიერებლად. ამ მიზნით 17 სექტემბერს თემკომის სხდომაზე არჩეულ იქნა კომისია სხვა დასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებთან ერთად. კომისიამ კომკავშირის აქტივის და უპარტიო ახალგაზრდობის დახმარებით გამართა 20 სექტემბერს წარმოდგენა, რომელსაც დიდძალი მაყურებელი დაესწრო.

წარმოდგენის გამართვით შემოსული ფული გადაეცა სენაკის სამაზრო კომიტეტს. ამ მიზნით მუშაობა კიდევ გრძელდება.

ამგვარად არც ჩვენი უჯრედი ჩამორჩა დანარჩენ უჯრედების მუშაობას თვითმფრინავის ფონდის გასაძლიერებლად.

ან. კირცხალია.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

კომუნალური მშენებლობა და ინდუსტრიალიზ. სესხი

(საუბარი კომუნალური ბანკის გამგეობის თავმჯდომარე რ. დუმბაძესთან)

კავშირი მუშათა ინტერესების დაკმაყოფილებისაკენ მიმართულ კომუნალურ მშენებლობასა და ინდუსტრიალიზაციის სესხს შორის მეტად დიდი და თვალსაჩინოა, — განუცხადა კომუნალური ბანკის თავმჯდომარე რ. დუმბაძემ ჩვენს თანამშრომელს. — საბჭოთა კავშირის უზენაეს ორგანოთა მთელ რიგ დირექტივებში, აგრეთვე საკ. სახ. სავეგმო კომისიის საკონტროლო ციფრებშიც ახალ სამეურნეო წლისათვის, აღნიშნულია, რომ ქვეყნის იდუსტრიალიზაციას თან უნდა სდევდეს სამრეწველო პროლეტარიატის ყოფა - ცხოვრებითი პირობების ყოველმხრივ გაუმჯობესება; კომუნალური მშენებლობაც მიმართულია ამ პირობების გაუმჯობესებისაკენ.

ამჟამად სწარმოებს საქართველოში კომუნალურ მშენებლობისათვის გადასადებ თანხების ციფრების განხილვა. ჩვენი ბანკი, რომელიც ემსახურება კომუნალურ მშენებლობას თბილისში, იხილავს ახალ სამეურნეო წლისათვის კრედიტების განაწილების გეგმას. ეს საქმე მოკლე ხანში დასრულდება. ჩვენ შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ საკმაოდ მოზრდილი თანხები იქნება გამოყოფილი, ხოლო ამავე დროს უმთავრესი ყურადღება მიექცევა მუშათა საბინაო სივრცის გადიდებას და პირობების გაუმჯობესებას.

ციფრებზე ჯერ ადრეა ლაპარაკი, მაგრამ ჩვენი ბანკის მუშაობა განვითარდება ინდუსტრიალიზაციის საერთო ამოცანებთან დაკავშირებით.

ამისათვის დაგვჭირდება საკმაოდ დიდი თანხები. იმავე საკონტროლო ციფრებში, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ, აღნიშნულია, თუ როგორი პროცენტული შეფარდება უნდა არსებობდეს საბინაო მშენებლობაზე გადადებულ თანხებსა და იმ თანხას შორის, რომელიც დახარჯული იქნება საბჭოთა კავშირის მრეწველობის რეკონსტრუქციაზე.

სამრეწველო პროლეტარიატის ყოფა-ცხოვრების პირობების გაუმჯობესება მჭიდროთაა დაკავშირებული ინდუსტრიალიზაციის სესხის წარმატებით რეალიზაციასთან.

თბილისის კომუნალური ბანკი თავის მხრივ ყველა ღონისძიებას ხმარობს, რომ ხელი შეუწყოს სესხის წარმატებით განაღდებას. ამ მხრივ უკვე მიღებულია ზომები და წინასწარმა ხელმოწერამ სესხზე ჩვენს ბანკში უკვე მიაღწია 15.000 მანეთს. ეს მხოლოდ დასაწყისია.

ადგილებს უკვე დაეგზავნათ ვრცელი მასალები და ინსტრუქციები, რომ სესხის წარმატებით ჩატარებას მიექცეს უმთავრესი ყურადღება. გარდა ამისა, ამ დღეებში ჩვენ უკვე ვგზავნით იქ ინსტრუქტორს, რომელიც პირადათ უხელმძღვანელებს ხელმოწერის კამპანიის მსვლელობას.

ინდუსტრიალიზაციის სესხი, — ეს არა მარტო სამრეწველო მშენებლობაა, არამედ მშრომელთა საბინაო მშენებლობა და კომუნალურ პირობების გაუმჯობესებაც. ყველას, ვისაც უნდა თავისი ყოფა-ცხოვრებითი პირობების გაუმჯობესება, უნდა ახსოვდეს ინდუსტრიალიზაციის სესხი და ხელი შეუწყოს მის განაღდებას.

ქალაქის ლომბარდში

5 ოქტომბერს, ქალაქის ლომბარდში შესდგა ლომბარდის, რიონჰესის და შემოსავალ - გასავლის სალაროს მუშა-მოსამსახურეთა გაერთიანებული კრება, დღის წესრიგში იდგა მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ. მოხსენებით გამოვიდა ამხ. ქორქია, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობა და აღნიშნა ამ სესხის როლი საბჭოთა კავშირის ეკონომიურ აღორძინებაში.

მომხსენებელის სიტყვით, სესხი გამოშვებულია 200.000.000 მანეთის რაოდენობით. ეს თანხა მოხმარდება ქვეყნის ინდუსტრიის განვითარებას, რომელიც აუცილებელი პირობაა საბჭოთა კავშირში სოციალისტური მშენებლობის გასაღრმავებლად.

დასასრულ ამხ. ქორქიამ მოუწოდა ამხანაგებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ ობლიგაციების გავრცელებაში.

კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ყოველი მუშა - მოსამსახურე შეიძენს ობლიგაციას და ხელს შეუწყობს მის განაღდებას.

თ. ჩხაიძე.

ვიძენთ ობლიგაციებს

8 ოქტომბერს, სად. ნავთლუღის „ზაკპოგრუზი"-ს მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის მნიშვნელობის შესახებ მოხსენება გაკეთა ამხ. ლომთაძემ, რომელმაც ვრცლად გააცნო დამსწრეთ სესხის მნიშვნელობა და ობლიგაციების შეძენის პირობები. მომხსენებელმა მოუწოდა ყველას მხურვალე მონაწილეობა მიიღონ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების რეალიზაციაში და ხელი შეუწყონ ჩვენ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას.

კრებამ ობლიგაციების რეალიზაციისათვის აირჩია ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია, რომელსაც დავალებული აქვს ჩაატაროს მუშა - მოსამსახურეებში ობლიგაციებზე ხელის მოწერა.

ელ. შუასურებელი.

წითელ ჯარში

ს. ს. რ. კ. ფინანსთა და სამხედრო-საზღვაო სახ. კომისარიატების მიერ დამუშავებულია გეგმა ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციების განაწილების შესახებ სამხედრო მსახურთა შორის.

ფინანსთა კომისარიატი ანდობს სამხ. საზღვაო კომისარიატს გაავრცელოს სამხედრო მსახურთა შორის 60,000 ობლიგაცია, 24 მანეთად თითო., ამრიგად, 1.500 ათას მანეთად ღირებული ობლიგაციები გაყიდულ იქნება 1,400 ათას მანეთად.

სამხ.-საზღვაო სახ. კომისარიატს ეძლევა უფლება აწარმოოს ობლიგაციების რეალიზაცია ნაწილობრივ, ვადით არა უმეტეს 10 თვისა. ხელის მომწერთა მიერ ობლიგაციების ფასი გადახდილ უნდა იქნეს 1928 წლის 1 სექტემბრამდე.

ობლიგაციების რეალიზაციის უკანასკნელ ვადათ დამტკიცებულია 1927 წლის 27 დეკემბერი, რის შემდეგ დარჩენილი ობლიგაციები გადაეცემა სათანადო ფინორგანოებს.

მეორე სტამბაში

გუშინ მეორე სტამბის მუშა - მოსამსახურეების საერთო კრებაზე ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ა. კ. ფინსახკომის წარმომადგენელმა ამხ. **ნემჩინოვმა**, რომელმაც განმარტა ინდუსტრიალიზაციის სესხის მიზანი, მნიშვნელობა და მისი განსხვავება სხვა სესხებთან. მომხსენებელს მისცეს ტეხნიკური ხასიათის შეკითხვები. შემდეგ კრებამ ერთხმად მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია, რომ ოქტომბრის 10 წლის თავისთვის არ დარჩება არც ერთი მუშა-მოსამსახურე, რომელსაც ინდუსტრიალიზაციის სესხზე არ ექნება მოწერილი ხელი. დასასრულ კრებამ აირჩია სესხზე ხელის მოწერის ჩამტარებელი კომისია, **კუზნეცოვის**, **წიქორიძის**, **ბერაძის**, **ბაგირშჩოვის** და **ფარმარქსეზიანის** შემადგენლობით. კრების დასრულების შემდეგ, გაიმართა ხელის მოწერა. გუშინვე ჩაეწერა 54 მუშა 1.650 მანეთის სესხზე.

მეხუთე სტამბაში

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბის მუშა - მოსამსახურეთა საერთო კრებაზე მოსმენილ იქნა ამხ. **დევიძის** მოხსენება ინდუსტრიალიზაციის სესხის შესახებ.

კრებამ დაადგინა, რომ მიიღოს მხურვალე მონაწილეობა ობლიგაციის რეალიზაციის საქმეში.

კრებაზე არჩეულ იქნა კომისია, რომელიც უკვე შეუდგა თავის მუშაობას, მუშაობა წარმატებით მიმდინარეობს. კომისიამ ყველა მუშა - მოსამსახურეზე ნებაყოფლობით გაანაწილა ობლიგაციები; ხელის მომწერთა სია და ინსტრუქციის მიხედვით, განაწილებული გაკრულია სტამბის თვალსაჩინო ადგილას. ბევრმა განაცხადა სურვილი კიდევ უფრო მეტ თანხაზე ხელის მოსაწერათ.

მსურველთა შორის აღმოჩნდა მუშა-ასოთ - ამწყობი **ევგენი საბუროვი**, რომელსაც კომისიამ გამოუწერა 25 მანეთის ობლიგაცია; მან სურვილი განაცხადა, რომ მისთვის გამოეწერათ ასი მანეთის ობლიგაცია.

ამხ. ე. საბუროვი

გ. ოქიტაშვილი.

კამპანია პროვინციაში

საქართველოს ფინსახკომის მიერ ინდუსტრიალიზაციის სესხის კამპანიის ადგილებზე ჩასატარებლად მაზრებში გაგზავნილი თანამშრომლები უკვე გზავნიან ცნობებს პროვინციაში კამპანიის მიმდინარეობის შესახებ.

როგორც ამ ცნობებიდან ირკვევა, ინდუსტრიალიზაციის სესხი პროვინციაშიც უდიდეს ინტერესს იწვევს. ეს ინტერესი განსაკუთრებით ცხოველია მოსახლეობის მშრომელთა ფენებში, რომელთაც ეძლევათ საშუალება მიიღონ ფართო მონაწილეობა სესხის რეალიზაციაში.

მიუხედავად იმისა, რომ 10 პროცენტიან სესხის გასაღების დროს საქართველოს მაზრებმა საკმაოდ თვალსაჩინო შედეგები გვიჩვენეს, ხელის მოწერის მიმდინარეობა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ადასტურებს, რომ იგი გადააჭარბებს გასული წლისას.

ხელისმოწერა ადგილებზე

გორში

გორი, 9 ოქტომბერი. 5 ოქტომბრიდან გორის მაზრაში დაიწყო ინდუსტრიალიზაციის სესხის განაღდება. პროფესიონალური ხაზით ადგილკომებმა ადგილებზე გამართეს კრებები, რომელზედაც კეთდებოდა მოხსენებები სესხის მნიშვნელობის შესახებ. კრებებმა ერთხმად გამოიტანეს რეზოლიუცია კოლექტიური ხელისმოწერის შესახებ ინდუსტრიალიზაციის სესხის ობლიგაციებზე. (ადს).

თელავში

თელავი, 9 ოქტომბერი. წარმატებით მიმდინარეობს ინდუსტრიალიზაციის სესხის განაწილების კამპანია. პირველ დღეებშივე თელავის დაწესებულებებში ხელი მოაწერეს 4.000 მან. სესხზე. (ადს).

ოზურგეთში

ოზურგეთი, 9 ოქტომბერი. წარსულ კვირას, 1—8 ოქტომბრამდე ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელისმოწერამ შეაგროვა 10.000 მან. მოსახლეობაში სესხი უდიდეს ინტერესს იწვევს. გლეხობაში ინდუსტრიალიზაციის სესხის გავრცელებისათვის ხელისშეწყობის მიზნით, ადგილებზე დაიგზავნა 12 პასუხისმგებელი ამხანაგი, რომლებიც ხელმძღვანელობას გაუწევენ სამეულების მუშაობას. (ადს).

ახალციხეში

ახალციხე, 9 ოქტომბერი. ახალციხეში შეუდგნენ ინდუსტრიალიზაციის სესხის განაღდებას. 2 დღის განმავლობაში ახალციხის მუშებმა და მოსამსახურეებმა ხელი მოაწერეს 4.000 მანეთის ობლიგაციებზე. (ადს).

სესხის ქრონიკა

შინა-მრეწველობის კოოპერაცია

წინასწარი გამოანგარიშებით შეიძლება ითქვას, რომ ხელის მოწერა ინდუსტრიალიზაციის სესხზე შინა-მრეწველობის კოოპერაციაში გამოიხატება არა ნაკლებ 12.000 მანეთში.

გუშინდლამდე

ამ.-კავკ. ადგილობრივ ტრანსპორტის სამმართველოს თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს 1.460 მანეთზე. თითოეულმა თანამშრომელმა საშუალოდ 55 მანეთზე.

700 მანეთზე

გზათა კომისარიატის რწმუნებულის სამმართველოს თანამშრომლებმა ხელი მოაწერეს 700 მანეთზე. ხელის მოწერა გრძელდება.

საფეიქრო სინდიკატში

საფეიქრო სინდიკატის თანამშრომლებმა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ჯერ-ჯერობით ხელი მოაწერეს 1.330 მან.

„რადიო-გადაცემა"-ში

საზოგადოება „რადიო-გადაცემას" თანამშრომლებმა სესხზე ხელი მოაწერეს 450 მანეთის რაოდენობით.

თამბაქოს პირველ ფაბრიკაში

რ. ლიუქსემბურგის სახელობის პირველ თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა ინდუსტრიალიზაციის სესხზე ხელი მოაწერეს 1.450 მან. რაოდენობით.

რიონჰესი

ქუთაისის ჰიდრო-ელექტრო სადგურის პროექტი არის არა მარტო ცალკე ჰიდრო-ელექტრო ნაგებობის პროექტი, არამედ მდინარე რიონის გეგმაშეწონილი გამოყენების დასაწყისიც. თავისი ენერგეტიული შესაძლებლობებით რიონი დასავლეთ საქართველოში წარმოადგენს უდიდეს წყაროს წყალის ენერგიით იშვიათად მდიდარ ერთეულს. რიონისა და მისი შენაკადების სიმძლავრე, სრული გამოყენების პირობებში, უდრის 1.000.000 ცხ. ძალას, ე. ი. რიონს წლიურად შეუძლია 4.500.000.000 კილოვ. საათის მოცემა.

მდინარე რიონის გამოყენების საკითხს აქვს თავისი ისტორია. სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციისათვის მდ. რიონზე ჰიდრო-სადგურის აგების პროექტი პირველად შეადგინა 1913 წელს პროფ. ზახმეტიევმა, მაგრამ ეს პროექტი ქაღალდზე დარჩა.

1924 წელს ტრანსპორტის განვითარების გამო, დღის წესრიგში დაისვა სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაციის საკითხი. მის გადასაჭრელად დაიწყო ტყიბულის ჰიდრო სადგურის საამშენებლო გეგმის შედგენა. საკითხის შემდეგი შესწავლის დროს გამოირკვა, რომ საუღელტეხილო უბნის გარდა, საჭიროა აგრეთვე ხაშურ-ზესტაფონის და თბილის-ხაშურის უბნების ელექტროფიკაციაც. ხოლო ამისათვის კი ტყიბულის ჰიდროსადგურის სიმძლავრე არ იქნებოდა საკმარისი, და ამიტომ აღიძრა ისეთი მძლავრი ცენტრალის აგების საკითხი, რომელიც დააკმაყოფილებდა როგორც საუღელტეხილო, ისე მის გადაღმა-გადმოღმა მდებარე უბნებს.

ტყიბულის ჰიდრო-ელექტრო სადგურის პროექტის შედგენის დროს, საქართველოს სახ. მეურნეობის უმაღლეს საბჭოში აღიძრა ჭიათურის რაიონში ფერო-მარგანეცის სადნობი ქარხნის აგების საკითხი. გარდა ამისა, ქუთაისს. სადაც დაწყებული იყო მაუდის ფაბრიკის აშენება, სჭირდებოდა დამატებითი ელექტრო-ენერგია.

ყველა ამან დაბადა მძლავრი ცენტრალის აგების აზრი.

ფერო-მარგანეცის ქარხნის საკითხის შესწავლის მიზნით, საქართველოს სახკომსაბჭოსთან შესდგა სპეციალური კომისია. ამ კომისიის წინაშე თავის თავად წამოიჭრა მდინარე რიონისა და მისი შენაკადის, მდ. ცხენის წყალის ენერგეტიულ რესურსების გეგმაშეწონილად შესწავლის საკითხი. ეს საქმე დაევალა პროფესორ ლუდინს. კომისიამ აღნიშნულ მდინარეთა შესასწავლად დიდძალი ძალა შეაგროვა.

საერთო სქემა ითვალისწინებს რიონის გამოყენებას თექვსმეტი ცალკე საფეხურის (ჰიდროსადგურების) სახით, რომლებიც აგებული იქნება, დაწყებული მდინარის სათავიდან (ჩიორასთან) და გაყოლებული ქუთაისის ახლო მდებარე ხეობიდან გამოსასვლელ ადგილამდე. რიონის გამოსაყენებლად დანიშნულ ყველა საფეხურებიდან, კომისიამ პირველ რიგში ჰიდრო-სადგურის აშენება არჩია ქ. ქუთაისთან, ვინაიდან განსაზღვრული სიმძლავრის, წლიური გამომუშავების და ენერგიის სიიაფის მხრივ [illegible] ყველაზე ხელსაყრელი იყო ჰიდრო-სადგურის აშენებისათვის. სიიაფის გარდა, ამ ადგილის არაჩვეულებრივად ხელსაყრელი პირობები აადვილებდენ ჰიდროსადგურის აშენებას. ეს პირობებია— რკინის გზის სიახლოვე, რაც ამცირებდა სამუშაო ადგილზე საამშენებლო მასალისა და მოწყობილობის მოსაზიდ ხარჯებს, ქალაქის სიახლოვე და სხ.

ეს პროექტი თავის დროზე წარდგენილი იყო ცენტრში, მაგრამ ერთმა გარემოებამ (ფერო-მარგანეცის გაზიდვაზე კონცესიის გადაცემა ჰარიმანისათვის) შეაჩერა საკითხის გადაჭრა.

რადგან საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო სურამის უღელტეხილის ელექტროფიკაცია, პირველ ხანებში ზაჰესის ენერგიის საშუალებით, ამიტომ კვლავ წამოიჭრა რიონის ჰიდროცენტრალის აგების საკითხი. სურამის უღელტეხილის ასეთი ცალმხრივი კვება მარტო ზაჰესის ენერგიით, ჯერ ერთი, ელექტრო-გადამცემი ხაზის დაზიანების შემთხვევაში იმუქრებოდა მუშაობის სრული შეწყვეტით მთელ საუღელტეხილო უბანში, ხოლო მეორე მხრივ, როგორც შემდეგი გამოანგარიშებიდან აღმოჩნდა, თბილისის დატვირთვის ზრდის პირობებში, ზაჰესს მხოლოდ მოკლე ხნით—2 წლით შეუძლია უღელტეხილის უზრუნველყოფა ენერგიით, მით უმეტესი. რომ უკვე ჩნდებიან ახალი მომხმარებლები, როგორც. მაგალითად. ცემენტის ქარხანა კასპში, ქაღალდის ფაბრიკა ინგურზე, ბარიტის საფქვავი წისქვილი ქუთაისში და მაუდის ფაბრიკა თბილისში. ყველა ამან აიძულა საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლესი საბჭო კვლავ შესდგომოდა რაიონული ელექტრო-სადგურის აგების საკითხს. ამ საკითხის შესასწავლად 1926 წლის მიწურულში საქართველოს სახალხო მეურნ. უმაღ. საბჭოსთან შესდგა სპეციალური კომისია, რომლის შრომაც შემდეგ გამოცემულ იქნა ცალკე ბროშიურად. სახმარი ენერგიის დაახლოებითი გამოანგარიშებიდან აღმოჩნდა, რომ ქუთაისისა და ჭიათურის რაიონებში 1930 წლისათვის უკვე საჭირო გახდება დაახლოებით— 40.000.000 კილ., ხოლო 1935 წ.— 85.000.000 კილვ. წელიწადში. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით კომისიამ წამოაყენა ქუთაისის ჰიდროცენტრალის პროექტი. ამავე კომისიამ გადაათვალიერა სახარჯთაღრიცხვო გეგმები და გამოიანგარიშა ენერგიის ღირებულება.

ეკონომიური თვალსაზრისით აღმოჩნდა, რომ არსებულ ვარიანტებიდან ყველაზე მისაღებია ის ვარიანტი, რომელიც ითვალისწინებს მდ. რიონის გამოყენებას ქალაქ ქუთაისთან. ამ პირველი პროფ. ლუდინის ვარიანტით განზრახული იყო მდ. რიონის წყლის გამოყენება მისი გადაყვანით მეზობელ მდინარის ცხენისწყლის კალაპოტში, რომელიც ამ ადგილას, 337 მეტრის სიგრძის მწნევი არხის საშუალებით, უფრო ღრმადაა ჩაჭრილი, ვიდრე რიონის კალაპოტი. ეს ვარიანტი იძლეოდა 41.000 ცხ. ძალას.

შემდეგ ინჟინერ მელიქ-ფაშაევმა წამოაყენა მდინარე რიონის იმავე უბნის გამოყენების ვარიანტი.

ვარიანტების შერჩევისა და ჰიდროცენტრალის ასაშენებელი ადგილის გაცნობის მიზნით 1927 წლის მაისში დაინიშნა სპეციალური საექსპერტო კომისია პროფ. ს. ა. კუკელ-კრაევსკის, ვ. ა. ვასილიევის, ვ. გ. პლეშკოვის, ა. ნ. რიაბინინის და მ. ე. კნორეს შემადგენლობით. ეს კომისია, ადგილობრივ ტეხნიკურ ძალთა წარმომადგენლებთან ერთად, გაეცნო როგორც ჰიდროსადგურის ასაშენებელ ადგილს, ისე პროფ. ლუდინის და ინჟ. მელიქ-ფაშაევის საესკიზო ვარიანტებსაც.

მასალების გაცნობის შემდეგ საექსპერტო კომისიამ დაადგინა, რომ 1) რიონის ჰიდრო-ელექტრო-სადგური აგებულ იქნას ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტით და 2) მიზანშეუწონელი ხარჯების თავიდან ასაცილებლად, ტეხნიკური პროექტი, რომელიც განსახილველად უნდა წარედგინოს ცენტრს, დამუშავებულ იქნას მხოლოდ ინჟ. მელიქ-ფაშაევის ვარიანტით, იმ ცვლილებებით დეტალებში, რომლებიც შეტანილია კომისიის მიერ და განმარტებულია თანდართულ ბარათში.

საექსპერტო კომისიამ ამ დადგენილებისა და მთავარ ელექტრო სამუშაოთა სამმართველოს უფროსის განკარგულების თანახმად, პროექტი დამუშავებულ იქნა მხოლოდ ერთი ვარიანტით. ამჟამად უკვე დასრულებულია ამ პროექტის დამუშავება, და ის დასამტკიცებლად გადაგზავნილია ცენტრალურ ელექტრო-ტეხნიკურ საბჭოში.

ამ პროექტის მიხედვით საჭირო ბურჯის ასაგებად და 1,7 კილომ. მანძილზე წყალის ასაყვანათ ჯაჭვის ხიდის ზევით ქუთაისში, მდ. რიონზე აიგება კაშხალი. კაშხალის საყრდენი უდრის 9,82 მეტრს წყლის დაბალ და 3,5 მეტრს მაღალ დონეზე. კაშხალს აქვს 4 ხვრელი, თვითეული 10,2 მეტრის სიგრძის, რომლებშიაც გადის 11 მეტრის სისქე წყლის ტოტი. ზედმეტი წყლის გატარების თავიდან ასაცილებლად ხვრელები ფარებითაა დაფარული. ეს ფარები შეიძლება აწეულდაწეულ იქნან სათანადო მექანიზმებით, რომლებიც მოთავსებულია კაშხალთან მიდგმულ სპეციალურ პატარა ბაქნებზე. ფარების აწევ-დაწევა შეიძლება როგორც ხელით, ისე ავტომატიურად. თუმცა უდიდესი ლანქერის დროს რიონს წამში მოაქვს 1.140 კუბ. მეტრი წყალი, მაგრამ მაინც სიფრთხილის გულისათვის კაშხალის გამტარ-უნარიანობა ნაანგარიშევია 2.300 კუბ. მეტრის რაოდენობით წამში. 4 ხვრელს გარდა, კაშხალს კიდევ აქვს ხეინის სისტემის მწოვი სიფონის წყალსაშვი, სწორედ ისეთი, როგორიც ზაჰესს აქვს.

სიფონის დანიშნულებაა ზედმეტი წყალის გადაშვება პატარა ღელვის დროს და აგრეთვე უეცარი ლანქერის დროსაც მანამდე, სანამ მოესწრებოდეს დანარჩენ ფარების გაღება საჭირო ზომით. სიფონი წამში უშვებს 82—124 კუბ. მეტრამდე წყალს, წყლის დონის მიხედვით კაშხალს დაბლა. სიფონის გვერდით კეთდება ქუთაისისაკენ მიმავალ ტივების საშვები. კაშხალს მარცხენა ნაპირიდან მიდგმული აქვს წყალმიმღები, რომელიც წყალს აწვდის მთავარ არხს.

სანამ წყალი არხში მოხვდებოდეს, ის გადის ჯერ წყალმიმღებში და რაბში. ამათი დანიშნულება შემდეგია:

თუმცა, წყალის სისწრაფე კაშხალს ზევით, მისი აგების შემდეგ, ძალიან უმნიშვნელოა. მაგრამ ეს შეიძლება მაინც საკმარისი არ აღმოჩნდეს იმისათვის, რომ არხში არ მოხვდენ მაგარი სხეულები. ამავე დროს მაგარ სხეულებს, რომლებიც არხში მოხვდებიან, შეუძლიათ მისი დაზიანება. ამიტომ, წყალმიმღების შესავალთან გაკეთებულია „სხვილი ბადე", რომელიც შესდგება ხუთი ხვრელისაგან, თვითეული 4,4 მეტრის სიგრძის. ეს ხვრელები ერთმანეთისაგან დაშორებული არიან 1 მეტრი განის ბეტონის ბურჯებით. ბადე შესდგება ვერტიკალურ რკინის რელსებისაგან, რომლებიც 40 სტმ. არიან ერთმანეთს დაშორებულნი. ბადეს ზევით მიდგმულია პატარა ხიდი, საიდანაც შეიძლება ბადის გაწმენდა და დიდ სხეულების ამოღება. რადგან წყალის მიერ სილა-ღორღის ტარების უნარი დამოკიდებულია მისა სისწრაფისაგან, აქედან ცხადია, რომ რამდენადაც წყალის სისწრაფე წყალმიმღებში ნაკლები იქნება წყალის სისწრაფეზე არხში, იმდენად სილა-ღორღი აღარ გაჩერდება წყალმიმღებში და ის გავა არხში. წყალმიმღებში დალექილი ნივთიერება იწმინდება მრეცხი რაბით. წყალმიმღების გარეცხვა-წმენდა სწარმოებს ამ რაბის საზსკერო ხვრელის (სიგანე 2 ნახ. მეტრი, სიმაღლე 3 ნახ. მეტრი) გაღებით.

არხის თავთან, წყალმიმღებს უკან, მოწყობილია სათავე რაბი, რომლის დანიშნულებაცაა საჭირო რაოდენობის წყალის გაშვება არხში და შესავლის დახურვა შეკეთებისა ან და კატასტროფის დროს. რაბის ხვრელი იხურება ბორბლებზე მოძრავ ფარებით, რომლების აწევა-დაშვება წარმოებს სპეციალურ პატარა ხიდზე დადგმულ მექანიზმების საშუალებით.

რიონიდან წყალის გადაყვანა საღორიას ველისაკენ, რომელზედაც წყალი უკვე ღია არხით გადის, ხდება დერივაციული (უწნეო) არხგვირაბის (1.440 მეტრის სიგრძის) საშუალებით. არხგვირაბის უდიდესი სიგანე უდრის 5 მეტრს, სიმაღლე 5.7 მეტრს. არხგვირაბს წამში შეუძლია 64.000 კუბ. მეტრი წყლის გატარება.

არხგვირაბიდან წყალი მიიმართება არხით საღორიის ტაფობის ფერდობზე, შემდეგ არხს ისევ ცვლის არხგვირაბი (1 ვერსის სიგრძის) და ბოლოს, ტაფობზე გამოსვლის შემდეგ წყალი ღია არხით მიდის გამწესრიგებელ აუზამდე. ამ აუზის დანიშნულებაა წყალის დაგროვება იმ დროს, როდესაც ჰიდრო-ელექტრო სადგური სრულად არ იქნება დატვირთული და როდესაც რჩება ზედმეტი წყალი, რომლის გამოყენებაც შეიძლება სადგურის გაძლიერებული ტემპით მუშაობის დროს. აუზის მოცულობა ისეთია, რომ ის იძლევა სადგურის მუშაობის მოწესრიგების საშუალებას დღე-ღამის განმავლობაში. არხისა და აუზის გვირაბის საერთო სიგრძე უდრის დაახლოებით 9 კილომეტრს.

მომწესრიგებელ აუზის ბოლოში, საღორიის ტაფობის სამხრეთ ფერდობზე, რკინის გზის სადგურ რიონის მხრივ, პირით მდინარე რიონისაკენ, მოთავსებულია მწნევი აუზი, საიდანაც იწყება მწნევი მილი, რომელიც წყალს აწვდის ცენტრალურ სადგურის ტურბინებს. ამჟამად კეთდება მილების ორი მთავარი და ორი დამხმარე ხაზები. შემდეგ, როდესაც ჰიდრო სადგური სრული დატვირთვით ამუშავდება, გაყვანილი იქნება კიდევ ორი მილი. მთავარი მილების დიამეტრი უდრის 61,5 მეტრს. თვითეული მთავარი მილი წამში უშვებს 22 კუბ. მეტრ წყალს.

ფერდობის ძირში სადგურ რიონის ახლოებლად მოთავსებულ ცენტრალური ელექტრო-სადგურის შენობაში იდგმება პირველ რიგში ორი ტურბინა, 15.000 ცხ. ძალის თვითეული. შემდეგ, როდესაც სადგური გაფართოვდება, მოემატება კიდევ ორი ტურბინა და ამნაირად სადგურის მთელი სიმძლავრე აყვანილი იქნება 60.000 ცხენის ძალამდე. ერთ ღერძს ტურბინით აქვს სამთანწყიანი დენის გენერატორი 6.600 ვოლტის ჭინვით. გენერატორებიდან ელექტრო-დენი მიდის გამაძლიერებელ ღია ტრანსფორმატორებისაკენ. ტრანსფორმატორები ჭინვას აძლიერებენ 115.000 ვოლტამდე. მომხმარებელ ადგილისაკენ დენი მიდის ელექტროგადამცემი ხაზით.

ცენტრალურ სადგურის შენობიდან უკვე გადამუშავებული წყალი ცალკე არხით ეშვება მდინარე ყვირილაში. ამ არხის სიგრძე უდრის 2,8 კილომეტრს. აქედან 1,2 კილომეტრი მიდის ისევე მდ. რიონის ძველი შტოთი; განშტოების ადგილას რიონი იხურება სპეციალური ჯებირით. არხმა წამში უნდა გაატაროს 78 კუბ. მეტრი წყალი; მაგრამ ჯერ-ჯერობით ის დამუშავებულია ისე, რომ მას შეეძლოს ამის ნახევრის გატარება, რაც აკმაყოფილებს პირველ რიგში დადგმულ ორი ტურბინის მუშაობას. გადამუშავებული წყალის საშვი არხი რამდენიმედ დაბლაა ჰიდროსადგურზე და მას სჭრის თბილის-ბათომის სარკინისგზო ხაზი. ამ ადგილას განზრახულია ქვის სარკინისგზო ვიადუკის აგება წყვილადი გზებით.

როგორც უკვე ზემოთ ვსთქვით, არხი ნავარაუდევია წამში 64 კუბ. მეტრი წყლის გაშვებისათვის, ხოლო ტურბინები კი, სადგურის გაფართოების შემდეგ, გაატარებენ წამში 88 კუბ. მეტრ წყალს. ეს აიხსნება იმით, რომ პირველი ციფრი ნიშნავს წყალის საშუალო ხარჯს დღე-ღამეში, ხოლო მეორე— ხარჯს სადგურის სრულიად დატვირთვის დროს, თუმცა საერთოდ უნდა ითქვას, რომ ამ დატვირთვას ექნება ყოველდღიური, მაგრამ მცირეხნოვანი ხასიათი (2—3 საათი).

რადგან კაშხალი მოთავსებულია ქუთაისის და მაშველის, საბჭოთა და მუხიანის არხებს ზევით, ამიტომ საჭირო ხდება რიონჰესის კაშხალში წყალის განსაზღვრული რაოდენობის გაშვება მიწების მოსარწყავად და ქალაქის საჭიროებისათვის.

თანახმად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოსთან არსებულ ტეხნიკურ საბჭოს დადგენილებისა 1927 წლის 19 იანვრის თარიღით და აგრეთვე თანახმად საქართველოს წყალთა მეურნეობის სამმართველოს ტეხნიკურ საბჭოსა და საქ. ს. მ. უ. ს. წარმომადგენლების გაერთიანებული თათბირის დადგენილების იმავე თვის 27 რიცხვის თარიღით, მიწის სარწყავი და ქალაქისათვის საჭირო წყალის რაოდენობა ქანაობა 4—18 კუბ. მეტრამდე წამში. ამასთან, იმ შემთხვევაში, თუ წყალის ხარჯი მდ. რიონზე დავა 30 კუბ. მეტრამდე წამში, მაშინ კაშხალში გადასაშვები წყალის საჭირო რაოდენობა შეიძლება შემცირებულ იქნას საშუალოდ დღე-ღამეში 2 კუბ. მეტრ. წამში.

კაშხალში გადაშვებული წყალის ხარჯი სავსებით დააკმაყოფილებს და უზრუნველყოფს ქუთაისის სამეურნეო მოთხოვნილებებს, რადგან ზაფხულის პერიოდში წყალი რიონში თითქმის მუდამ მეტია იმაზე, რაც დასჭირდებათ ჰიდროსადგურს და სარწყავ არხებს. ხოლო წყალის გაშვება კაშხალში 2 კუბ. მეტრის რაოდენობით წამში მოხდება იშვიათად, საშუალოდ წელიწადში 3—4 დღეს, ისიც 1935 წლიდან, როდესაც გეგმის თანახმად სადგური სრულად იქნება დატვირთული.

მართალია, კაშხალში წყალის გაშვება ქალაქის საჭიროებისა და მორწყვისათვის რამოდენიმედ შეამცირებს ჰიდრო-სადგურის სიმძლავრეს, მაგრამ ამ შემცირებას არსებითად არა აქვს მნიშვნელობა. იმ გავლენის გამოსარკვევად, რასაც მოახდენს კაშხალში წყალის გაშვება რიონჰესის ენერგიის საერთო წარმოებასა და მის სიმძლავრეზე, სამუშაოთა სამმართველომ მოახდინა გამოანგარიშება და აღმოჩნდა, რომ ენერგიის წლიური წარმოება შემცირდება მხოლოდ 3 პროცენტით, ხოლო წლის ყოველ დროისათვის უზრუნველყოფილი სადგურის სიმძლავრე—9 პროც.

უბრუნდებით რა რიონის ჰიდროსადგურის დატვირთვის საკითხს, უნდა აღვნიშნოთ, რომ ა.-კ. რკ. გზათა საუღელტეხილო უბნისა და ჭიათურის სამთო მრეწველობის გარდა, მსხვილ მომხმარებლებს წარმოადგენენ—ქაღალდის ფაბრიკა მდ. ენგურზე და ქუთაისის, აბაშის და გორის რაიონები, რომლებიც ენერგიას ხმარობენ განათებისა და სამრეწველო მიზნებისათვის.

როგორც გამოანგარიშებულია, 1930 წლისათვის რიონის ჰიდრო-ელექტრო სადგურს შეუძლია დაფაროს საჭირო ენერგიის მთელი მოთხოვნილება. 1935 წ. ენერგიის საჭირო მოთხოვნილება დაითარება რიონის, აბაშის და ნაწილობრივ ზემო-ავჭალის სადგურების გაერთიანებული მუშაობით. აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ამასთან კიდევ გამოუყენებელი რჩება დიდძალი სეზონური ენერგია, რომელიც შეიძლება მოხმარდეს სამრეწველო საჭიროებებს.

ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება 1935 წლამდე, რომლის შემდეგ, დატვირთვის გადიდების პირობებში, საჭირო გახდება ორთქლის ან ჰიდრო-ელექტრო წყაროს აგება.

საამშენებლო ხარჯებისა და ელექტრო-ენერგიის ფასის საკითხის შესახებ უნდა აღინიშნოს, რომ ღირებულება ორივე ვარიანტისა, როგორც პროფ. ლუდინის, ისე ინჟ. მელიქ-ფაშაევის პროექტების მიხედვით, თითქმის ერთი და იგივეა, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მეორე ვარიანტი იძლევა სადგურის უფრო დიდ სიმძლავრეს. ამ პროექტის მიხედვით, მთელი წინასწარი საამშენებლო მუშაობა დაჯდება— 13.089.000 მანეთი.

გამოდის რა ამ ხარჯაღრიცხვის ღირებულებისა და ენერგიის მოხმარების ციფრებიდან, სამუშაოთა სამმართველომ მაღალი ჭინვის ენერგიის თვითღირებულება 1930 წ. და 1935 წლამდე განსაზღვრა შემდეგნაირად: 1930 წლამდე—2,59 კაპ. კილოვ. საათში, 1935 წლამდე— 2,88 კაპ. კილოვ. საათში, 1940 წლ. ენერგიის თვითღირებულება, მოსახმარი ენერგიის მთელი რაოდენობის დაახლოვებითი ვარაუდით, განისაზღვრება— 1,33 კაპ. კილოვ. საათში და რიონჰესის მთელი ენერგიის გამოყენების შემდეგ— 0,97 კაპ. კილოვატ საათში.

ინჟ. **ჩიქოვანი**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა კავშირის თავდაცვისათვის

მომავალი ომის ტექნიკა

ომის საშუალებანი, ომის ტექნიკა მომავალ ომში სავსებით იქნება განსხვავებული წარსული ომების ტექნიკისაგან.

ომების ისტორიიდამ ჩანს, თუ როგორ იცვლება ტექნიკა ყოველ ახალ ომში. ასე, მაგალითად, ნაპოლეონის დროს წარმოდგენაც კი არ ჰქონდათ ისეთი ზარბაზნების შესახებ, როგორიც ეხლა იხმარება. ტყვიის მფრქვეველი, რომელიც ჩვენ ეხლა მეტად მარტივ იარაღად მიგვაჩნია, დიდი ხანი არ არის რაც შემოვიდა ხმარებაში; რუსეთ-იაპონიის ომის დროს ტყვიის მფრქვეველი ახალი შემოღებული იყო, ასე რომ 25 წელიც კი არ გასულა მას შემდეგ, რაც იგი გამოიყენა სამხედრო ტექნიკამ.

1914-1918 წ. წ. ომში ახალი საშუალებანი იქნა შემოღებული: გაზები, ტანკები, ჰაეროპლანები. გერმანელების შემოტევა გაზების საშუალებით უკანასკნელი მსოფლიო ომის დროს სრულიად მოულოდნელი იყო. ამ გაზებმა უდიდესი პანიკა გამოიწვია ძველი რუსეთის არმიის რიგებში. სანამ არ იყო შემოღებული გაზების საწინააღმდეგო ნიღაბები, გაზების საშუალებით შემოტევის დროს ბევრი ხალხი იღუპებოდა; და ეს ხალხი უფრო მეტად პანიკის გამო იღუპებოდა, ვიდრე გაზებით.

როცა ინგლისელებმა პირველად აამოქმედეს ტანკები გერმანიის წინააღმდეგ, მთელი გერმანიის არმია საშინელმა შიშმა მოიცვა: ამ არმიამ მაშინვე დაიხია უკან ასეთი არნახული და საშინელი იარაღის წინაშე. და მხოლოდ მას შემდეგ, როცა გამონახულ იქნა საშუალებანი ტანკებთან ბრძოლისათვის, ეს ტანკები ისე საშინელ იარაღად აღარ ეჩვენებოდათ, როგორც წინედ. როცა ჩვენ ომს ვაწარმოებდით კონტრ-რევოლიუციონურ გენერლებთან, თეთრმა არმიებმაც აამოქმედეს ტანკები ჩვენს წინააღმდეგ, მაგრამ ჩვენ წითელარმიელებს ეს სრულიადაც აღარ აშინებდა; ძალიან ხშირი იყო ისეთი შემთხვევა, როცა წითელი არმია ხელში ჩაიგდებდა ხოლმე მათ ტანკებს.

არის თუ არა აღმოჩენილი ბრძოლის ახალი იარაღები?

ამ მხრივ ჩვენ ბევრი რამ არ ვიცით, ვინაიდან ასეთ აღმოჩენებს დიდი საიდუმლოებით ინახავენ. მაგრამ ყოველივე ის რაც ჩვენ ვიცით, უკვე მოწმობს იმას, რომ ტექნიკა მომავალ ომში მეტად დიდ როლს ითამაშებს.

ავიღოთ, მაგალითად, ავიაცია.

ეს საქმე დღითი-დღე უმჯობესდება. აშენებენ ისეთ დიდ ჰაეროპლანებს, რომლებითაც რამოდენიმე ათეული კაცის გადაყვანა შეიძლება. ჰაეროპლანებზე ეხლა დგამენ მსუბუქ ზარბაზნებს, რომლითაც შეიძლება ყუმბარები დაუშინონ ქალაქებს, სოფლებს, რკინის გზის სადგურებს, საწყობებს და სხ.

ჰაეროპლანებს ეხლა საათში შეუძლიათ გაიარონ 200 ვერსზე მეტი. ასეთ ჰაეროპლანებში რომ ჩასვან შეიარაღებული რაზმები, ეს რაზმები რამოდენიმე საათის შემდეგ მტრის ზურგს უკან მოექცევიან.

ამგვარად მომავალ ომში მონაწილეობას მიიღებს არა მარტო ჯარი, არამედ მთელი მოსახლეობა. მთელმა მოსახლეობამ უნდა შეისწავლოს სამხედრო საქმე, ვინაიდან ჰაეროპლანებით ჯარების გადაყვანას დიდი ზიანის მოტანა შეუძლიათ: ამ ჯარებს შეუძლიათ გაანადგურონ იარაღი, დაანგრიონ რკინის გზები, ხიდები, სიმაგრეები, საწყობები.

ასევე წავიდა წინ ყოველგვარი ქიმიური ყუმბარების და სხ. აღმოჩენათა საქმე.

არის ისეთი ყუმბარები, რომელიც ახრჩობს ხალხს; არის ისეთებიც რომელიც სწამლავს წყალს, ხოცავს საქონელს.

აი, როგორ ემზადებიან კაპიტალისტები ომისათვის. ჩვენ მზად უნდა ვიყოთ იმისათვის, რომ კაპიტალისტურ ტექნიკას დაუპირდაპიროთ ჩვენი ტექნიკა. ამიტომ არის, რომ ჩვენ ვანვითარებთ ქიმიურ მრეწველობას, ვაშენებთ საბჭოთა ჰაეროპლანებს, ვიღებთ ყოველგვარ ზომებს იმისათვის, რომ ჩვენი წითელი არმია იყოს შეიარაღებული ისეთივე იარაღით, როგორითაც არიან შეიარაღებული კაპიტალისტური არმიები და ამ მხრივ ჩვენ გვაქვს მნიშვნელოვანი მიღწევები. თუ ჩვენი მტრები განიზრახავენ თავს დაესხან საბჭოთა კავშირს, ისინი დაინახავენ თუ რა შეუძლია უკვე საკმაოდ განვითარებულ ჩვენს სამხედრო ტექნიკას.

ბ. ზ.

ჯავშნიანი ნაწილები თანამედროვე ომში

ავტომობილები

ომის დროს ჯავშნიანი ავტომობილები გამოიყენებიან როგორც ცეცხლითი მძლავრი და მოძრაობითი სწრაფი საშუალება. ავტომობილებს გადაკრული აქვთ ჯავშანი, რომ დაცული იქნენ მოწინააღმდეგეს ცეცხლისაგან. ზედ დადგმულია მოძრავი გოდოლი, რომელშიაც მოთავსებულია ტყვიამფრქვევები, ან ზარბაზნები.

შეიარაღების მიხედვით ჯავშნიანი ავტომობილები იყოფიან ორ ჯგუფად: მსუბუქ—სატყვიამფრქვევო და მძიმე—საზარბაზნო.

მსუბუქი ავტომობილი შეიარაღებულია ორი ტყვიამფრქვევით, რომლებიც დადგმული არიან ისე, რომ შეუძლიათ მიბრუნება ყოველმხრივ. ეს აძლევს ჯავშან ავტომობილებს შესაძლებლობას ისროლონ სასურველი მიმართულებით. მსუბუქი ავტომობილის რაზმი შესდგება 3-4 კაცისაგან. მისი წონა უდრის 300 ფუთს. საათში ჯავშნიანსი გადის წინსვლის დროს 80 კილომეტრამდე, უკანსვლის დროს 20 კილ-მდე.

მძიმე ავტომობილები შეიარაღებული არიან ერთი სამ დიუმიანი, ან 37 მილიმეტრიან ზარბაზნით და ერთი ტყვიამფრქვევით. მისი წონა უდრის 500 ფუთს. წინსვლის დროს საათში გადის 40 კილ-ს, უკანსვლის დროს 18 კილ-ს.

ჯავშანავტომობილები ბრძოლაში

ქვეითი ჯარის საბრძოლო წესდებაში ნათქვამია, რომ ჯავშნიანი ავტომობილები გამოიყენებიან არა მარტო ქვეით ჯართან, არამედ ცხენოსან ნაწილებთანაც, ჯავშან ავტომობილები აჭარბებენ ტანკებს მოძრაობის სიჩქარის მხრივ. მთავარ მათ ღირსებას შეადგენს ის გარემოება, რომ მათ შეუძლიათ დაუშინონ ძლიერი ცეცხლი ტყვიამფრქვევებიდან. ეს კი აძლევს მათ საშუალებას სწრაფად დაესხან თავს მოწინააღმდეგეს და თავისი ცეცხლით მიაყენონ მნიშვნელოვანი ზიანი.

ჯავშან ავტომობილები გამოიყენებიან აგრეთვე ქვეით ჯართან და ცხენოსანთან ერთად სხვადასხვა საზღუდავების ხელთ გდების დროს ქვეითი ჯარის მთავარ ძალების მოსვლამდე. თავდაცვის დროს, ჯავშან ავტომობილები გადადიან ერთ ადგილიდან მეორეზე და თავისი ცეცხლით ეხმარებიან ქვეითი ჯარს მოწინააღმდეგის იერიშების მოგერიებაში.

ჯავშან ავტომობილები ფართედ გამოიყენებიან მორეულ მტრის დევნის დროს. უკან დახევის დროს კი, ისინი იცავენ ნაწილებს და აჩერებენ მტრის წინსვლას, რითაც ხელს უწყობენ ნაწილებს უკან დახევის დროს წესრიგით სვლას. ბრძოლის დროს არმიაში ავტომობილებისაგან სდგება ჯავშნოსანი დივიზიონები. თითო დივიზიონში შედის 9 მანქანა, ერთი საბარგო ავტომობილი ვაზნების და სათადარიგო ნაწილების საზიდავათ და 3-4 მოტოციკლი კავშირისათვის.

ჯავშან ავტომობილების ნაკლი

თუმცა ბრძოლის დროს ჯავშანავტომობილები ფრიად გამოსადეგი არიან, მაგრამ მათი გამოყენება შეზღუდულია: ჯავშანავტომობილების გამოყენება დამოკიდებულია გზატკეცილებზე და კარგათ ნაკეთებ გზებზე. მათ სრულიად არ შეუძლიათ მოძრაობა ჭაობიან ადგილებში, ქვიშაზე და ღრმა თოვლში. არ შეუძლიათ ნახევარ არშინზე უფრო ღრმა მდინარის გადალახვა. მათი მოძრაობისათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს აგრეთვე მავთულხლართები, ორმოები და მიწაში ჩასმული პალოები.

ყველაზე უკეთესად ჯავშანავტომობილებს შეუძლიან ებრძოლოს არტილერია. არტილერიას შეუძლიან ცეცხლით ან ყუმბარებით ან სრულიად განადგუროს ჯავშანავტომობილები, ან მის წინ გზის გაფუჭება, რაც უსპობს მათ მოქმედების უნარს.

ი. ხ.

ჯარიდან დაბრუნებულთა მოწყობის შესახებ სამოქალაქო სამსახურში

საბჭოთა ხელისუფლებამ წითელ ჯარიდან დათხოვნილთა შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხს ამ უკანასკნელ წლებში განსაკუთრებული ყურადღებით მოჰკიდა ხელი. ეს გარემოება გამოწვეულია იმით, რომ ზოგიერთი ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოები ამ საკითხს ჯეროვანად ვერ ხვდებოდნენ და წითელი არმიელებისათვის დახმარების აღმოჩენის საკითხში გულგრილობას იჩენდენ.

წარსულ წელში გამოიცა მთელი რიგი დადგენილებებისა, რომლის ძალით ჯარში გაწვეულ მოსამსახურის ადგილი ჯარიდან დაბრუნებულ წითელ არმიელსვე უნდა დაეკავებინა და ამის გარდა შეღავათით წითელ არმიელი შრომის ბირჟაზე რიგს გარეშე აღირიცხებოდა და უპირატესობით იგზავნებოდა სამსახურში.

ამ საქმის მოგვარებისათვის დიდი შრომა და ენერგია დასჭირდა შრომის ორგანოებს და განსაკუთრებით კი შრომის ბირჟებს, რომლებიც ებრძოდნენ ზოგიერთი წარმოება დაწესებულებების ჯიუტ ადმინისტრატორებთან.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია საკითხი დემობილიზაცია ქმნილ მეთაურთა შემადგენლობის პირთა სამსახურით უზრუნველყოფის შესახებ.

არსებობს შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილება ასეთ პირთა სამსახურით სავალდებულო წესით უზრუნველყოფის შესახებ. ეს კამპანია მთავრობის კომისიებმა და ქვე კომისიებმა ჯეროვნად ჩაატარეს და წითელ ჯარიდან დათხოვნილ უფროს შემადგენლობის პირთა გაგზავნის საკითხი თითქმის სავსებით ამოწურული იქნა.

მაგრამ ამ უკანასკნელ დროს ამ საკითხს ერთგვარი დამახინჯება დაეტყო. ამა თუ იმ ორგანიზაციების აპარატის რაციონალიზაციასთან დაკავშირებით ან სხვადასხვა სარჩულით სტოვებენ შტატგარეშე სწორეთ ისეთ პირთ, რომლებიც ეკუთვნიან მეთაურთა შემადგენლობას.

არსებობს, კანონი, რომლის ძალით სამოქალაქო სამსახურში მყოფ საკომანდო შემადგენლობის პირთა სამსახურიდან მოხსნა დაიშვება მხოლოდ და მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ისიც მთავრობის კომისიასთან წინასწარი შეთანხმებით.

ამ წესსა და კანონს გვერდს უვლიან ზოგიერთი ჩვენი სახელმწიფო და სამეურნეო ორგანოები და ამისათვის იმ ორგანოებში, რომლებიც უშუალოდ განაგებენ და ზედამხედველობას უწევენ მეთაურთა შემადგენლობის პირთა საქმეებს, იძულებული ხდებიან ჩაერიონ საკითხის მოგვარებაში და ბევრ შემთხვევაში აღადგინონ თავის უფლებებში ადმინისტრაციის მიერ მოხსნილი უფროსშემადგენლობის პირნი.

საჭიროა, რომ, ამა თუ იმ წარმოება-დაწესებულებაში რაციონალიზაციასთან დაკავშირებით გამოწვეული ხარჯების და შტატის შემცირების დროს მხედველობაში მიიღონ შრომისა და თავდაცვის საბჭოს, მუშათა და გლეხთა ინსპექციის და შრომის სახ. კომისარიატების მიერ გამოცემული დადგენილებანი მეთაურთა შემადგენლობის შეღავათებისა და უპირატესობათა შესახებ.

შ. ჯაბადარი

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებაში

რა უნდა აკეთონ სოფლის უჯრედებმა

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოებას მრავლად მოეპოვება სოფლებში თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედები. მოდის ცნობები, რომ ბევრ სოფელში ეყრება საძირკველი ახალ უჯრედებს.

უჯრედებში მუშაობის საწარმოებლად და სხვადასხვა ხასიათის წრეების ხელმძღვანელებად გამოყენებულ უნდა იქნენ სათადარიგო მეთაურნი, ტერიტორიალური ერთეულების მეთაურთა და პოლიტშემადგენლობა და გრძელვადიან შვებულებაში მყოფი წითელარმიელნი. ყველა ამათ წითელ ყაზარმაში და სამოსწავლო შეკრებებზე კარგათ აქვთ შეთვისებული თავდაცვა-ავიაქიმის უჯრედების მუშაობა, იცნობენ მუშაობის ფორმებს და მეთოდებს და შეუძლიათ გაუწიონ საუკეთესო ხელმძღვანელობა მათ.

ყოველ სოფლის უჯრედს უნდა ჰქონდეს გამომუშავებული სამუშაო გეგმა, რომ მუშაობას ჰქონდეს არა შემთხვევითი, არამედ სისტემატიური ხასიათი. ამისათვის კი საჭიროა მჭიდრო კავშირის დაჭერა ადგილობრივ სამხედრო ერთეულთან, ან სამხედრო კუთხესთან, საიდანაც უჯრედი მიიღებს მასალებს და საჭირო ცნობებს.

მოახლოებულია ზამთარი, რომელიც მაინცდამაინც არ არის ხელსაყრელი დრო მუშაობისათვის, არ არის შესაძლებელი გასვლა ველად და იქ მუშაობის წარმოება. უჯრედს ზამთარში მოუხდება მუშაობის წარმოება მეტწილად შენობაში და ზამთრის გეგმა უჯრედმა უნდა შეუფარდოს ამ პირობებს.

ზამთარში მეტი დრო უნდა დაეთმოს მეცადინეობის თეორიულ მხარეს, რომ აღმოფხვრილ იქნეს უჯრედის წევრთა შორის სამხედრო უცოდინარობა. ზამთრის განმავლობაში წევრები უნდა გაეცნონ ახლო სამხედრო საქმეს, ავიაციას, ქიმიას, რომ ჰქონდეთ ნათელი წარმოდგენა მომავალი ომის ხასიათზე და მის წარმოებაზე.

ზამთარი საუკეთესო დროა მეცადინეობისათვის ტირში. ტირის საშუალებით ყოველ წევრს უჯრედმა უნდა შეასწავლოს სროლის ტექნიკა, რომ შემდეგ ველად გასვლისას გაადვილდეს სროლის წარმოება.

ამასთანავე საჭიროა, რომ ყოველი უჯრედის მუშაობა სისტემატიურად შუქდებოდეს გაზეთების ფურცლებზედ. ამითი უჯრედებს ექნებათ საშუალება გააბან კავშირი სხვა უჯრედებთან, გაეცნონ მათ თავისი მუშაობა, გამოცდილება და გამოასწორონ მუშაობის ნაკლი.

—ზ.

საზღვაო სექცია

თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების პრეზიდიუმის დადგენილებით საზოგადოების ცენტრალურ გამგეობასთან დაარსებულია საზღვაო სექცია.

სექციის მიზანია გააცნოს მშრომელთა ფართე მასებს საზღვაო ფლოტის ისტორია, მისი ბრძოლები და ჩააბას მშრომელები აქტიურ მუშაობაში საზღვაო საქმის გასაფართოებლად.

საზღვაო სექცია დახმარებას აღმოუჩენს სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს მათ მუშაობაში საბჭოთა კავშირის საზღვაო თავდაცვისათვის.

ახალი სექციის თავმჯდომარედ დამტკიცებულია მუშურ-გლეხურ წითელი არმიის სამხედრო საზღვაო ძალების უფროსი ამხ. ა. მუკლევიჩი.

ი. ხ.

სამხედრო ქრონიკა

ახალი მეთაურები

მიმდინარე წლის ენკენისთვეში კურსდამთავრებული ახალი მეთაურები შვებულების შემდეგ გამოცხადდნენ ნაწილებში და შეუდგნენ წითელარმიელთა სწავლებას.

შეჯიბრი ფიზკულტურაში და სროლაში

დასრულდა ქართულ დივიზიის ნაწილებში წარმოებული შეჯიბრი ფიზკულტურაში და სროლაში. ათაცეულთა შორის შეჯიბრში საუკეთესო სროლაში გამარჯვებული გამოვიდა 3-4-ე ლეგიონი. მსროლელ ოცეულთა შორის შეჯიბრში სროლაში ჯილდო მიიღო მე-5 ლეგიონმა. ტყვიამფრქვევ ოცეულთა შორის შეჯიბრში სროლაში პირველი ადგილი დაიკავა 1-5-ე ლეგიონის ტყვიამფრქვევ ოცეულმა.

ჩინებულ მუშაობისათვის

მანევრებზე ჩინებულ მუშაობისათვის თანახმად ბრძანებისა ქართული დივიზიისადმი დაჯილდოებული არიან: საარტილერიო ლეგიონი—საბრძოლო სროლისათვის და მანევრებზე ლეგიონებთან მუშაობისათვის, ცალკე საკავშირო ასეული—მანევრების დროს კავშირის დარგში საუკეთესო მუშაობისათვის და ცალკე მესანგრე ასეული—მანევრების დროს ხიდის გაკეთებისათვის.

საბჭოთა საქართველო

დეპეშები

ბანკის ლიკვიდაცია

ფოთი, 9 ოქტომბერი. გაუქმდა თბილისის ქალაქის ბანკის ფოთის განყოფილება, რომლის ფუნქციები გადაეცა ახალსენაკის განყოფილებას. (ადს).

მევენახეთა არტელი

ოზურგეთი, 9 ოქტომბერი. სოფ. დაბლაციხეში მოეწყო მევენახეთა არტელი „ვაზი", რომელშიც შედის 13 მეურნეობა. არტელმა მოაწყო ყურძნის სადიდე და პლანტაცია მანდარინის 1.500 ნერგისთვის. (ადს).

წყალსადენი

გორი, 9 ოქტომბერი. სასმელი წყლის უვარგისობის გამო, ქალ. გორის ქალაქის საბჭომ დაადგინა ააგოს ახალი წყალსადენი. ამ მიზნით. დიგოთის წყაროების გამოსაკვლევად გაიგზავნა სპეციალური კომისია 15 კაცის შემადგენლობით. (ადს).

გორის მაზრაღმასკომის პლენუმი

გორი, 9 ოქტომბერი. 9 ოქტომბერს, საქართველოს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის ამხ. ქართველიშვილის თანდასწრებით გაიხსნა გორის სამაზრო აღმასკომის პლენუმი, რომელმაც მოისმინა 1927—28 წლის ბიუჯეტი. ბიუჯეტი დამტკიცებულია 1.552.874 მან. რაოდენობით.

სიმინდის ცუდი მოსავალი

ახალსენაკი, 9 ოქტომბერი. მიმდინარე წელს ახალსენაკის მაზრაში სიმინდის მოსავალი ძლიერ მცირეა. მოსული სიმინდი არ ეყოფა გამოსაკვებად მაზრის მოსახლეობას. მაზრის აღმასკომი ღებულობს ზომებს სიმინდის შემოსატანად მოსახლეობისათვის და ამასთან ერთად აწარმოებს პროპაგანდას, რომ ამ შემოდგომაზე მოსახლეობამ დათესოს ჭვავი, ჭვავი ახალსენაკის მაზრაში იკრიფება ივნისში, რის შემდეგაც შეიძლება სიმინდის დათესვა. ამ მიზნით მაზრის აღმასკომი შეიძენს 500 ფუთ ჭვავის თესლს გლეხებისთვის დასარიგებლად (ადს).

აჭარისტანი

ფიზკულტურის დღესასწაულზე

ბათომი, 9 ოქტომბერი. ფიზკულტურის შეჯიბრში მონაწილეობის მისაღებად ბათომიდან ბაქოში გაემგზავრა აჭარისტანის სპორტსმენების ჯგუფი.

მათთან ერთად ბაქოში გაემგზავრა ფიზიკურის აღზრდის განყოფილების გამგე ჯავრიშვილი (ადს).

ჭლექის დისპანსერი

ბათომი, 9 ოქტომბერი. მიმდინარე საბიუჯეტო წელში აჭარისტანის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს ააგოს ჭლექის პირველი დისპანსერი. (ადს).

იახტების შეჯიბრი

ბათომი, 9 ოქტომბერი. შესდგა ბათომის იახტ-კლუბის იახტების შეჯიბრი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო 7 ნავმა. პირველი ადგილი დაიკავა ნავმა „ნინელმა", რომელიც აგებულია ადგილობრივ (ადს).

ხიდების აგება

ბათომი, 7 ოქტომბერი. სოფ. ბაბუჩ-ოღლში, დოლოგანში, ვაიოში და აჭში შეუდგენ ხიდების აგებას ქვეითი და საურმე მიმოსვლისათვის. სამუშაოდ გადადებულია 24.000 მანეთი (ადს).

წითელ მოწყალების დების გამოშვება

ბათომი, 9 ოქტომბერი. ამ დღეებში შესდგა წითელ მოწყალების დების გამოშვება, რომლებმაც მოისმინეს პირველ საქმიო დახმარების აღმოჩენის სამთვიანი კურსები. კურსები დაამთავრა 37 კაცმა.

გამოცდების შემდეგ კურსდამთავრებულნი გადავიდნენ აჭარისტანის თავდაცვა-ავიაქიმის საზოგადოების განკარგულებაში. კურსდამთავრებულთაგან შესდგა სამხედრო სანიტარული რაზმი.

სამხრეთ-ოსეთი

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა

ცხინვალი, 9 ოქტომბერი. ყველგან შეუდგენ სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფას. რამოდენიმე რაიონიდან მიღებულ ცნობებით, გადასახადის აკრეფა წარმატებით მიმდინარეობს. სამხრეთ-ოსეთის საგადასახადო ორგანოები ფიქრობენ, რომ გადასახადი დანიშნულ ვადისათვის აიკრიფება მთელი 100 პროცენტით (ადს).

დიდი წვიმა და სეტყვა

ცხინვალი, 9 ოქტომბერი. ამ დღეებში ახდორეთის რაიონში, სოფ. ზინდერში მოვიდა დიდი წვიმა და სეტყვა. ნიაღვრის დროს დაიღუპა 8 სული მსხვილფეხა საქონელი და გლეხების ბევრი სხვა დოვლათი (ადს).

წერილები

საგარეჯოს რაიონი

რედ-კოლეგიების თათბირი

სოფლად, თემკომის მტკიცე ხელმძღვანელობას დიდი დახმარების აღმოჩენა შეუძლია კედლის გაზეთების მუშაობის გამოცოცხლებისათვის.

ამ მხრივ საგარეჯოს პარტიულ - კომიტეტის მიერ უკვე გადაიდგა შესაფერი ნაბიჯები. 30 სექტემბერს, მესამედ იქნა მოწვეული რაიონში არსებულ კედლის გაზეთების რედკოლეგიების თათბირი. საგარეჯოს სათემო კედლის გაზეთ „სინათლეს" რედკოლეგიის მუშაობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა კოლეგიის წევრი გ. ძაბილაშვილი, რომელმაც დაწვრილებით გააცნო თათბირს კედ. გაზეთის მუშაობის ნაკლი და მიღწევები.

სადგურ საგარეჯოს მუშურ-კედ-გაზეთის მუშაობის შესახებ, მოხსენება გააკეთა ამხ. გოგელიანმა, მისი სიტყვით, ამ გაზეთს საფუძველი ჩაეყარა 1925 წლიდან. მის გამოცემას არ ჰქონდა სისტემატიური ხასიათი. მუშაობას წინ ეღობებოდა მრავალი დაბრკოლებები. ამ ბოლო ხანებში, რაც საგარეჯოს გლეხკორთა ბიუროს დახმარებით, მუშაობა გამოცოცხლდა. გაზეთი გამოდის ყოველთვიურად. გაზეთში მოთავსებული წერილი მიზანს აღწევს.

შემდეგ მოხსენებით გამოვიდა მანავის სათემო კედგაზეთის რედკოლეგიის წევრი მათიაშვილი, რომელმაც განაცხადა, შემდეგი: „გაზეთის სისტემატიურად გამოცემა დავიწყეთ ა.-წ. აგვისტოს თვიდან. გლეხობა გაზეთის გამოცემას დიდის სიხარულით შეხვდა. გაზეთის ირგვლივ შემოკრებილია 15 კედლ-კორი. ქალებიც ჩაებნენ გაზეთის მუშაობაში. ნივთიერ დახმარებას გვიწევს საგარეჯოს პოლიტგანი. ვცდილობთ მუშაობის უფრო გაუმჯობესებას. ამით დამთავრდა მოხსენებები ადგილებიდან.

თათბირის მიერ მრავალი პრაქტიკული ღონისძიებანი იქნა გამომუშავებული მომავალი მუშაობისათვის.

ალ. ბ—ლი.

—:—

მახუნცეთი, აჭარისტანი

ეს არ არის დასაშვები

სოფ. მახუნცეთში არის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, რომლის გამგეთ ითვლება ვინმე ერევანდი. მან არ იცის ქართული ენა და ამიტომ ვიღაცას ათარგმნინებს წერილებზე აღნიშნულ ადრესებს რუსულად და აწერს კონვერტების მეორე გვერდზე. მიღებული წერილების სიას აკრავს გარედ რუსულ ენაზე (ფოსტალიონის უცოდინარობის გამო). მიდის მუშა, ან აჭარელი გლეხი და ვერ იგებს არის თუ არა მისი წერილი სიაში.

გარდა ამისა, ხსენებული პირი მსახურებს მეორე ალაგზე, აჭარპესის ადგილობრივ კანტორაში. ამავე ფოსტა-ტელეგრაფის სააგენტოში მსახურებს აგრეთვე მისი ცოლი. ისიც ქართული არ მცოდნე. ადგილობრივმა მუშებმა არა ერთხელ მიაქციეს ამაზე ხელისუფლების ყურადღება, მაგრამ უშედეგოდ.

ვფიქრობთ ამის შემდეგ მაინც მიიღებენ ზომებს.

თორნიკე.

ს. დაბლა - ციხე, გურია

დროზე უნდა შეუდგეთ საქმეს

ეს სოფელი შედის ჩოხატაურის თემში. კულტურული დონით, არ ჩამორჩება სხვა მახლობელ სოფლებს.

სოფელი მთაგორიანია ადგილ-მდებარეობით. მოსახლეობა ღარიბი, მცირე და მჭირი მიწების პატრონი, სიღარიბეს თან ერთვის უწყლობაც. ამის შესახებ არა ერთხელ იყო აღძრული შუამდგომლობა მენშევიკების ბატონობის დროს, მაგრამ დაპირების მეტი არაფერი გაკეთებულა.

ა. წ. ზაფხულში აღმოსავლეთ გურიას ესტუმრა ამხ. ფილიპე მახარაძე და სიმონ ჯუღელი. მათ დაათვალიერეს სურებ-ჩოხატაურის შარა-გზა. ეს გზა სოფელ დაბლა ციხეს შუაგულში ჩაუვლის და სოფლელებმა გადასწყვიტეს ეშუამდგომლათ მათ წინაშე წყლის გამოყვანის შესახებ. ასედაც მოიქცნენ და იმედიც გაუმართლდათ. არ გასულა ორი კვირა შუამდგომლობის შემდეგ, რომ მაზრიდან მოავლინეს სპეციალისტები, დამგეგმავი და ხარჯთაღრიცხვაც შეადგინეს. ხალხი მოუთმენლად ელოდებოდა მუშაობის დაწყებას, მაგრამ ამის შემდეგ საკითხი როგორღაც მიყუჩდა.

საჭიროა დროულად იქნეს მიღებული ზომები ამ საკითხის მოსაგვარებლად.

ბ. ბესო.

—:—

ჭანის თემი, ქუთაისის მაზრა

დროზე უნდა გამოირკვეს

სოფელ ტყელვანში დიდი ხანია აღმოჩენილია აბანო „მერის აბანოს" სახელწოდებით, რომელსაც დიდ სამკურნალო მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ჯერ კიდევ უყურადღებოდ არის მიტოვებული. რამდენადაც დაკვირვებიდან ჩანს. ეს აბანო სასარგებლოა მალარიით დაავადმყოფებულებისათვის.

დასავლეთ საქართველოს სოფლის მცხოვრებთა დიდი ნაწილი შეპყრობილია მალარიით და ასეთ დროს ამ აბანოს უყურადღებოდ დატოვება და მისი სათანადოდ მოუწყობლობა დაუშვებელია. თუ დროზე არ მიექცა ყურადღება, შესაძლებელია ეს სამკურნალო წყალი სადმე კლდე-ღრეში დაიკარგოს. ამიტომ საჭიროა ქუთაისის მაზრის ჯანმრთელობის განყოფილებამ გამოიკვლიოს მისი ღირსება და თუ მართლა დადასტურდება ზემოხსენებული ფაქტი, მიიღოს ზომები მის შესაფერად მოსაწყობად.

იქაური.

—:—

ს. დიღომი, თბილისის მაზრა

გლეხკორებს სდევნის

სოფელ დიღომში, ადგილობრივ ქოხ-სამკითხველოსთან გამოდიოდა კედლის გაზეთი „დიღომელთა ხმა", შემდეგ მას გამოეცვალა სახელი და უწოდეს „სიმართლის მეგობარი". გაზეთი უნდა გამოსულიყო ყოველთვიურად, მაგრამ სამ თვეში ერთხელაც ვერ გამოდის. ამის მიზეზი კი გახლავთ გლეხკორების დევნა.

ვინ სდევნის გლეხკორებს დიღომში? თემაღმასკომის თავმჯდომარე მოქ. ლ. ხუჭუა, რომელიც იარაღით და დაპატიმრებით ემუქრება ყველა იმას, ვისზედაც ეჭვი აქვს, რომ ის რომელიმე გაზეთში სწერს.

ამის შემდეგ აბა რომელი გლეხკორი მიიღებს მონაწილეობას კედლის გაზეთის გამოცემაში?

დიღმელი.

წერილებიდან

ლეჩხუმი

შეაკეთეთ ხიდი

სოფელ ალპანასა და ზომიშ შუა მდ. რიონზე არის ზომიშის საურმე ხიდი, რომელიც ძლიერ დაზიანებულია. ამ ხიდზე მოსიარულენი დიდ საშიშროებას განიცდიან, ვინაიდან საკმარისია, ერთი ფიცრის ჩავარდნა, რომ ადამიანი თავის ხარითა და ურმით დაიღუპოს. ამიტომ არის, რომ გლეხობა ამ ხიდზე გავლის დროს ღმერთს ევედრება.

საჭიროა ცაგერის აღმასკომმა დროზე შეაკეთოს ხიდი.

გ. რევიშვილი.

ბანძის თემი, სენაკის მაზრა

აგურ-კრამიტის ქარხნის გახსნა

ბანძის თემის საკრედიტო ამხანაგობამ და თემის გლეხკომმა გახსნეს აგურ-კრამიტის ქარხანა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს მთელ თემის მოსახლეობისათვის, ვინაიდან ასეთის მოთხოვნილება დიდი იყო. დღემდის გლეხობას უხდება აგურ-კრამიტის შეძენა ძალიან ფასებში და შორი მანძილიდან.

საკრედიტო ამხანაგობის მუშაობა სხვა მხრივაც დამაკმაყოფილებელია. ის აწვდის გლეხობას სამეურნეო იარაღს, სესხს და სხვა საჭირო საგნებს.

არ. ხუხაშვილი.

სოფ. ბურდიანი, თბილისის მაზრა

საჭიროა კულტმუშაობა

თითქმის ყველა სოფლებში დღეს გაცხოველებული კულტურული მუშაობაა, მაგრამ სოფელი ბურდიანი ამ მხრივ ჩამორჩენილია. აქ არ არსებობს არც ქოხ-სამკითხველო, არც კოოპერატივი და სხვა. თვით მანავის თემაღმასკომიც ნაკლებ ყურადღებას აქცევს ამ სოფელს. გვყავს ერთი მასწავლებელი, მაგრამ გლეხობის გათვითცნობიერებისათვის ის არაფერს აკეთებს.

საჭიროა თემაღმასკომმა იზრუნოს სოფლის კულტურულად დაწინაურებისათვის.

ფურფულა.

ს. ზვარე, შორაპნის მაზრა

მისაბაძი მაგალითი

3 ოქტომბერს შესდგა სოფელ ზვარის მცხოვრებთა საერთო კრება, რომელზედაც სხვა საკითხებთან ერთად დღის წესრიგში იდგა საკითხი ამ სოფელში არსებულ საკულტო დღესასწაულის „გორიგობის" მოსპობის შესახებ. დარწმუნდნენ რა მის სიყალბეში სოფ. ზვარის გლეხებმა ერთხმად დაადგინეს არ იდღესასწაულონ რელიგიური უქმე „გორიგობა".

ა.კ. ჩიტაძე.

მანავის თემი, გარე - კახეთი

კულტმუშაობა გამოცოცხლდა

მთელს გარე-კახეთში, ყველაზე ჩამორჩენილად მანავის თემი ითვლებოდა. ამ ბოლო ხანებში მანავის თემში ყოველგვარ საქმიანობას დაეტყო გაუმჯობესება. აშენებენ სხვადასხვა კულტ. დაწესებულებებისათვის შენობებს, ზრუნავენ გლეხობის გათვითცნობიერებისათვის და სხვა. ა. წ. 1 ოქტომბრიდან თემის სხვადასხვა უბნებში გამოყოფილ იქნა წითელი მოედნები, სადაც ადგილობრივი მასწავლებლობა წაუკითხავს გლეხობას ყოველ კვირა-უქმე დღეებში ჟურნალ-გაზეთებს და სხვა.

წითელი მოედნები გლეხობის გათვითცნობიერების საქმეს დიდ ნაყოფს მოუტანს.

ბ-ლია.

სოფ. გრემისხევი, დუშეთის მაზრა

დროზე არ გვაწვდის

სოფელში გვაქვს ქოხ-სამკითხველო, რომელსაც გამოწერილი აქვს გაზეთი „კომუნისტი", მაგრამ მას მიღებას თავის დროზე ვერ ვღებულობთ. ფოსტალიონი ნიკო ნიშელაშვილი მოვალეა გაზეთები მოიტანოს კვირაში ორჯერ ორშაბათობით და ხუთშაბათობით, მაგრამ ამ მოვალეობას ის არ ასრულებს და მოაქვს მხოლოდ ერთხელ კვირაში.

საჭიროა დუშეთის ფოსტის გამგემ მისცეს გაფრთხილება მიშელაშვილს თავის მოვალეობის შესასრულებლად.

ნათლიმამა.

ლანჩხუთი, გურია

ქოხ-სამკითხველოა, თუ გასართობი?

ლანჩხუთის თემის, მიხაკარიეთის უბნის ქოხ-სამკითხველოში ზოგიერთი ახალგაზრდების უშნო საქციელით გაზეთების წაკითხვა შეუძლებელია. მოიყრიან თავს სამკითხველოში და გაზეთების კითხვის მაგიერ გამართავენ კერძო საუბარს. ამის გამო გლეხობა გაურბის სამკითხველოს.

საჭიროა სამკითხველოს გამგემ წესიერებისაკენ მოუწოდოს ასეთ თავხედებს.

წურბელა.

სოფლის ქრონიკა

— **შემოდგომის ნათესები.** თელავის მაზრაში ამჟამად სწარმოებს შემოდგომის ყანების თესვა.

— **ელსადგური.** ცხინვალის ჰიდრო-ელექტრონის სადგურში დაიდგა ახალი მანქანა 75 ცხენის ძალიანი.

— **პლენუმი.** გაიხსნა ქუთაისის აღმასკომის სამაზრო პლენუმი.

— **შეშა.** ქუთაისის აღმასკომის კომუნ. განყოფილებამ ბაღდადის სატყეოებში დაამზადა 300 კუბ. საჟენი შეშა ქუთაისის საჭიროებისათვის.

— **კოოპერაცია.** სოფ. დიღომის კოოპერატივმა გადასდო 330 მან. ულარიბეს გლეხების კოოპერატივის წევრებათ ჩასაწერათ.

— **კოოპერატიული ცოდნის** გასავრცელებლად ბორჯომში დაარსდა 3 კოოპერატიული წრე.

— **ოქტომბრის დღესასწაულებზე** აჭარისტანის მაზრების მოზრდილ თემებში გაიხსნება ახალი საექიმო პუნქტები.

— **საბავშო სახლი.** ოზურგეთის აბრეშუმის სახვევ ქარხანასთან ახლო ხანში გაიხსნება საბავშო სახლი.

ამხ. ჰანრი ბარბიუსი თბილისში

ამხ. ბარბიუსი „კომუნისტს"

ჩვენმა რედაქციამ მიიღო გუშინ ამხ. ბარბიუსისაგან შემდეგი მისალმება:



Je suis heureux d'adresser mes salutations
empressées au Communiste de Tiflis, et de
lui apporter aussi celles des prolétaires d'Occi-
dent et des communistes de France. J'assure
les collaborateurs et les lecteurs du journal des
sentiments d'amitié et de solidarité qui nous
unissent à eux, et nous les saluons en tant
que révolutionnaires et que Géorgiens.
Tiflis, 9 oct. 1927
Henri Barbusse

„მე ბედნიერად ვრაცხ თავს მხურვალედ მივესალმო თბილისის „კომუნისტს" და აგრეთვე გადავცე მას ევროპის პროლეტარიატის და საფრანგეთის კომუნისტების სალამი. მე ვარწმუნებ გაზეთის თანამშრომლებსა და მკითხველებს მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობებში, რომლებიც ჩვენ გვაერთებს მათთან და ჩვენ მივესალმებით მათ, როგორც ქართველ რევოლიუციონერებს".

ჰანრი ბარბიუსი.

თბილისი, 9 აგვისტო, 1927 წ.

ამხ. ბარბიუსი შ. ელიავასთან

კვირას, დღის 2 საათზე ამხ. ჰანრი ბარბიუსმა ინახულა ამ.-კავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპუბლიკის სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. შალვა ელიავა, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი, გუშინ კი საქართველოს შრომის სახალხო კომისარი ამხ. სილიბისტრო თოდრია და განათლების სახალხო კომისარი ამხ. დავით კანდელაკი. წვევის მიზანს შეადგენდა ამ უწყებების განკარგულებაში მყოფ ფაქტიურ მასალების, დოკუმენტების და სტატისტიკურ ცნობების მიხედვით ჩვენი ქვეყნის სამეურნეო აღორძინების, მუშათა კლასის საარსებო პირობების გაუმჯობესების და სახალხო განათლების საქმის მდგომარეობის გამორკვევა.

ხევსურეთის ყოფა-ცხოვრების გასაცნობად

ხვალ ამხ. ჰანრი ბარბიუსი ეპირება ფასანაურში და იქიდან ხევსურეთა სოფლებში გადასვლას, ხევსურების ყოფა-ცხოვრების გაცნობის მიზნით.

ქართული ეთნოგრაფიული საღამო ამხ. ჰანრი ბარბიუსის პატივსაცემად

კვირას რუსთაველის თეატრის საკონცერტო დარბაზში, ქართული დრამის ინიციატივით გაიმართა ეთნოგრაფიული საღამო ამხ. ჰანრი ბარბიუსის პატივსაცემად. თუმცა საღამო შიგა და შიგ სახელდახელო მომზადების კვალს ატარებდა, მაგრამ მასზე მაინც სრულიად იყო წარმოდგენილი ქართული სიმღერის მუსიკის თითქმის ყველა სახეები, უმეტესად ხალხური. განსაკუთრებით გამოირჩეოდა მეგრული მომღერალთა გუნდი გეგეჭკორის მეთაურობით.

საღამოში მონაწილეობდა აგრეთვე თუმც თავის უმნიშვნელო ნაწილით, ს. ჩავლეიშვილის გურული მომღერალთა გუნდი, დებ თარხნიშვილების ქართლურ კახური გუნდი, საზანდარი, თარა, აღმოსავლური სიმებიანი ორკესტრი. საღამოში მონაწილეობა მიიღეს ოპერის მსახიობებმა ვენაძემ და ქუმსიაშვილმა და რუსთაველის თეატრმა „ამერიკელ ძიის" ინტერმედიით „კინტო". დასასრულ გაიმართა ქართული და მთიური ცეკვა. ამხ. ჰანრი ბარბიუსი დიდად ნასიამოვნები დარჩა საღამოთი.

ამხ. ანრი ბარბიუსის შთაბეჭდილებები

10 ოქტომბერს, საღამოთი ამხ. ჰანრი ბარბიუსს ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარესთან ამხ. თოდრიასთან, საქართველოს სახელმწიფო გამომცემლობის გამგესთან, ადგილობრივი გაზეთების რედაქტორებთან და სხ.

ამხ. ბარბიუსი გაეცნო მიმდინარეობებს ქართულ ლიტერატურაში და კერძოდ პროლეტარულ ლიტერატურას, პრესის ზრდას ამიერკავკასიაში და სხ.

ჰანრი ბარბიუსმა გამოსთქვა სურვილი საუკეთესო პროლეტარული მწერლები გადათარგმნოს ფრანგულ ენაზე, და რომ ქართველმა მწერლებმა საფრანგეთის პროლეტარული ლიტერატურის ნაწარმოებნი გადათარგმნონ ქართულ ენაზე.

ამხ. ბარბიუსს ძალიან გაუკვირდა ქართული გაზეთების ტირაჟი. საბჭოთა პრესის შესახებ ხშირად ამბობენ, რომ იგი მოსაწყენია,—განაცხადა ამხ. ბარბიუსმა,— მაგრამ, როგორ შეიძლება მას ასეთი დიდი ტირაჟი ექნეს, რომ იგი ახლოს არ იდგეს ქართველი მუშებისა და გლეხების სულისკვეთებასთან".

ალ. ივ. სუმბათაშვილი—იუჟინის ხსოვნას

დამკრძალავი კომისია

მიღებულია ცნობა სახალხო არტისტის ალ. ივ. სუმბათაშვილი—იუჟინის მეუღლისაგან, რომ არტისტის ცხედარი გამოსვენებულია მარსელიდან 5 ოქტომბერს და ჩამოასვენებენ ბათომში 17 ან 18 ოქტომბერს. რუსთაველის თეატრში 10 ოქტომბერს შესდგა ალ. ივ. სუმბათაშვილის დამკრძალავი კომისიის კრება. კომისიაში შედიან: ალ. ახმეტელი, ნ. ვ. ალექსი—მესხიშვილი, პ. პესიმისტი, ვ. ვ. ფეოდოროვი, პაოლო იაშვილი, ლ. ჯაფარიძე, გ. ზ. იაკულოვი, სუტირინი, შესტოვი და პატარაია. კომისიამ დაადგინა:

1. გამოსცეს ალ. ივ. სუმბათაშვილის რჩეული ნაწარმოებნი ერთ ტომათ.
2. გამოიცეს მოგონებათა კრებული ალ. ივ. სუმბათაშვილი—იუჟინის შესახებ.
3. აღიძრას შუამდ., რათა რომელიმე ქუჩას თბილისში დაერქვას სახალხო არტისტის ალ. ივ. სუმბათაშვილი—იუჟინის სახელი.
4. დაარსდეს თეატრის მუზეუმში ალ. ივ. სუმბათაშვილის ხსოვნის კუთხე.
5. დაიკიდოს რუსთაველის თეატრში ალ. ივ. სუმბათაშვილის—იუჟინის პორტრეტი.

ცხედრის შესახვედრად

დღეს საღამოს თბილისიდან ბათომში მიემგზავრება მოსკოვის მცირე თეატრის და ალ. ივ. სუმბათაშვილი—იუჟინის დაკრძალვის კომიტეტის მოსკოვის წარმომადგენელი—ვ. ვ. ფეოდოროვი, რომელიც შეუთანხმებს მოსკოვის და თბილისის კომიტეტების მუშაობის ცერემონიალს, რომელიც შემუშავდება ქ. ბათომში.

ჩაის სამეფოში

(ჩაქვის სახალხო მამული)

რამდენი სიმდიდრე და შესაძლებლობა აქვს ჩვენს ქვეყანას, მადლიერი ჰავა, თბილი, რბილი, ზღვისა და მთის შეზავებული ჰაერი, მცენარეთა „სანატორიუმი"—ბათომის განაპირა მიდამოები რათ ღირს მარტო. რას არ ნახავს აქ კაცის თვალი, ათიოდე ფეხის ნაბიჯზე იზრდება ადამიანის თვალწინ პალმა, ბანანები, მაგნოლია, ფიჭვი, ვარდი, ჩაი, მანდარინი, ლიმონისა და ფორთოხლის ხეები, ხურმის ხე, რომელი ქვეყნის წარმომადგენელს არ ნახავ აქ. ბათომის ბოტანიკური ბაღი ხომ თამამად შეიძლება „მცენარეთა ლიგათ" იქნეს აღიარებული, იმ განსხვავებით, რომ აქ არ არიან, მსგავსად „ერთა ლიგისა", იმპერიალისტები, არ არიან მცირე მცენარეთა დამჩაგვრელები და რა თქმა უნდა, მუდმივ ქიშპობას და სკანდალებსაც არ აქვს ადგილი. როგორც ეს არის ჟენევაში.

სხვადასხვა ქვეყნის მცენარეთა წარმომადგენლებს მშვიდად მოუყრიათ აქ თავი, ზოგი მთის წვერზე მოთავსებულა, ზოგი ფერდზე ზოგსაც დაბლობი აურჩევია და ცხოვრობენ, ტკბილ ჩურჩულში და ნაზ სიოსთან არშიყობაში ატარებენ დროებას. თვალს სჭრის და მხიბლავს ბოტანიკური ბაღის სანახაობა, მაგრამ არა ნაკლებ საინტერესო და საყურადღებოა ჩაქვის სახელმწიფო მამული.

კარგა ხანია მინდა ამ მამულის ნახვა. ყოფილვარ ბავშვობისას, მახსოვს, რომ ჩაქვის წყალზე სადღაც დაკიდული ხიდია, სადღაც ბამბუკის ტყეა არის და თვალის ეკრანზე დარჩენილა კიდევ ჩაის უზარმაზარ პლანტაციების სიურეე. მახსოვს ეს, მაგრამ დეტალები წელთა ტრიალმა წაშალა და გარდა ამისა, ეს მამული წინეთ „საუფლისწულო", ეხლა სახალხოა, მაშასადამე აქაც უნდა მომხდარიყო რაღაც ცვლილება. საბჭოთა ხელისუფლების დამყარება ჩაის ნერგებზეც იქონიებდა ალბად გავლენას, ან მისი დამუშავების საქმეზე. ისიც მახსოვს, რომ წინეთ, ბავშვობისას, მამულში აურაცხელი ხალხი მუშაობდა სეზონზე (ე. ი. ჩაის ფოთლის აკრეფის დროს). ბინები არ იყო, ზოგიერთებს ბარაკებში ეძინათ, სხვები კი ეზოში იყვნენ, კოღოების კერძათ, მეოთხე მეხუთე დღის მალარიის ბაცილებით გაყვითლილი კვნესოდენ, ბურთივით იკუმშებოდენ მიწაზე და ცახცახობდენ. ბარაკებში კი, ასე მახსოვს, საშინელი ხენეშტის სუნი იდგა, რამოდენიმე სართულად მოწყობილ თაროებზე ერთი-მეორეს აწვა ხალხი და იხრჩობოდა გამშაგებით. სისუფთავე სანთლით უნდა გეძია დღისით. ნაგავში იღრჩობოდა ხალხი და სიბინძურეში ხვრინავდა.

მას შემდეგ ბევრი დრო გავიდა. ოქტომბრის 10 წლის თავს უახლოვდებით. ამ ხნის განმავლობაში რამეში ცვლილება აქაც ხომ უნდა მომხდარიყო. მუშების და გლეხების ხელისუფლებას აქაც უნდა ემცნო თავის არსებობის ამბავი თუ არა?

ამიტომ არის, რომ ორი სამი დღის განუწყვეტელი მგზავრობისაგან დაღლილი, მე და ჩემი ამხანაგები მაინც მივემგზავრებით ჩაქვისაკენ, სახალხო მამულის სანახავად.

სადგურიდან კილომეტრის მანძილზე არც კია დაცილებული მამულის სამმართველო. ორსართულიანი, დიდი ქვის შენობაშია მოთავსებული კანტორა, ზღვის პირას. ფრთხილად ვაღებთ გამგის კაბინეტის კარს (ვინ იცის, რა კაცია, იქნებ ცუდ გუნებაზეა). ფრთხილადვე ვკითხულობთ შესვლის ნებართვას და როცა პასუხს არავინ გვაძლევს (შიგნით ხმაურია) ვაღებთ და შევდივართ.

— ვაჰ, გამარჯობათ! საიდან ხართ თბილისლებო!

— აჰ, მიშას გაუმარჯოს, მიშას გაუმარჯოს! ერთხმად შევძახეთ, ცოტაოდენი გაკვირვებით. —ჩვენ მამულის სანახავად მოვედით, გამგე გვინდა.

შო-ო, გამგე გინდათ? კარგი. ცოტა ხანი დაიცადეთ ამ ხალხთან მოვათავებ საქმეს და ეხლავე.

ჩამოვჯექით შორიახლო. მიშა ხალხს მოუბრუნდა, ზოგს განკარგულებას აძლევს, ზოგს ქაღალდებზე უწერს ხელს, ზოგს რას ეუბნება და ზოგს კიდევ რას.

— ჩქარა მორჩები?

— ჰა, მოვრჩი, მობრძანდით.

— გამგე არ არის?

— თქვენ კაცო გამგის დათვალიერება გინდათ თუ მამულის!

— ისიც და ისიც გვაინტერესებს.

— მაშ დამათვალიერეთ.

— ვაჰ, შენ ხარ გამგე?

— თითქმის ერთი წელია.

— მერე.

— მერე და ვმუშაობთ. საქმეს ვაკეთებთ. დაათვალიერეთ და ნახეთ.

გავეცანით, მამულის გამგე, ამხ. **მიშა ზირაქაშვილი**, ძველი მუშაკია, ენერგიული, საქმე საიმედო კაცის ხელში ყოფილა. ჩვენ მას ჯერ კიდევ თბილისიდან ვიცნობთ. ძველი ნაცნობის ნახვაც გვესიამოვნა და ისიც, რომ ის ასეთ დიდი საქმის სათავეში. ეხლა კიდევ უფრო მეტად დამაინტერესა საქმემ. როგორ უძღვება ის ამოდენა მამულს, ის ხომ „სპეცი" არ არის, ის ხომ უბრალო მუშა კაცია, მართალია ძველი მუშაკი, მაგრამ ჩაის ნერგმა როდი იცის ძველი ხარ თუ ახალი, ვინც კარგად უვლის მას ის ურჩევნია.

ბევრს აღარ ვაყოვნებთ გამგესთან საუბრით. საუბარს ყოველთვის მოვასწრებთ. მამულის ტექნიკოსთან ამხ. **მიშა ხულუხიასთან** (სახელი მიშა ძალიან ხარობს, როგორც ჩანს, ჩაქვის მამულში) ერთად ვჯდებით ეტლში. ფანჯრიდან მეორე მიშა (ზირაქაშვილი) გამოდგება და გვეკითხება:

— ბევრი გყავთ ასეთი ცხენები თბილისში?

— სახელმწიფო საჯინიბოში ცოტაა?

— ის ხომ დოღის ცხენებია, არა მუშა ცხენები, აი, ასეთი, (ეტლში შებმულ ცხენებზე მოგვითითა) გყავს?

ცხენები კი მართლაც თითქო საჩვენებელი იყო შებმული ეტლში. მსუქანი, ღონიერი და თვინიერი. მოვლილი ისე, რომ თმას პრიალი გაჰქვს, ჩანს კარგი მზრუნველი ჰყავთ ამ ცხენებს და რომ ეს ასე ყოფილა იმავე წუთში დამტკიცდა. ჩვენ ხუთნი ვართ. ეტლი კი მხოლოდ ოთხს იტევს მეეტლე, ყაზანის თათარი, ოთხს მეტს არ იჯენს ეტლში. ერთ-ერთი უნდა დავრჩეთ, მაგრამ ვინ? მიშა სულუხია დარჩეს? ვინღა გვიჩვენებს, ჩვენი დარჩენა როგორ იქნება.—ვინღა ნახავს? ხუთივე უნდა წავიდეთ, მაგრამ რომ არ გვიშვებს მეეტლე?

გამგესაც არ უჯერის, ერთხანს („არ შეიძლება, თქვენი ბრძანება მაქვს ოთხის მეტი არ ჩავაჯინო, ცოდვაა ცხენები, ეტლი გაფუჭდება".) როგორც იქნა გამგე—მიშას თხოვნას ასრულებს დაბოლოს ჯიუტი (საქმის ერთგულებით) მეეტლე და მეორე მიშა—ტექნიკოსი კოზლაზე წამოსკუპდა.

დაიძრა ეტლი ნელა ფრთხილად თითქოს ძლიერ დაზიანებულ გზაზე ვიყოთ. მშვენიერ გზატკეცილზე მივსრიალებთ, მაგრამ სისწრაფე გაზომილია და მეეტლე მაინცდამაინც არ აწუხებს ცხენებს. მიშა—ტექნიკოსი უკვე ლაპარაკობს. საბინაო მშენებლობაა მისი ლაპარაკის საყვარელი საგანი. ასე იყო, ეხლა ასე გვაქვს, ამდენი ავაგეთ, ამდენი შევაკეთეთ, ამდენი დავხარჯეთ, ამდენი დავზოგეთ, გვეუბნება და თან ახალ კოპწია სახლებზე გვიჩვენებს, რომლებიც მწვანეულობაში ხან იქ ამოშვერენ ხოლმე თავს და ხან აქ: პირველ ყოვლისა ჰიდრო-სადგური უსათვალიერებლად შევყავართ. მოდაა ეხლა ჰიდრო სადგურების, თუ კი სადმე წყალია, უთუოდ ჰიდრო_სადგურიც უნდა აშენდეს. გამახსენდა ერთი მეგობრის ოხუნჯობა. ერთხელ მეუბნება.—

— კაცო, ცხვირსახოცების ყიდვას ვერ აუდიდი ამ სიცხეში.

— სურდო გჭირს?

— არა, ოფლში, ვცურავ, უნდა ვიწმინდო, თორემ ზურგის ღარზე რომ ოფლის პატარა მდინარე გამოჩნდეს, მაშინვე ჰიდრო სადგურს მოგვაშენებენ.

ჩაქვი გამონაკლისს შეადგენს ამმხრივ. მართალია, იქ არის ჰიდრო-სადგური, მაგრამ ის ჯერ კიდევ ძველად არის აშენებული. უკანასკნელ წლების განმავლობაში ეს სადგური არ მუშაობდა თურმე. ჯებირი იყო დაზიანებული და შეკეთებისათვის არავის ეცალა. რამოდენიმე თვის წინ მოუკიდიათ ხელი ამ საქმისათვის, და ეხლა, როცა ჩვენ მოვედით, მუშაობა უკვე დასრულებული არის. ცემენტის ჯებირი გადასწოლია ჩაქვის წყალს შუაზე, შეუტბორებია, მოზრდილი აუზი გაუკეთებია და წყალს გათხრილ არხისაკენ მიერეკება ახალგაზრდა ინჟენერი გვიხსნის მუშაობის მსვლელობას, მაგრამ მახუნცეთის შემდეგ, მას შემდეგ რაც, „გაღრღნილი" მთა ვნახეთ, აქ არაფერია ისეთი, რაც ადამიანს გააკვირვებს. ელსადგური პატარაა, ამიტომ „ტურბინებიც" პრიმიტიულია: დიდი მაღალი ყუთი შიგ უბრალო, წისქვილის მსგავსი ბორბლები—აი ამ სადგურის ტურბინა. ყუთში დაგროვილი წყალი ტრიალებს, აბრუნებს ბორბალს ბორბალს კიდევ ელექტრონის მანქანები მოჰყავს მოძრაობაში და მუშავდება ენერგია. გარედან, როგორც ვთქვით, ტურბინა წისქვილის ღარებს წააგავს სამაგიეროდ შიგნით სადგური ნამდვილი ელსადგურია—პრიალა მანქანების ლედჯებით, საზომი ხელსაწყოებით, ისრებითა და ციფერბლატებით. ეს პრიალა მანქანები აცოცხლებენ და ამუშავებენ მამულის ქარხნებს, ანათებენ მამულის ტერიტორიას და ბინებს.

— გყოფნით ენერგია?

— ეხლა მუდმივად, მხოლოდ ერთი ტურბინა მუშაობს და გვყოფნის. როცა მეტი ენერგია გვჭირდება, მეორე ტურბინას ვამუშავებთ.

— გაფართოებას არ ფიქრობთ?

— თუ დაგვჭირდა, რატომ არა. ჯერ-ჯერობით კი არ გვჭირდება მეტი ენერგია. ჩაის ქარხანას თავზე აქვს მოხვეული სპილენძის ძარღვი, რომელიც ელსადგურისკენ მიემართება. ამ ძარღვით მოსდის მრავალ რთულ მანქანებს მაცოცხლებელი ელექტრო-ჩქერი. ეს ძარღვი ატრიალებს მათ და ახმაურებს ქარხანას ჩვეულებრივი ხმაურით. ჩვენ რომ ქარხანაში შეგვიძღვა ამხ. მიშა, იქიდან ექსკურსანტების მთელი ჯგუფი გამოდიოდა. წითელ თავსაფრიანი მუშა ქალი მკვირცხლად უხსნიდა ექსკურსანტებს დათვალიერებულ ქარხნის მნიშვნელობას (მანქანებზე ალბად ქარხანაში მორჩა ლაპარაკს). ექსკურსიაში ს. ტრეტიაკოვი ერია, თავის სათვალეებით და ფანქრით ხელში რაღაცას აჩქარებულად სწერდა.

ჩინეთის ჩაიზე სწერს ალბად ახალ წერილს, გაიხუმრა ვიღაცამ.

— ამ დღეებში გამოაქვეყნებს.

— ჩაი ხომ ჩინეთიდან მოდის!

—შე კაი კაცო, ტრეტიაკოვიც ჩინეთიდან მოდის შეხვდენ ძველი ნაცნობები და უხარია ეხლა ორივეს: დამჭკნარ ჩაის ფოთლებს და ტრეტიაკოვს, ერთ წერილს უთუოდ უძღვნის დამჭკნარ ჩაის.

ქარხანა ეხლახან არის გადაკეთებული. ჯერ კიდევ არ არის დასრულებული მისი ხელახლა მოწყობის საქმე. ზოგიერთი მანქანები და მოწყობილობა ეხლა კეთდება. ტექნიკოსი მიშა კმაყოფილი გვითითებს მის მიერ ახლად დამთავრებულ შენობაზე, რომელიც ქარხნისათვის მოუდგამთ გაფართოების მიზნით, ამხ. მიშა შენობების სპეცია (კარგი სპეცია, როგორც შემდეგ დავრწმუნდით). ქარხნის მოწყობაზე და ახალი მანქანების დადგმაზე აქ გერმანელი ინჟინერი **ზაილე** მუშაობს. როგორც ადმინისტრაცია, ისე მუშები ფრიად კმაყოფილი არიან ამ ადამიანებით. ის ჩინებულად ლაპარაკობს რუსულად. ამას წინად ახალი ჩაის საშრობი ქარხნის აგება დაუმთავრებია მახლობელ სოფელში ბობოყვეთში და მიგვიწვია სანახავად, მაგრამ ინჟინერის თავაზიანობით ამ ხნობით ვეღარ ვისარგებლეთ.

ჩვენი მიშა, თუმცა, როგორც ვთქვით, აღმშენებლობის სპეცია, მაგრამ ჩაის საქმეც გაუგვნია და გვიყვება მთელ პროცედურას თავიდან ბოლომდე:

— ჩაის ბუჩქზე ყველა ფოთლის მოწყვეტა როდი შეიძლება, მხოლოდ ნორჩი სამი ფოთოლი უნდა მოიწყვიტოს, ეს ფოთლები შემდეგ ღრება. დამღრალ ფოთლებს მექანიკურ საშრობში აშრობენ, შემდეგ დასახარისხებელ მანქანებში ატარებენ და ყუთებში ალაგებენ.

ლაპარაკში ნახევრად ბნელ ოთახში შევყავით თავი, ეს საჭკნობი განყოფილებაა. ოთახში, ისევე როგორც, მთელ ფაბრიკაში ჩაის სუნი სდგას. თაროებზე, რომლებითაც მთელი ოთახია გავსილი, მოკრეფილი ჩაი ყრია დასაჭკნობად. ერთი ნაწილი უკვე დამჭკნარა. მეორე ჭკნობის პროცესშია ჯერ კიდევ. ახალ-ახალ პარტია შემოდის და სამაგიეროდ დამჭკნარ ჩაი გააქვთ. თაროები ისე ჯარათაა მოწყობილი ამ ოთახში, რომ ფანჯრიდან შემოსული სინათლე ძლივს ერევა.

საჭკნობ განყოფილებიდან საშრობამდე ჩაის ფოთოლი კიდევ გადის ერთ განყოფილებას, სადაც ყველაზე უფრო ძლიერათ აღიზიანებს ჩაის სუნი ცხვირის ნესტოებს. ამ განყოფილებაში ექვსი დიდი მანქანა მუშაობს განუწყვეტლივ, ბრუნავს წისქვილის ქვასავით და ხრიალებს საგანგებოთ დაწყობილ ლითონის ზედაპირზე. ეს საგრეხი მანქანებია. მომღრალ ჩაის ეს მანქანები გრეხენ იმ რიგათ, როგორც შემდეგ ბაზარზე გვხვდება ხოლმე ჩვეულებრივად. აქ იკუმშება საბრალო ფოთოლი, იგრიხება, იმანჭება და წელში მოხრეკილი, სახე დაპრანჭული სცილდება „ჯალათ" მანქანას. ეხლა უკვე ჩაის ფოთოლი თითქმის მზადაა, საჭიროა მხოლოდ გამოშრობა, ე. ი. ფერის მიცემა: საამისოდ ისევ სპეციალურ განყოფილებაში ვეებერთელა საშრობი ღუმელია მოწყობილი, დაგრეხილ ფოთლებს ამ ღუმელებში ათავსებენ, ცხელი ჰაერით მოქმედებენ რამოდენიმე საათის განმავლობაში და როცა ფოთოლი გარეთ გამოდის, ის უკვე აღარაფრით ჰგავს თავის „მამას", რომელსაც ჯერ კიდევ არ გაუვლია მისებრ წვალების გზა.

—ჩაი მზადაა უკვე. შეიძლება მისი გამოყენება, მაგრამ აქ როდი თავდება ფოთლის წვალება, ეხლა ისევ ახალ მანქანებს უვარდება ის დაღებულ სახეში. მათი საშუალებით ხდება მზელი ჩაის დახარისხება. მანქანა არჩევს, ზომის მიხედვით ერთნაირებს ერთად უყრის თავს, სცრის და აჯგუფებს. განყოფილებაში სუნის გარდა, ჩაის მტვერი სდგას. მართალია მოწყობილია ვენტილიატორები, რომლებიც გააქვთ ჩაის მტვერი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჰაერი მაინც საკმაოდ არის დატვირთული ფხვიერი ჩაის ნამცეცებით. ათიოდ წუთი არც კი ვიყავით აქ და მტვერი უკვე საკმაოდ აგვეკრა ყველას. ამ სიძნელის გამოა, რომ დამხარისხებელ განყოფილებაში მუშები სხვებთან შედარებით ნაკლებ დროს მუშაობენ.

აქედან ჩაი გამზადებული, დახარისხებული, ყუთებთან მოაქვთ და ისევ მანქანით მყრიან ყუთებში, ორიგინალურია დატკეპნის წესი. მსუბუქი ჩაი ბევრ ადგილს იჭერს, თუ არ დაიტკეპნა ყუთში არ ივარგებს; ტლანქად დატკეპნაც რა შეიძლება, რადგან ხმელია და დამტვრევა, მტვრად იქცევა. მიუხედავად ამისა, ყუთი მაინც იტკეპნება და აი როგორ: ხის ყუთი საგანგებოდ მოწყობილ მანქანაზე იდგმება. ეს მანქანა თვითონც ცახცახებს და ყუთსაც აცახცახებს განუწყვეტლივ. ჩამოაგებელი ნელ ნელა მყრის ჩაის ყუთში და რადგან ყუთი მუდმივ ცახცახებს ჩაიც თავისთავად იტკეპნება, ასე ავსებენ 18 კილოიან ყუთებს, სჭედენ, აკრავენ იარლიკს, „საქართველოს ჩაი" და გზავნიან შორი გზით, შორეულ ქალაქებში. საქართველოს გარდა ჩვენი ჩაი უმთავრესად მოსკოვში მიდის, „ცენტროსოიუზის" განკარგულებაში.

— ჩვენი ჩაი კარგი ხარისხისა და გემოსია, გვეუბნება ინჟენერი **ზაილე**,—მაგრამ ხალხი ჯერ არ არის შეჩვეული.

„ცენტროსოიუზი" ეხლა ნელ-ნელა არჩევს ხალხს ჩვენი ჩაის გემოს, გემო კი განსაკუთრებული აქვს მას: სასიამოვნო, მაგრამ მასისათვის უცხო, თანდათან ურევს ეს ორგანიზაცია ჩვენს ჩაის სხვაში, თანდათან აჩვევს ხალხს ჩაქვის გემოს და ჩქარა ალბად წმინდა ქართულ ჩაის გამოუშვებს იგი ბაზარზე. ჩაის ქარხანა, რომ დავათვალიერეთ ეზოში ერთხელ კიდევ მოვკარით თვალი ტრეტიაკოვს, მისი ბლოკნოტით. ის და ექსკურსანტების მისი ჯგუფი უკვე სტოვებდნენ მამულს.

— ეხლა „ბარაკები" ვნახოთ, ჩაგვილაპარაკა მიშამ.

— რომელი ბარაკები, ბარაკებს რომ არსად ვხედავთ.

—ძველი ჩვეულებით ვამბობთ, მუშათა ბინებს ისევ ბარაკებს ვეძახით, თუმცა თქვენ მართალი ხართ, ბარაკებთან აბა რა აქვთ საერთო ამ კოხტა თითო და ორსართულიან სახლებს აგერ თითონ ნახეთ შიგნით როგორ არის მოწყობილი. ჩვენ წელს ორი ტიპის სახლებს ვაშენებთ. ოჯახიანების და ერთეულებისათვის. ოჯახიანებს უმთავრესად მუდმივ მოსამსახურეებს ცალკე ბინებს ვაძლევთ, სამზარეულოთი და სხვა საჭირო მოწყობილობით, ერთეულები კი საერთო ბინებში ცხოვრობენ. დროებითი მუშების დიდი ნაწილიც უკვე მოთავსებული არიან ახლად აგებულ სახლებში, ყოველ შემთხვევაში ძველ „ყაზარმებში" ეხლა თითქმის აღარავინ სცხოვრობს. აი ხედავთ? აგერ ბარაკი რომ არის (ის მართლაც ბარაკთ აღმოჩნდა: დროებით აგებული) ის რაღაც 7—8 დღეში ავაშენეთ, რადგან მუშები ღია ცის ქვეშ იყვნენ. ბინები აღარ გვეყო იმდენი ხალხი მოგვაწყდა, რა თქმა უნდა მომავალ წლიდან ასეთ ბარაკებს აქ ვეღარ ნახავთ.

— აი მივედი კიდეც— ამ სიტყვებით მიშამ სახლის კარები გაღო და მშვენიერ, ნათელ მაღალ და განიერ დარბაზში შეგვიყვანა. დარბაზში შორი-ახლოს რკინის საწოლები იდგა,—მტკიცედ განსაზღვრული მანძილზე დაცილებული ერთი-მეორისაგან.—შრომის კომისარიატის ნორმები სავსებით დაცულია. თვითეულ კაცზე ბინის განსაზღვრული მოედანი მოდის, ჰაერი და მზე საკმარისია, რკინის საწოლებით ყველა უზრუნველყოფილია ასეთ სახლებში, ვაძლევთ აგრეთვე ლეიბებსაც.

კოხტა, მშვენიერი სახლი, ნათელი და დიდი დარბაზები, რკინის საწოლები და მატრაცები, აი რით შეიცვალა მუშებისა და გლეხების ბატონობის დროს ის ბინძური ბუნაგი, რომელსაც „ნაჩლეუკები", ეწოდებოდა. წინეთ, და რომელიც მუშებისათვის იყო დანიშნული.

— ეს სახლები თქვენ ხელახლა ააგეთ?

— ზოგიერთი, ბევრი კი ძველი ყაზარმებიდან გადავაკეთეთ .უნდა გენახათ რა იყო აქ წინეთ აი ამ შენობაში მაგალითად (პირდაპირ მიგვითითა) იმოდენა ბაღლინჯოები და ნაგავი იყო, რომ ჟრუანტელი დაგივლიდათ ტანში. გამოვყარეთ ყველაფერი, შევაკეთეთ, გავაფართოვეთ და ეხლა გესიამოვნებათ რომ ნახოთ;

მართლაც გვესიამოვნა, როცა ვნახეთ ეს ბინები, მაგრამ სისუფთავე ყველგან როდია დაცული ერთნაირად. შენობებს ჰყავთ დარაჯები, მაგრამ ისინი ვერ უვლიან მათ, სათანადო სისუფთავეს ვერ იცავენ. როცა ასეთ სრა-დარბაზში სისუფთავეს ვერ დაიცავს ადამიანი—უთუოდ გული გეტკინება, შთაბეჭდილება იკარგება.

— რატომ არ ასუფთავებთ,—შევეკითხე ერთ-ერთ დარაჯს.

დილით ვწმენდთ, მერე „ხოზდვორში" მივდივარ, მერ აქეთ, მერე იქეთ, მერე ეს, მერე ის და ერთი სიტყვით ლობე-ყორეს მოედვა.—ისიც კი სთქვა: ჩემი საქმე არ არის სისუფთავის დაცვა.

მართალია, სისუფთავეზე თვით მუშებმა უნდა იზრუნონ, ამ მხრივ ადგილკომმა და კულტკომისიამ სათანადო მუშაობა უნდა ჩაატაროს, მაგრამ იმ შენობებში, სადაც დროებითი მუშები არიან, ე. ი. ისეთი ხალხი, რომელიც დღეს არის და ხვალ აღარ იქნება იქ, უთუოდ დარაჯებს უნდა დაევალოთ სათანადო სისუფთავის დაცვა.

ქალები ცალკე შენობებში არიან მოთავსებული. მათ ბინაზე შესვლა გვამება კაცს. სისუფთავე და სიკოხტავეა დარბაზში და ყველაფერი ეს (ნათელ და სრულ დარბაზთან ერთად) მშვენიერ შთაბეჭდილებას სტოვებს. (როგორც ჩანს ქალთა საცხოვრებელი სახლი მამაკაც მუშებს განსაკუთრებულ „ყურადღებით" სარგებლობს. კინკლაობას ამ ნიადაგზე კედლის გაზეთშიც უჩენია თავი. „ჩაის მწარმოებელი"-ს მე-8 (26) ნომერი, მაგალითად თითქმის მთლიანად უჭირავს ამ ნიადაგზე წარმოშობილ კონფლიქტს).

ამხ. მიშა ქვევით გვპატიჟობს. უნდა გვაჩვენოს მთელი თავისი ნამუშევარი, მთელი აღმშენებლობა საბინაო დარგში. ეხლა იმ ბარაკში მოგვიყვანა, რომელიც აქ 8 დღის განმავლობაში იქნა აშენებული.

ბარაკი სუფთაა, ნათელია, სრულია, მაგრამ როგორც აქ მუშებმა შეგვჩივლეს, ნესტიანია (მიწის იატაკი). მართალია, დროებითი შენობაა, შეიძლება იატაკის აგება ისე სწრაფად არ შეიძლებოდა და არც ღირდა, მაგრამ ზოგზე მაინც უნდა დაეწყოთ უბრალო ფიცრები, რომ მუშებს შიშველი ფეხით არ ევლოთ ნესტიან მიწაზე.

— შედარებისათვის ერთი ძველი ყაზარმა დაგვრჩა მთის თავზე და გიჩვენებთ, გვითხრა მიშამ და ჩვენც აღმართ - აღმართ გავემართეთ.

რაც უფრო მაღლა ავდიოდით, მით უფრო ფართედ იშლებოდა ჩვენს წინ მთელი მამულის პანორამა. ჩაი, ჩაი, ჩაი, ირგვლივ ჩაის ბუჩქებით ამწვანებული და ზოლებით გადასერილი მიდამოები გადაიშალა ჩვენს თვალწინ. მოშორებით ტყე დაბურულა, შუაში ჩაქვის წყალი მოიკლაკნება. აქა-იქ მუშების ბინები და სხვა შენობები აღმართულან, ეგერ ჩაის ქარხანა ჩუხჩუხებს და იკვამლება. ბუჩქებში, მუშები გაბნეულან, ზოგი თოხით (ჩაის ბუჩქებს ხწმენდენ) ზოგი კალათით, (ჩაის აგროვებენ) უვლიან გარშემო ბუჩქებს, უტრიალებენ და მუშაობენ თავწაღუნული ენერგიულად. აქ ნარდი მუშაობაა შემოღებული, რაც მეტს იმუშავებ, მეტს გააკეთებ. საშუალოდ კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით, მუშა აქ (მე-6 ხარისხით) 1 მ. 37-ნახევ. კაპ. იღებს, ნარდათ მუშაობის დროს ის მეტს აკეთებს, საშუალოდ დღიურად. აქ 450 კაცი მუშაობს. არის დღეები (სეზონი), როცა 1500 კაცია ხოლმე. დღეს მაგალითად, კანტორის ცნობით პლანტაციებზე 1250 მუშაა გამოწვეული. მუდმივი მუშები (136 კაცი) დაზღვევის ყველა სახით სარგებლობს. დროებით მუშებს კი საექიმო დახმარება და ინვალიდობის შემთხვევებში პენსია აქვთ უზრუნველყოფილი.

— ხელფასს დროზე იღებთ? შევეკითხე ერთ-ერთ მუშას.

— არ გვიგვიანებენ, დროზე გვაძლევენ, კოოპერატივში კრედიტიც გვაქვს გახსნილი. ამ მხრივ არა გვიშავს რა.

აღმართ - აღმართ მიგორავს ჩვენი ეტლი. ყაზანის თათარი, ჩვენი მეეტლე, ნელა მიაზონებს ცხენებს („სულ ერთია, არსად გეჩქარებათ"). ბამბუკის ტყე აიტუზა უკვე გზის ორივე მხარეს ტან აშოლტილი, ზოგი ყვითელი, ზოგი მწვანე კანიანი ტანადი და მაღალი, მოყვანილი ჭაბუკებივით აგვედევნენ გვერდით. მშვენიერია ეს ბამბუკის ტყე, თვითეულ ხეს რატომღაც წითელი ციფრი აზის სხეულზე: ზოგს 5, ზოგს 7, ზოგს 6. ნუთუ აღრიცხვაზეა აყვანილი თვითეული ხე. ასეთ ზუსტი სტატისტიკა. რაღაც სხვა იყოს. ასეც აღმოჩნდა. როგორც აგვიხსნა შემდეგ მამულის გამგის მოადგილემ აფხაზავა, ბამბუკის ხე თურმე 7 კვირის განმავლობაში იზრდება. შემდეგ სამი წელი უნდა მას დამწიფება. ციფრებიც იმის მაჩვენებელია, თუ რომელ წელს არის დარგული ის. სამი წლის შემდეგ მას მოსჭრიან და ახალს დარგავენ.

ბამბუკის ტყე თითქმის მთის წვერამდე გვაცილებს, აქ ორი სახლი ატუზულა (ქვის სახლები). ერთ-ერთ მათგანის კარებს აღებს ამხ. მიშა და ჩვენ წინ ძველი ყაზარმა გადაიშალა. ორსართულიანი თაროები, ბნელი დარბაზი, დახშული ჰაერი, აი იმ ყაზარმის სურათი, რომელიც გამონაკლისად „იმლად" დარჩენილა ძველი ყაზარმებიდან. შიგ მაინც სისუფთავეა დაცული.

— გაისად უკვე ამ სახლსაც გადავაკეთებთ, ეს ერთიღა დაგვრჩა, გვითხრა აღმშენებელმა.

დათვალიერებას მოვრჩით. კანტორისაკენ დავეშვით. აქ ამხ. აფხაზმა ცოტაოდენი ცნობები მოგვაწოდა: მამულს 540 დესეტინა პლანტაცია აქვს. ჩაის გარდა 22 დესეტინა მანდარინაც, ხოლო 28 დეს. ბამბუკი. ბამბუკიდან წლიურათ ავეჯს აკეთებდა მამული. ეხლა ფიზკულტურის ხელსაწყოებს აკეთებს და მოთხოვნილებას ვერ აუდის. ახლო ხანში მთელი მამულის ჩაის პლანტაცია სათესლეთ იქნება გადაქცეული. რადგან თესლის დიდი ნაკლებობაა, („ჩივაძლევეთ") სათესლეთ კიდევ გაშენდება 300 დესეტინა.

მამული ერთგვარ საინტერესო ცენტრად გადაიქცევა ახლო ხანში. აქედან გლეხებს უკვე ეხლაც აძლევენ თანხებს, თესლს, ინსტრუქტორებს და ეხმარებიან ჩაის გაშენებაში. რაიონებში იხსნება ჩაის ქარხნები. ნედლ ფოთოლს გლეხებისაგან შეიძენენ ეს ქარხნები და დაამუშავებენ — ასეთია გეგმა და ამ მიმართულებით უკვე დაწყებულია მუშაობა. ახალი ქარხანა, რომელიც ინჟენერ ზაილეს აუგია, ამ გეგმის განხორციელების დასაწყისია.

მომავალი წლისათვის დაძლეულ იქნება საბინაო კრიზისიც. მუშების მთელი რაოდენობა უზრუნველყოფილი იქნება ახალი შენობებით, ამ მიზნით 400.000 მანეთია გადადებული, აგებულ იქნება კლუბი, ინსტრუქტორების მოსამზადებელი სკოლა და სხვა. ერთი სიტყვით დიდი საქმეა დაწყებული, დიდი საქმეა უკვე გაკეთებული. უფრო კარგათ იქნება მამული 29 წელს, როცა ეხლანდელი ქარხანა ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოეწყობა და კიდევ ერთი ახალი ქარხანა აშენდება. საჭირო თანხები უკვე გადადებულია. სხვამ თუ არაფერმა შეუშალა ხელი, ჩაქვი და ქვემო გურია საკავშირო ჩაის ქარხანად გადაიქცევა ახლო მომავალში.

მადლობას უხდით მამულის ხელმძღვანელებს. წამოსვლისას წინადადება შეგვაქვს:

ძველი ყაზარმა, რომელიც მთაზეა მოთავსებული დატოვებული იქნეს ისე, როგორც არის. დე, ყველამ ვინც ახალს ნახავს, მან ძველიც ნახოს და შეადაროს, რა იყო წინეთ და რა არის ეხლა — საბჭოთა ხელისუფლების, მუშებისა და გლეხების ბატონობის დროს.

ორივე მიშა შეგვპირდა წინადადების მიღებას. ორივე მიშას ვემშვიდობებით და სადგურისაკენ ვიჩქარით, — რადგან მატარებელმა დალოდება არ იცის.

ვლ. ბ—ძე.

მუშათა ცხოვრება

ასეთი წესით ვიმუშაოთ

საკლუბო მუშაობის გამოცოცხლებას და მის საქმიანობის სასურველ დონეზე დაყენებას საშველი არ დაადგა. მიუხედავად იმისა, რომ პროფსაბჭოს კულტგანყოფილება ყოველგვარ საშუალებასა და ზომებს ხმარობს საკლუბო მუშაობის გამოსაცოცხლებლად, მაინც აქვს ადგილი მუშაობის სისუსტეს და უმთავრესად კი მის დამახინჯებას.

გასული წლებისა და განსაკუთრებით კი მიმდინარე წლის ზაფხულის სეზონის მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ საკლუბო მუშაობა ჯერ კიდევ ვერ სდგას თავის სიმაღლეზე, მუშაობაში არ არიან ჩაბმული მუშათა ფართო მასები, რომლის საშუალებითაც უნდა ტარდებოდეს ყოველგვარი მუშაობა. მართალია კულტგანყოფილების მიერ მიღებულმა ზომებმა გამოიღო ცოტაოდენი ნაყოფი, მაგრამ იმისათვის, რომ საკლუბო მუშაობა შესაფერ სიმაღლეზე დავაყენოთ და მუშათა ფართე მასებიც ჩავაბათ ამ მუშაობაში, ჯერ კიდევ დიდი მუშაობაა საჭირო.

საქმე ის არის, რომ საკლუბო მუშაობა უმთავრესად ტარდება დაქირავებულ თანამშრომლების ხელმძღვანელობით. მუშათა აქტივი თითქმის სავსებით გამოუყენებელია. ამით რასაკვირველია ჩვენ არ ვამბობთ, რომ თითქოს საკლუბო მუშაობაში არ იყოს საჭირო დაქირავებული ხელმძღვანელი, მაგრამ ყოველთვის დაქირავებულ ხელმძღვანელზე დაყრდნობაც შეუძლებელია. დაქირავებული ხელმძღვანელ უმთავრესად გამოყენებული უნდა იქნეს მუშათა აქტივის მოსამზადებლად. მან უნდა მოამზადოს მუშები ისე, რომ შესაძლებელი გახდეს მუშის რომელიმე წრის ხელმძღვანელად დანიშვნა. ჩვენს კლუბებში კი ასე არ ხდება. ამიტომ ვერც საკლუბო მუშაობა არის სათანადო საფეხურზე დაყენებული.

გარდა ამისა კლუბის გამგეობები ხშირად იწვევენ ისეთ თანამშრომლებს და აძლევენ აუარებელ ფულს, რომლის მოვალეობასაც ადვილად შეასრულებს კლუბის ყოველივე წევრი. ეს ხდება განსაკუთრებით დრამატიულ წრეებში. პიესაში რომელიმე როლის შესასრულებლად იწვევენ სრულიად გარეშე პირს, სცენის მოყვარეს ან მსახიობს იმ დროს, როდესაც დრამატიული წრის წევრიც შესძლებს იმ როლის შესრულებას.

უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის გარემოებაც რომ კლუბებში საწარმოდგენო რეპერტუარები ვერ აკმაყოფილებს კლუბებთან დაკავშირებულ მუშათა ფართო მასის მოთხოვნილებას. მუშას მობეზრდა ძველი, უსიცოცხლო და უშინაარსო პიესები, რომლებიც არავითარ კულტურულ საზრდოს არ აძლევენ მას. საჭიროა ახალი ცხოვრების გამომხატველი მხატვრული პიესები. ასეთები კი ჩვენს კლუბებს ნაკლებად მოეპოება.

ამ ნაკლის გამოსასწორებლად და საკლუბო მუშაობის გასაცხოველებლად საჭიროა კლუბის გამგეებმა სარეპერტუარო გეგმის შედგენის დროს მოუსმინონ კლუბის წევრთა აზრსაც, რომელსაც გამოსთქვამენ საამისოთ შემოღებულ ანკეტების საშუალებით.

ასეთი წესით მუშაობის წარმოება უთუოდ დიდ ნაყოფს გამოიღებს.

ვ.

ასეთ გაცემას—გაუცემლობა სჯობია

(მეოთხე სტამბა)

როგორც ვიცით მუშათა კოოპერატივიდან მუშებს ეძლევათ წვრილი კრედიტი, დაახლოებით 15-20 მანეთამდე თვეში.

ამ კრედიტის გაცემა ვერ ხდება წესზე: ფულის ნიშნების გაცემა ადგილზე ხდება თვის ნახევარ რიცხვებში. მუშამ ამ ნიშნების ღირებულება უნდა გაანაღდოს თვის ბოლოს. და ასეც ხდება, მაგრამ მეორე კრედიტს, ფულის ნიშნების სახით მუშა ვერ ღებულობს თავის დროზე. ადმინისტრაცია არ აძლევს ამ კრედიტს, მანამდე, სანამ მუშა არ იმუშავებს 6 დღე და არ გააკეთებს კრედიტის ღირებულებას.

სესხის ასეთი წესით გაცემა არ არის სწორი. მუშა ამ სესხით ე. ი. ფულის ნიშნებით არჩენს თავის ოჯახს ყოველდღიურად. გამოაქვთ კოოპერატივიდან სურსათ-სანოვაგე და თვის ბოლოს იშორებს ვალს. ამიტომ სესხის გაცემის დაგვიანება თუნდაც ორი დღით, უკიდურეს მდგომარეობაში აყენებს მუშას და იძულებულს ხდის სურსათ-სანოვაგისათვის მიმართოს კერძო ვაჭარს, რომელიც დიდის სიამოვნებით აძლევს ნისიათ სანოვაგეს და შემდეგ კი ერთი ორად ახრობს ტყავს. ასეთ მდგომარეობაში პოლიგრაფტრესტის მეოთხე სტამბაში და ალბად ასევე იქნება სხვა წარმოებებშიაც.

საჭიროა ადმინისტრაციამ ანგარიში გაუწიოს მუშის ასეთ მდგომარეობას და მუშებს ყოველი ვალის გადახდის მეორე დღესვე მისცეს ახალი სესხი, რათა ამით თავი დააღწიონ კერძო ვაჭრების პრჭყალებს.

მუშა დათიკო ღოღობერიძე.

მართლაც რომ ზედმეტია*)

„კომუნისტი"-ს 225 ნომერში მუშკორი „საქმის მცოდნე" სამართლიანად აღნიშნავს, რომ რკინის გზაზე გზის უფროსის რწმუნებულის (უდრ.) შტატი, რომელსაც თვიურად მიაქვს 2.500 მან. ზედმეტია.

ეს ახალი ამბავი როდია. ჯერ კიდევ გასულ წელს გაზეთები აღნიშნავდენ უდრს შტატის ზედმეტობას და მოითხოვდენ მის გაუქმებას. საქმე ის არის, რომ ამ დაწესებულებას არავითარი სარგებლობა არ მოაქვს, პირიქით, უფრო ართულებს საქმეს, აჭიანურებს საქმის სისრულეში მოყვანას და აბანდებს ყოველგვარ საქმიანობას.

შეიძლება მას ქონდა რაიმე მნიშვნელობა რევოლიუციის პირველ დღეებში, როდესაც წარმოების სათავეში იდგენ რევოლიუციისათვის არასაიმედო ელემენტები. დღეს მას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან რკინის გზაზე იშვიათია ისეთი დარგი, რომელსაც სათავეში არ უდგეს წითელი სპეცი.

აი, ამ წითელმა სპეცებმა, პარტიულმა ამხანაგებმა თუ მიიღეს ვინმე სამსახურში, ან გააკეთეს რაიმე საქმე, უნდა მიმართონ უდრ-ს. ამით კი საქმე ბრკოლდება.

დღევანდელ პირობებში ამ დაწესებულებას არ მოაქვს არავითარი სარგებლობა და, გასაკვირველია, რათ ესაჭიროება ეს უნაყოფო ორგანიზაცია რკინის გზის ადმინისტრაციას.

დღეს საჭიროა მომჭირნეობა. საჭიროა აწონდაწონა, სად რა ნაირად ჩატარდეს ეს მომჭირნეობა. არ უნდა განმეორდეს ისეთი მოვლენა, რომ შტატის შემოკლება გატარდეს იქ, სადაც არაა საჭირო, სადაც შტატის შემოკლებას ხშირად ზარალიც კი მოაქვს წარმოებებისათვის.

მომჭირნეობა უფრო ზემდგომ ორგანოების შემცირებით უნდა ტარდებოდეს. სამმართველოში კი არაა მარტო გაბერილი შტატი არამედ გაბერილი და ზედმეტი დარგებიც ბევრია.

შეამოკლეთ ეს დარგები, დაუქვემდებარეთ ორი სამი დარგი ერთ გამგეს და გაანთავისუფლეთ ისეთი გამგეები, რომლებსაც გასაკეთებელი ბევრი არაფერი აქვთ. ამათში კი პირველად უდრ-ები უნდა მოჰყვენ.

ერთგული.

„პირადი მოსაზრებით"

ქალაქის ტვირთ - მზიდავ მუშები, თანახმად ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებისა, კომუნალურ გადასახადს უნდა იხდიდენ როგორც კავშირის წევრები. ამ დადგენილებას არ ემორჩილება წყალსადენის სამმართველო და წყლის გადასახადს ახდევინებს ისე, როგორც კერძო პირებს. მუშების წარმომადგენელმა მიმართა წყალსადენის დირექტორს ამხ. ხოჯაევს რათა ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილება გაეტარებია ცხოვრებაში. მაგრამ ამხ. ხოჯაევმა ყურადღებაც არ მიაქცია მუშების წარმომადგენელს და განუცხადა, რომ „პირადი მოსაზრებით პრეზიდიუმის დადგენილებას ცხოვრებაში ვერ გავატარებ"-ო. ამის გამო თითქმის თვეზე მეტია ამ საკითხის გარშემო სწარმოებს ქაღალდებას მიწერ - მოწერა, სატრანსპორტო კავშირის, ალმასკომის პრეზიდიუმის და წყალსადენის სამმართველოს შორის.

როდის დამთავრდება ეს მიწერ - მოწერა და წყალსადენის სამმართველო როდის გაატარებს ცხოვრებაში პრეზიდიუმის დადგენილებას, ეს არ არის ჯერჯერობით გამორკვეული, მაგრამ საჭიროა თბილისის საბჭომ გამოარკვიოს რა პირადი მოსაზრება აქვს ამხ. ხოჯაევს პრეზიდიუმის დადგენილების შესრულებაში.

მუშკორი კინო.

სასტიკი ზომები მივიღოთ

მიუხედავად იმისა, რომ მკაცრი ზომებია მიღებული ხულიგნების წინააღმდეგ, მათი თავხედობის ბოლოს მოღებას საშველი მაინც არ დაადგა. ხულიგნები უფრო ეტანებიან ისეთ ადგილებს, სადაც მრავალი ხალხი იყრის თავს, განსაკუთრებით კი კლუბებში, თეატრებში, ბაღებში და სხვა. პლეხანოვის სახელ. კლუბში ხულიგნები ხშირად არღვევენ ბაღში სასეირნოდ მოსულ საზოგადოების მყუდროებას.

საზაფხულო სცენის უკანა მხრიდან, რკ. გზის მთავარ სახელოსნოების სადარაჯო „ვეშკა"-ზე, ყოველ საღამოობით აუარებელი ახალგაზრდობა იყრის თავს.

ისინი ყოვლად უწმაწური სიტყვებით ილანძღებიან და ამით მაყურებელ ხალხს მოსვენებას არ აძლევენ. იყო შემთხვევა, რომ მათ მიერ გადმოსროლილმა ქვამ კინოზე მაყურებელს თავი გაუტეხა.

თუ ვინმემ გაბედა ხულიგნების წინააღმდეგ რამის თქმა, ისინი ასტეხავენ სტვენას და ლანძღვა-გინებას.

საჭიროა სასტიკი ზომები მიიღოს გამგეობამ და ამ უბნის მილიციამ ხულიგნების წინააღმდეგ, თორემ მათ ასეთ ქცევას შეუძლიან ჩამოაშოროს კლუბს მუშები და მათი ოჯახის წევრები.

მუშა სიონელი.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

ა.-კ.სახკომსაბჭოში

ნავთსადენისთვის საჭირო მიწები

თანახმად საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭოს დადგენილებისა, ა.-კ. სახკომსაბჭომ დაავალა აზერბეიჯანის და საქართველოს სახკომსაბჭოებს გამოსცენ დადგენილება — „აზნავთის"-სთვის ნავთსადენის გასაყვანათ და ნავთის საქაჩავი სადგურების მოსაწყობათ საჭირო მიწების უსასყიდლოთ გადაცემის შესახებ. ნავთსადენისთვის მიწის ზოლის განი განსაზღვრულია 3 მეტრით, ხოლო ნავთის საქაჩავ სადგურებისთვის 6-დან 10 გეკტარამდე.

„აზნავთს" უფლება ეძლევა უსასყიდლოთ გაიყვანოს ნავთსადენი იმ გზების ფარგლებში, რომელიც იმყოფება ა.-კ. ადგილობრივ მიმოსვლის განყოფილების განკარგულებაში.

„აზნავთს" უფლება ეძლევა ნავთსადენის მიზნებისთვის გაიყვანოს დროებითი და მუდმივი გზები, თანახმად „ა.-კ. ს. ფ. ს. რ. გზატკეცილების და შარაგზების დანაწილების და მათთვის საჭირო განთვისების ზოლის ფარგლების შესახებ არსებულ დებულების" პირობებისა.

ა.-კ. რკ. გზათა სამმართველო ვალდებულია უსასყიდლოთ დართოს ნება „აზნავთს" გზის განთვისებულ ზოლში ნავთსადენის გაყვანაზე და ექსპლოატაციაზე.

ყველა საკითხები აღნიშნულ მიწების გამოყოფის, განთვისების ზოლში მუშაობის წარმოების წესის და აგრეთვე რკ. გზის ზარალის ანაზღაურების შესახებ უნდა მოიხსრიგდეს „აზნავთი"-ს და ა.-კ. გზათა სამმართველოს შეთანხმებით და დამტკიცებული უნდა იქნეს გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მიერ.

საქართველოს ცაკში

— რამდენი დაჯდა საინვალიდო სახლების შენახვა. სრ. საქართველოს აღმასრულებელ კომიტეტის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ თბილისში არსებულ საინვალიდო სახლების შესანახათ (სექტემბერში) დახარჯა (5.125 მან.).

— პენსიები. საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ თბილისის ქვე და განყოფილებამ ქალაქ თბილისში და მის მაზრაში მცხოვრებ შრომის და ომის ინვალიდებს გასულ თვეში პენსიების სახით დაურიგა 3.300 მან.

— რამდენი დაიხარჯა მაზრებში სოციალურ უზრუნველყოფის საქმეზე. საქართველოს ცაკის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებაში წარმოდგენილი ანგარიშების მიხედვით გასულ საბიუჯეტო წელში (1926—27) ახალციხის მაზრის აღმასკომის სოციალურ უზრუნველყოფის განყოფილებამ ომის და შრომის ინვალიდებს აღმასკომის საშუალებებიდან პენსიების და დახმარების სახით დაურიგა 3.190 მანეთი, ამავე დროს განმავლობაში რაჭის მაზრის აღმასრულებელმა კომიტეტმა თავისივე საშუალებებიდან დაურიგა ინვალიდებს პენსიების და დახმარების სახით 1.792 მანეთი.

აჭარისტ. სახკომსაბჭოში

24.000 მანეთი გაკიდულ ხიდებისათვის

სოფელ ბაბუჩ ოღლში, დოლოღანში ვაიოში და აჭაში ასაგებ გაკიდულ ხიდების ხარჯთაღრიცხვა სახკომსაბჭომ დაამტკიცა 24.000 მანეთის რაოდენობით.

სახალხო ბანკის საკრედიტო გეგმა

სახკომსაბჭომ დაამტკიცა სახელმწიფო ბანკის აჭარისტანის განყოფილების საკრედიტო გეგმა, რომლითაც „აჭარვაჭრობის" კრედიტი გადიდებულია 20.000 მან.

30.000 მან. სესხი

სახკომსაბჭომ, სატყეო მრეწველობის საბრუნავ თანხის გასაძლიერებლად აჭარმრეწველობას მისცა სახკომსაბჭოს საშუალებებიდან 30.000 მან. გრძელვადიანი სესხი.

ბავშთა კომისიის საქმე

ბათომი, 9 ოქტომბერი. აჭარისტანის ბავშთა კომისიაში მომხდარ ბოროტმოქმედებათა გამო აჭარისტანის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. **სურმანიძემ** განაცხადა შემდეგი:

„ბავშთა კომისიის მუშაობა ვერ იყო ჯეროვან ნიადაგზე დაყენებული იმის გამო, რომ ტეხნიკური მუშაკები ცუდად იყო შერჩეული. ტეხნიკური მუშაობის მეთაური—ბავშთა კომისიის პასუხიმგებ. მდივ. მოქ. ჩხატარაშვილი და მისი მახლობელი თანამშრომლები შეუდგენ სხვა და სხვა კომერციული კომბინაციების მოწყობას. მათი უყაირათობისა და ბოროტმოქმედებათა გამო კომისიის მიერ შექმნილი წარმოებები, სახელდობრ: საკონსერვო ფაბრიკა, ხე-ტყის საწყობი და სხ. დაიხურა. კომისიის ყველა კომერციული ოპერაციები ზარალით თავდებოდა. მთელმა რიგმა ბოროტმოქმედებამ საბოლოოდ გამოუთხარა ძირი ბავშთა კომისიის ფინანსებს. ამა წლის 1 ივლისისათვის ბავშთა კომისიას ჰქონდა 777.000 მან. ნაღდი ფული. ხოლო მუშათა და გლეხთა ინსპექციის რევიზიის დროს—7.000 მან. ვალი.

ჩხატარაშვილი და ორი სხვა თანამშრომელი დაპატიმრებულია და სასამართლოს გადაეცა".

თბილისის საბჭოს სექციებში

გუშინ შესდგა თბილისის საბჭოს სექციების რიგი სხდომები.

თბილისის ტრამვაის ფინანსიური მდგომარეობა

საფინანსო სექციის მორიგ სხდომაზე მოხსენება გააკეთა ამხ. რ. დუმბაძემ იმ კომისიის სახელით, რომელიც ფინანსიური სექციის მიერ ტრამვაის მეურნეობის ფინანსიურ მდგომარეობის გამოსაკვლევად იყო გამოყოფილი.

1926-27 წლისათვის ტრამვაის ხარჯთაღრიცხვის საშემოსავლო ნაწილი თბ. საბჭოს პრეზიდიუმის მიერ დამტკიცებული ყოფილა 3.600.000 მანეთის, ხოლო საგასავლო 4.767.000 მანეთის რაოდენობით. ამგვარად ტრამვაის დეფიციტის დასაფარავად უნდა მიეღო 1.167.000 მანეთი.

1926 წლის 1-ლ ოქტომბრიდან 1-ლ ივნისამდე ხარჯთაღრიცხვა ასე არის შესრულებული: ცხრა თვის განმავლობაში შემოსულია სულ 2.655.000 მანეთი, ანუ მთელი შემოსავლის 73,8 პროცენტი, რასაც კომისია დამაკმაყოფილებლად სცნობს. საგასავლო ნაწილი შესრულებულია შემდეგნაირად: შემოსულია სულ 2.768.000 მანეთი. ხელფასზე დახარჯულია 13.000 მანეთით ნაკლები, ვიდრე გათვალისწინებული იყო. სათბობ მასალის შეძენაზე დახარჯულია 3 პროცენტით მეტი გათვალისწინებულზე. ახალი მშენებლობისათვის გაღებულ 1.859.000 მანეთიდან ნამდვილად დახარჯულია 672.000 მანეთი, რაც აიხსნება იმ გარემოებით, რომ მოსკოვის ქარხნებმა ვადაზე ვერ შეასრულეს ტრამვაის შეკვეთები.

ამგვარად საგასავლო ნაწილში ადგილი აქვს გათვალისწინებულზე მეტ თანხის დახარჯვას. ტრამვაისგან შესრულებული არ არის უმაღლეს ორგანოების დადგენილება ხარჯების 15 პროცენტით შემცირების შესახებ.

მიუხედავად იმ დოტაციისა, რომელსაც ტრამვაი ღებულობს, უმთავრესად, ახალი მშენებლობისათვის, კომისია აღნიშნავს, რომ ტრამვაის აქვს ცხრა თვის განმავლობაში 335.000 მანეთის წმინდა მოგება.

დასასრულ კომისია გამოსთქვამს სურვილს, რომ გადიდებული იქნეს საღამოს 10 საათის შემდეგ მავალ ვაგონების რიცხვი.

საექიმო დახმარება არადაზღვეულებისათვის

ჯანმრთელობის სექციის გუშინდელ სხდომაზე დაუზღვეველ მოქალაქეთათვის საექიმო დახმარების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. **ცომაიამ.** უკანასკნელ დრომდე ქალაქის ამბულატორიებში დაუზღვეველი მოქალაქეები საექიმო გასინჯვისათვის იხდიდენ ორ შაურს, ხოლო რეცეპტით გამოწერილ წამლისათვის ხუთ შაურს. ჯანმრთელობის განყოფილებას განზრახვა აქვს ეს ტარიფი გაადიდოს. მომხსენებლის მიერ წამოყენებული პროექტი, დაუზღვეველ მოქალაქეთა საექიმო გასინჯვისათვის წესდება ათი შაური, ხოლო გამოწერილ წამლებისათვის შვიდი შაური. ღარიბებს მოსახლეობას, როგორც საექიმო დახმარება, ისე მედიკამენტები ეძლევათ უსასყიდლოდ. უფასო დახმარებისა და წამლების მისაღებად საჭირო იქნება წარდგენა ღარიბის მოწმობის, რომლის გაცემა ევალება ჯანმრთელობის განყოფილებასთან არსებულ განსაკუთრებულ კომისიას. სტაციონალური საავადმყოფოებისათვის საწოლის ღირებულება ქალაქის საავადმყოფოებში ქალაქად იგივე რჩება, ხოლო მაზრაში საწოლის ქირა საავადმყოფოში დიდდება მანეთნახევრიდან 2 მანეთნახევრამდე დღე-ღამეში.

ახალი ტარიფი ძალაში შედის მიმდინარე წლის 15 ოქტომბრიდან.

სკოლების შეკეთება

განათლების სექციის გუშინდელ სხდომაზე ინჟ. ლოლაძემ სექციას გააცნო ის მუშაობა, რომელიც მიმდინარე წლის ზაფხულზე ჩატარდა სასკოლო შენობების შესაკეთებლად. გასული წლის ბიუჯეტით სკოლების შესაკეთებლად გადადებული იყო სულ 37.000 მანეთი. ამ თანხით საფუძვლიანი რემონტი გაუკეთდა ცხრა სასკოლო შენობას და წვრილმანი მიმდინარე რემონტი—60 სკოლას. სკოლები შეკეთებული არიან იმდენად, რომ არავითარი დაბრკოლება მიმდინარე სამოსწავლო წლის განმავლობაში მოსალოდნელი არ არის. წლევანდელი ბიუჯეტით სკოლების შესაკეთებელი ხარჯები წარსულ წელთან შედარებით გადიდებულია. გადაწყვეტილია სკოლების შესაკეთებელი მუშაობა გაგრძელდეს მთელი სამოსწავლო წლის განმავლობაში ალმასკომიდან თანხების მიღების მიხედვით. რემონტი იწარმოებს ისე, რომ არ დაბრკოლდება სწავლის მიმდინარეობა.

შემდეგ სექციამ მოისმინა ამხ. ბერიძის მოხსენება სახალხო განათლების ხუთწლიანი გეგმის შესახებ. გეგმა შეიცავს შრომის სკოლების, საბავშო ბაღების, წ. კ. უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტების, სამკითხველოების ქსელის გაფართოებას, თეატრების მოძრავ-კინოების რიცხვის გადიდებას და სხ. თბილისის მაზრაში.

პურის მომარაგება ქალაქისათვის

სავაჭრო კოოპერატიულ სექციაში ქალაქის პურით მომარაგების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. აივაზოვმა. მომხსენებლის გადმოცემით, სექტემბრის განმავლობაში თბილისში შემოტანილი ყოფილა 195 ვაგონი პურის ფქვილი, რამაც სავსებით შეუნელებია ის კრიზისი, რომელსაც ადგილი ჰქონდა ზაფხულის უკანასკნელ თვეებში. ოქტომბრის განმავლობაში შემოტანილი იქნება 195 ვაგონი პურის ფქვილი. ამ რიცხვში არ შედის პურის ფქვილი, რომელსაც საჭიროებენ კოოპერატიული მრეწველობა, წითელი არმია და საბავშო სახლები. ამ უკანასკნელ დაწესებულებათა საჭიროების დასაკმაყოფილებლად დამატებით შემოტანილი იქნება ოქტომბერში კიდევ 22 ვაგონი. პურის ფქვილი ამ რაოდენობით შემოტანის შესახებ დადებულია სათანადო ხელშეკრულებები პურის მომწოდებელ ორგანიზაციებთან. ასე, რომ, არავითარი შიში პურის ფქვილის ნაკლებობის შესახებ მოსალოდნელი არ არის. კერძო ვაჭრებს პურს აწვდის ხლებოპროდუქტი და საქ. სახელმწიფო ვაჭრობა. ყოველდღიურად ქალაქი ხარჯავს 6.500 ფუთ ფქვილს. აქედან მუშკოოპი აცხობს 3.500 ფუთს. დანარჩენს აცხობენ კერძო მეთორნეები. პურის ცხობის მექანიზაციით მუშკოოპი ქალაქის სხვადასხვა რაიონში აგებს ოთხ პურის საცხობ ქარხანას.

„საქართველოს მარგანეცის" გამოკვლევა

ჭიათურიდან თბილისს ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის მთავარ საკონცესიო კომიტეტის წევრი ამხ. რაიხელი, რომელმაც გამოიკვლია საკაციო საზ. „საქართველოს მარგანეცის" (ჰარიმანის კონცესიის) მუშაობა.

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში ამხ. რაიხელმა განაცხადა შემდეგი: „როგორც გამოკვლევამ გვიჩვენა კონცესიონერთან დადებულ ხელშეკრულების გადასინჯვის შემდეგ, იგი შესდგომია კონცესიის სრულ რეორგანიზაციას თანამედროვე ტეხნიკის და საქმის ნორმალური განვითარების საფუძველზე: კონცესიონერის მიერ გაკეთებულია საბაგირო გზები, აგებულია 7 მუშათა სახლი, სწარმოებს ცდები ახალ მანქანების გამოსაყენებლად და აგრეთვე მადანის რეცხვა ახალ გაუმჯობესებული წესით. დადგმულია რამოდენიმე ექსკავატორი, აგებულია მექანიკური სახელოსნო და სხვა.

შესრულებული მუშაობა წარმოადგენს იმ პროგრამის ნაწილს, რომელიც შეიცავს მთელი წარმოების ამერიკანიზაციას.

კაპიტალური მუშაობის დაწყებისა და პროფკავშირებთან ახალი ყოველ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ურთიერთობა კონცესიონერის ადმინისტრაციისა და ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებს შორის საგრძნობლად გაუმჯობესდა.

მიუხედავად ამისა, წარმოებათა მუშაობას ახასიათებს მთელი რიგი ნაკლულევებანი: შავი ქვის ამოღებისა და დატვირთვის უთანაბრობა (რაც ხშირად მუშა-ხელის შემცირებას იწვევს) კოლხელშეკრულებების ზოგიერთ პუნქტების შეუსრულებლობა და სხ.

მაგრამ კონცესიონერის დაპირება საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ მოკლე ხანში შემჩნეული დეფექტები გამოსწორდება. ამასთან ერთად კონცესიონერი დაპირებას იძლევა უზრუნველჰყოს წყლის მიწოდებით ადგილობრივი გლეხობა, შეაკეთოს და მუდამ წესიერ მდგომარეობაში იქონიოს ადგილობრივი სამრეწველო გზები, რომლითაც სარგებლობს აგრეთვე ადგილობრივი მოსახლეობა და საერთოდ ხელს შეუწყობს ადგილობრივ რაიონების კეთილმოწყობას, რასაც მნიშვნელობა აქვს როგორც მოსახლეობისათვის, ისე საკონცესიო წარმოებისათვის.

საერთო შთაბეჭდილება ისეთია, სთქვა დასასრულ ამხ. რაიხელმა, რომ შეგვიძლია ვიქონიოთ იმედი, რომ კონცესიონერი სავსებით შეასრულებს დამატებითი ხელშეკრულებით დადებულ პირობებს.

ე. კოხი თბილისში

კვირას, 9 ოქტომბერს საქართველოს სამხედრო გზით თბილისში ჩამოვიდა გერმანიის დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის ლიდერი და გერმანიის ყოფილი რეიხს-კანცლერი მოქ. ერიხს კოხი.

ერიხ კოხს კავკავში შეხვდა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის რწმუნებულის მოადგილე ამხ. კვიტაშვილი.

ერიხ კოხის ჩამოსვლის მიზანია—ამიერ-კავკასიის გაცნობა.

გუშინ ე. კოხმა ინახულა საგარეო საქმეთა კომისარიატის ამ.-კავკასიის რწმუნებულის სამმართველო და საქართველოს სახ. კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ამხ. ს. ჟულელი, რომელთანაც ჰქონდა ხანგრძლივი საუბარი.

საუბარი ე. კოხთან

ჩვენს თანამშრომელთან საუბარში გერმანიის დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე ე. კოხმა განაცხადა:

„მე არასოდეს არ მოველოდი, რომ საბჭოთა კავშირში ვნახავდი მუშაობის ისეთ გასაოცარ ტემპს სამეურნეო აღმშენებლობის დარგში, რომელიც, ჩემის აზრით, ყველაზე უფრო უკეთესად ახასიათებს საბჭოთა ხელისუფლებას. რევოლიუციის შემდეგ თქვენ ბევრი რამ გააკეთეთ და ჩემი აზრი ისეთია, რომ ის ძლიერი ენერგია, რომელიც აქვს თქვენს ქვეყანას, შემდგომ წარმატებათა საუკეთესო საწინდარია".

შემდეგ ე. კოხი შეეხო რა საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ურთიერთობას, განაცხადა „მე იმედი მაქვს, რომ მეგობრული ურთიერთობა, რომელიც დამყარდა საბჭოთა კავშირსა და გერმანიის შორის, კიდევ უფრო განმტკიცდება. ამ ორი ქვეყნის ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობა ისეთია, რომ მათ ხელი-ხელ ჩაკიდებული უნდა იმუშაონ".

დასასრულ კოხმა აღნიშნა, რომ მასზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დასტოვა „გლეხის სახლის" დათვალიერებამ მოსკოვსა და თბილისში.

„გერმანიაში დაბრუნების შემდეგ,—დასძინა კოხმა, მე შევეცდები გამოგიგზავნოთ საჩვენებელი ექსპონატები სასოფლო მეურნეობის დარგში".

10 ოქტომბერს, საღამოთი, ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ამხ. შ. ელიავასთან საუბრის შემდეგ მოქ. კოხი გაემგზავრა ბათომში, საიდანაც გაემგზავრება ოსმალეთში.

შაქრის მრეწველობა

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საქართველოში შაქრის მრეწველობის მოწყობის საკითხი. სახელმწ. საგეგმო კომისია, გაეცნო რა შაქრის ჭარხლის თესვის ცდებს 1926—27 წელში, სავსებით დამტკიცებულად სთვლის იმ ფაქტს, რომ ადგილად შეიძლება შაქრის ჭარხლის გაშენება გორის მაზრაში.

ჭარხლის საცდელი დათესვით გამოირკვა, რომ ადგილობრივ ჭარხალში არის შაქრის ნივთიერების დიდი პროცენტი. ამის გამო სახელმწ. საგეგმო კომისიამ დაადგინა წინადადებით მიმართოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს, რათა უკანასკნელმა საქართველოს სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს გადასცეს 2.730 გექტარი მიწა გომ-აგარის რაიონში (გორის მაზრა) შაქრის ქარხნის აგებისა და პლანტაციების გაშენებისათვის.

ცენტრ. სტატისტიკურ სამმართველოს დაევალა საქართველოს მიწათმოქმედების სახ. კომისარიატთან ერთად საბიუჯეტო ანალიზის საშუალებით გამოარკვიოს ჭარხლის ახალი გლეხთა მეურნეობის განვითარებაში.

გარდა ამისა, მიწათმოქმედების სახ. კომისარიატს დაევალა მიიღოს ზომები აგრონომ-სპეციალისტების კადრის შესაქმნელად, რომლებიც იმუშავებენ შაქრის ჭარხლის მრეწველობის დარგში.

ახალი ქარხნები

საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიამ განიხილა რა ადგილობრივი მრეწველობის გეგმა 1927—28 წლისათვის, აუცილებლად სცნო პირველ რიგში დაიწყოს კონსერვების ფაბრიკის აგება გორის მაზრაში, აგურის ქარხნის აგება შორაპნის მაზრაში, აგურ-კრამიტის ქარხნის აშენება სენაკის მაზრაში, ყველისა და კარაქის ქარხნის აგება სამხრეთ ოსეთში და ღვინის დიდი სარდაფის მოწყობა თელავის მაზრაში.

ამ სამუშაოთათვის საჭიროა 1.931.000 მანეთი.

ქრონიკა

მისალმება ა. კ. ცაკს.

ა. კ. ცაკმა ბაქოდან მიიღო აზერბეიჯანის საბჭოების წევრ მუშა-ქალების და გლეხ-ქალების ყრილობის შემდეგი მისასალმებელი დეპეშა.

„აზერბეიჯანის საბჭოების წევრ მუშა-ქალების და გლეხ-ქალების ყრილობა მხურვალე სალამს უძღვნის ა. კ. ცაკს. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ რესპუბლიკანურ ყრილობების შედეგები, რომლებითაც გამოაშკარავებული იქნა მიღწევების მთელი რიგი ქალთა განთავისუფლების საქმეში, საშუალებას მისცემს ა. კ. ცაკს საუკეთესო გზები გამონახოს ჩვენი მრავალეროვნებიან ფედერაციის მუშა-ქალებისა და გლეხ-ქალებისათვის სამსახურის გასაწევათ, მათ აღსაზრდელათ ინტერნაციონალური სულისკვეთებით და ურთიერთთან სათანამშრომლოთ. გაუმარჯოს ა. კ. ხალხთა ძმობას! გაუმარჯოს მშრომელ ქალთა განთავისუფლებას".

ამხ. გრუნინის ჩამოსვლა

კვირას 9 ოქტომბერს თბილისში ჩამოვიდა გზათა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, გზათა სახალხო კომისრის მოადგილე ამხ. გრუნინი.

კრედიტების განაწილება

ამ.-კავკ. რკ. გზ. გამგეობამ, განყოფილებათა შორის გაანაწილა 1927—28 წლის კრედიტი 50.667.000 მან. რაოდენობით, საექსპლოატაციო და ახალი სამუშაოებისათვის.

თბილისის ალმასკომში

◆ **თბილისის მაზრის დაყოფა უბნებად.** თბილისის ალმასკომმა დაადგინა თბილისის მაზრა დაყოს 11 უბნად.

◆ **კეთილმოწყობის განყოფილება** აწყობს ხის დამამზადებელ სახელოსნოს.

◆ **ტრამვაის ახალი ხაზი.** თბილისის ალმასკომმა გადასწყვიტა უნივერსიტეტიდან ყოფ. სემინარიამდე გაიყვანოს ტრამვაის ხაზი.

◆ **გზატკეცილი ვერის ხიდიდან კარლ მარქსის ხიდამდე** დაიწყო მუშაობა ვერის გზატკეცილის გასაგრძელებლად კარლ მარქსის სახელობის ხიდამდე.

◆ **საბავშვო სახლები.** განათლების განყოფილებას დაევალა გააფართოოს არსებული საბავშვო სახლები.

სატყეო ტრესტში

◆ **სახლის აგება.** სატყეო ტრესტმა გადასწყვიტა ბორჯომის საკასრე ქარხნის მუშებისათვის ააგოს სახლი

◆ **მუშა გამომგონებელი.** სატყეო ტრესტის ცნობით მარელისის მოხრილ ავეჯეულობის ქარხნის მუშამ გამოიგონა ახალი სისტემის ჩარხ., რომელიც 4000 მან. ეკონომიას იძლევა წლიურად.

[illegible]

◆ **თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის** უმცროს მასწავლებელთა კოლეგიის საერთო კრება შესდგება 12 ოქტომბერს საღამოს 8 საათზე (ევანგულოვის ქუჩა № 12). გასახილველია გამგეობის წლიური ანგარიში, სარევიზიო კომისიის და სარევიზიო კომისიის მოხსენებები. შემდეგ მოხდება გამგეობის ახალი არჩევნები.

◆ **ადმინისტრატიულ ტეხნიკის კურსები.** ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ დარსებულ ანგარიშწარმოების და ადმინისტრატიულ ტეხნიკის კურსებზე დაიწყო ახალ მსმენელთა მისაღები ჩაწერა.

◆ **პროფტეხნიკური კურსები.** თბილისში ახალო ხანში გაიხსნება მელითონეთა პროფტეხნიკური კურსები.

◆ **წ. კ. უცოდინარი კავშირის წევრები.** შრომის სტატისტიკის ბიურო ამჟამად აწარმოებს კავშირის წევრ წ. კ. უცოდინართა აღრიცხვას.

◆ **მუშათა სახახლის შესაკეთებლად** კომუნალურმა ბანკმა პროფსაბჭოს სესხად მისცა 40.000 მან.

ხელოვნება

„მიზანი"

გამოვიდა საქართველოს პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის მუშათა წრის სალიტერატურო და სახელოვნებო ალმანახი „მიზანის" მესამე ნომერი. ალმანახში მოთავსებულია ლექსები: პანტ. ჩხიკვაძის, გ. შინატეხელის, სით. ხიდისთაველის, [illegible] დევიძის, გლეხი ნესტორ ლ—ის, თომ[illegible]აშვილის, ვ. ირინესშვილის, შალ. მღვ[illegible], ივ. ხბერელაშვილის, იგ. ხაზარბეგო[illegible] გლეხ ფახოზიშვილის, არ. ძველ გალავნელის, დონ-ღანის, მუშა ბ. თათუბაძის, შაქ. ნავთლუღელის, სოლ. ბოსტოლანაშვილის, შან-მანის და გრ. არაქელოვის მოთხრობები: თიკო ასლამაზაშვილის, ლიზა მესხიშვილის, თოგურის, ალ. ბაჯიაშვილის, ძველი მუშის, მ. გრაუხის, გ. ლომთათიძის, გ. ლეკიშვილის, ი. ხილოსის და ა. გვიხნიძის: ჟურნალი შეიცავს 32 გვ. ღირს 2 კაპ.

◆ **ახალი წიგნი.** ბათომში იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა ახალგაზრდა პროლეტარულ მწერლის ვასილ მახარაძის მოთხრობა „ათის სისხლი".

◆ **უკრაინული კონცერტი.** 12 ოქტომბერს წითელი არმიისა და ფლოტის კლუბში გაიმართება უკრაინული კონცერტი.

◆ **„კაცი რესტ[illegible]ნიდან".** კინო „შინიონში" დღეიდან ნაჩვენებ[illegible]ნება მეჟრაბპომ-რუსის" ახალი სურათი—„კ[illegible] რესტორანიდან" დამსახ. მსახიობის ჩეხოვის მონაწილეობით.

◆ **მუშათა თეატრის ქართული დრამის** საჭიროებისათვის თბილისის ალმასკომმა გადასდო 15 ათასი მან.

◆ **წიგნი სუმბათაშვილზე.** ხელოვანთა მთავარმა კომიტეტმა გადასწყვიტა გამოსცეს წიგნი ა. სუმბათაშვილ-იუჟინზე.

შემთხვევები

მკვლელობა დავითის მთასთან

ა. წ. 8 მაისს, არშაკუნის წყაროსთან (მეორე უბანი, დავითის მთის ძირთან) გამვლელმა მოქალაქემ იპოვა დამღრჩვალი ახალგაზრდა ქალის გვამი, რის შესახებ მან აცნობა სისხლის სამართლის მილიციას.

სისხლის სამართლის მილიცია შეუდგა გამოძიებას ქალის ვინაობის გამოსარკვევად და დამნაშავეთა შესაპყრობად. დამღრჩვალი ქალი აღმოჩნდა **არაქსი მალხაზოვა** (18 წლისა).

გამოირკვა, რომ მალხაზოვას ქალთან წინად ახლო დამოკიდებულება ჰქონია **ანდრონიკ ზაალიანცს.** (22 წლისა). უკანასკნელს აღუთქვამს ქალისათვის ცოლათ შერთვა და თითქმის ერთი წლის განმავლობაში სცხოვრობდა მასთან. ბოლოს ზაალიანცი ჩამოშორდა ქალს და გადასწყვიტა მისი მოკვლა.

7 მაისს, ღამით, ზაალიანცი თავისი ამხანაგების **პეტრე ხუბაევის, მიკირტიჩ მანდარიანცის** და **ანუშ სიმონიანცის** თანხლებით მისულა მალხაზოვას ოჯახში და ქალი სასეირნოდ წაუყვანია მათ თან წაუღიათ სურსათ-სანოვაგე და არშაკუნის წყაროსთან გაუშლიათ სუფრა. ქეიფის შემდეგ კი მალხაზოვას ქალი თოკით დაუღრჩვიათ.

ოთხივე ბოროტმოქმედი დაპატიმრებულია. ისინი გამოტყდენ მკვლელობაში.

მკვლელობა

— ა. წ. 17 სექტემბრიდან უგზო-უკვლოდ დაიკარგენ სოფ. სოღანლუღის მცხოვრებნი გუსეინ ალი და ალაპკარ ალი ასკარ-ოღლები.

კვირას, 9 ოქტომბერს, სისხლის სამართლის მილიციას აცნობეს, რომ სოღანლუღის მახლობლად ხევში აღმოჩენილია ორი მოკლული კაცის გვამი.

შემთხვევის ადგილზე დაუყოვნებლივ გაემგზავრენ სისხლის სამართლის მილიციის თანამშრომლები.

გვამები გახრწნილი იყო, მაგრამ მათი ვინაობა გამოიცნეს ტანისამოსის მიხედვით. მოკლულნი აღმოჩნდა გუსეინ ალი და ალაპკარ ალია ასკარ ოღლები.

მკვლელებს მათთვის თოკით შეუკრავთ ხელები და შემდეგ დაუხვრეტიათ შაშხანა თოფით.

ეჭვით დაპატიმრებულია აბდულ სარა-ოღლი, საიდ ალახვერდი და ჯემალ ნუფტალა-ოღლი.

დაჭრა

7 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე, რუსთაველის გამზირის და წულუკიძის ქუჩის კუთხეში ჩხუბის დროს ალექსანდრე ტოლონიძემ დანით მძიმედ დასჭრა ზურგში ხიმონ სიმონისძე ფხაკაძე, რომელიც სასწრაფოდ გადაგზავნილი იქნა რესპუბლიკის მთავარ საავადმყოფოში. ბოროტმოქმედი ტალახაძე შეიპყრეს.

მკვლელობა ცაგერში

ცაგერიდან მიღებული ცნობით, 9 ოქტომბერს საღამოს ცაგერის ახლოს მოკლული იქნა კომკავშირელი საანიძე, მიღებულია ზომები მკვლელის აღმოსაჩენად.

თავდასხმა

8 ოქტომბერს ღამის პირველ საათზე სამხედრო გზაზე მიმავალ გლეხებს—გაბო ნიკოლოზის ძე გიგაურს და ნიკოლოზ გიორგისძე ნატაძეს გაძარცვის მიზნით თავს დაესხა ორი შეარაღებული ბოროტმოქმედი. გლეხები გაძარცვეს. სასწრაფოდ მიღებული ზომების წყალობით თავდამსხმელები გიორგი და ნიკოლოზ მჭედლიშვილები შეპყრობილ იქნენ.

◆ **საბეჭდი მანქანის მოპარვა.** 9 ოქტომბერს სოლომონოვის ქუჩა № 24 მოიპარეს საბეჭდი მანქანა, „უნდერვუდის" სისტემის.

◆ **5000 მანეთის მოპარვა.** 9 ოქტომბერს ლითონ-ტრესტის საწყობის სალაროდან მოიპარეს 5000 მან. ფულად.

◆ **ბავშვის გვამი.** რკინის გზის ლიანდაგის გადაღმა, ბრესელის ქუჩაზე იპოვეს 2 თვის ბავშვის გვამი. ბავშვის ვინაობა გამოურკვეველია.

◆ **ტრამვაიდან ჩამოვარდნა.** მუხრანის ხიდთან ტრამვაიდან ჩამოვარდა უცნობი მოქალაქე რომელიც მძიმედ დაშავდა.

◆ **ჩხუბის დროს** ორთაჭალის დამბაზე შაქრო ლევანის ძე გურგენიძემ დანით მძიმედ დასჭრა ვასილ გაბრიელის ძე მაჭარაძე. გურგენიძე დააპატიმრეს.

◆ **ჯიბგირის შეპყრობა.** 9 ოქტომბერს ჯიბგირობისათვის შეიპყრეს სარქის გასპარიანი.

◆ **ხალიჩების მოპარვა.** 9 ოქტომბერს მკირტიჩ ტამპაშოვის ბინიდან ვლადისლავ კამენსკიმ მოიპარა 4 ხალიჩა, ღირებული 300 მ. ქურდი შეიპყრეს.

◆ **ცენტრალურ ბაზარში** მარკოზ მისაკიანცს ჯიბიდან ამოაცალეს 228 მან.

◆ **დიდუბის მოედანზე** ივანე სტეფანოვს მოპარეს ველოსიპედი.

◆ **ბაღ „არტოში"** 9 ოქტომბერს ბაგრატ ქუთათელაძემ რევოლვერით დასჭრა ანტონ გამლაშვილი და ალი ალა შაჰტაგინსკი.

◆ **ტრამვაის რონოდაში** არშაკ აბრამოვს ამოაცალეს 320 მან.

◆ **მუშკოოპის მეხუთე მაღაზიაში** 8 ოქტომბერს ქურდობისათვის შეიპყრეს კარაპეტ ცამარიანცი

◆ **ამავე დღეს** ჯიბგირობისათვის შეიპყრეს გურგენ არუთინოვი და სამსონ სტეფანიანცი.

◆ **მცირეწლოვანი დამნაშავე.** 9 ოქტომბერს შეიპყრეს მცირეწლოვანი ჯიბგირი სურენ დოლუღაბეგოვი.

◆ **ფანჯრის გატეხის საშუალებით** 9 ოქტომბერს ლენინის ქუჩა № 6 გაქურდეს ვასილ ნიჟარაძის ბინა. წაიღეს 110 მანეთის ნივთები.

ავტომობილის კატასტროფა

გუშინ, ღამის 10 საათზე ელბაქიძის დაღმართზე ტრამვაის ვაგონს (მარშრუტი მეორე) კომუნალური აბანოს წინ დაეჯახა შრომის სახკომისარიატის ავტომობილი. დაჯახება იმდენათ ძლიერი იყო, რომ შოფერს ხელიდან გაუსხლტა სართავი საჭე, ავტომობილმა ინერციით განაგრძო გზა, განზე გადაწვა და გადაბრუნდა.

შემთხვევის ადგილზე თავი მოიყარა დიდძალმა ხალხმა. ტრამვაის მოძრაობა შეწყვეტილი იქნა 10 წუთით.

შემთხვევის ადგილზე გამოცხადდენ სისხლის სამართლის მილიციის და პროკურატურის წარმომადგენელნი.

კვლევა-ძიებით გამოირკვა, რომ შოფერ სტეფანოვს ავტომობილი მიჰყავდა ძლიერი სისწრაფით.

შემთხვევის ადგილას ვატმანმა შოფერს მისცა გამაფრთხილებელი ნიშანი, მაგრამ შოფერმა განაგრძო გზა, რასაც მოჰყვა უბედური შემთხვევა.

კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდა შოფერი სტეფანოვი. მას დაზიანებული აქვს თავი. იგი გადაგზავნეს საავადმყოფოში.

ორმა მგზავრმა დროზე მოასწრო გადმოხტომა.

გამომძიებელმა მ. ნოზაძემ განკარგულება გასცა განკურნების შემდეგ შოფერის დაპატიმრების შესახებ.

ფიქრობენ, რომ შოფერი მთვრალი იყო. ავტომობილი საგრძნობლად დაზიანდა.

კვლევა-ძიება გრძელდება.

ქუთაისი

კიდევ ახალი ხიდი

წარსულ წელში სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილის ამხ. ს. ჟულელის წინადადებით ტეხნიკოსმა ზ. ბიჭაშვილმა შეადგინა მდინარე ყვირილაზე გასაკეთებელი სვირის ხიდის პროექტი. ამ პროექტით ხიდი იქნება სიგრძით 60 საჟენი, განით 1,70 საჟენი და დაკიდებული ლითონის ბაგირზე (канат). სვირის თემის საზოგადო ყრილობაზე მაშინვე არჩეულ იქნა ხიდის სამშენებლო კომიტეტი, 12 კაცისაგან, რომელიც შეუდგა ხიდისათვის საჭირო საშენი მასალის დამზადებას და უკვე დაამზადა 140 კუბ. საჟ. ქვა ჯებირისათვის და აგრეთვე ლითონის ბაგირი.

შემდეგ სხვადასხვა მიზეზების გამო საქმე შეჩერდა.

ამჟამად ქუთაისის სამაზრო ალმასკომის პრეზიდიუმის დადგენილებით, წინადადება მიეცა ქუთაისის წყალთა ოლქის გამგეს ამხ. ზ. ბიჭაშვილს, დაუყოვნებლივ შეუდგეს საჭირო მუშაობას ხიდის ასაგებად. სავარაუდო ხარჯთაღრიცხვით ხიდის გაკეთება ჯდება სულ 50.000 მანეთამდე, რომლიდანაც 18.000 მანეთის გამოღებას კისრულობს სვირის თემი. ტეხნიკოსის ბიჭაშვილისადმი ამ საქმის გადაცემა სრულს გარანტიას იძლევა, რომ სვირის ხიდიც ისე მალე და მკვიდრად გაკეთდება, როგორც გააკეთა მან ხიდები მდ. ცხენისა და ხანის წყალზე (როკითში).

დონ—ვალიანი.

ქუთაისის ქრონიკა

კუბიკების დამზადება

თბილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა მიიღო სათანადო ნებართვა ქუთაისის მაზრის, ოკრიბის მხარეში მოაწყოს ფართო მასშტაბით მუშაობა ქუჩების მოსაკირწყლავი გრანიტის კუბიკების დასამზადებლად. მასთან ამხანაგად შედის ქუთაისის სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტიც.

20 პროც-იანი შემცირება

ქუთაისში სავსებით ტარდება ცხოვრებაში სხვადასხვა დაწესებულებათა მიერ 1926—27 საოპერაციო წელში ფაქტიურად გაწეული სამეურნეო - საადმინისტრაციო ხარჯების 20 პროც-იანი შემცირება.

სარწყავი არხი „მაშველი"

სარწყავი არხის „მაშველი"-ს გამგეობის თავმჯდომარისა და მირაბის არჩევნები, რომელიც 5 ოქტომბრისათვის იყო დანიშნული ქუთაისში, გადაიდო 9 ოქტომბრისათვის ვინაიდან განზრახვა აქვთ „მაშველი" არხისა და 1-ლ საბჭოთა არხის რაიონისათვის ერთი მირაბი აირჩიონ.

ინდუსტრიალიზაციის სესხი

სამ. ალმასკომის საფინანსო განყოფილებამ დაურიგა ადგილობრივ საკრედიტო და სხვა დაწესებულებებს პლაკატები და საგიტაციო ფურცლები ინდუსტრიალიზაციის სესხის გასავრცელებლად. ქუთაისის საზოგადოება ამ სესხისადმი დიდს თანაგრძნობას იჩენს.

ფარეხები და ურმის სადგომი მოედნები

— ქუთაისის საბჭოს დადგენილებით ქალაქის სასაკლაოსთან აგებული იქნება ფარეხები, სადაც განსაზღვრულ საფასურით მოათავსებენ მორეკილ საკლავ საქონელს. გარდა ამისა ურმების დასაყენებლათ ქალაქში დაწესდება განსაზღვრული მოედნები.

ყურძენი

ქუთაისში უკვე დაიწყო ურმებით ყურძნის შემოტანა. ყურძენი საზოგადოთ ცუდი ხარისხისაა: მწვანე დაკუხული, მიუხედავად ამისა ძლიერ ძვირად—3 მან. 50 კაპ.-დან ოთხ მანეთამდე იყიდება ფუთი. ბაღდადის რაიონში ბაღდადის მევენახე-მეღვინეთა ამხანაგობა, „ბაღდადი" და სახელმწიფო ვაჭრობა, „მარანი" ადგილობრივ ყიდულობენ ფუთს 3 მან. და 50 კაპ.

ათი წლის წინეთ

როგორ მზადდებოდა დიდი ოქტომბერი

10 ოქტომბერი

პეტრ. გუბ. ბოლშევიკური ორგ-ბის წარმომადგენელთა თათბირი

შესდგა პეტროგრადის გუბერნიის ბოლშევიკური ორგანიზაციების წარმომადგენელთა წინასწარი თათბირი. დღის წესრიგში:

საოლქო ორგანიზაციის შექმნა და არჩევნები დამფუძნებელ კრებაში.

ესწრებიან პარტიის ექვსი ათასი წევრის და აგრეთვე ცენტრალური და პეტროგრადის კომიტეტების წარმომადგენლები.

თათბირმა დაადგინა 13 ოქტომბრისათვის მოიწვიოს საოლქო კონფერენცია, რომლის დღის წესრიგში დაისვას: 1) საოლქო ორგანიზაციის შექმნა, 2) არჩევნები დამფუძნებელ კრებაში, 3) მუშაობა ჯარის ნაწილებში და 4) მიმდინარე მომენტი.

დროებითი მთავრობის დეკლარაცია

გამოქვეყნდა ახალი კოალიციონური მთავრობის დეკლარაცია, რომელიც რევოლიუციის მიერ წამოყენებულ მთავარი საკითხების გადაჭრას აცილებს დამფუძნებელ კრებას.

დეკლარაციის ის ნაწილი, რომელიც ომის შეწყვეტას ეხება, სავსეა ბუნდოვანი ფრაზებით. დეკლარაციის ამ ნაწილის კრიტიკულად განხილვის შემდეგ ცხადი ხდება, რომ დროებითი მთავრობა უფრო ზრუნავს ომის გაგრძელებაზე „მოკავშირეებთან სრული თანხმობით", ვიდრე ზავის ჩამოგდებაზე.

დროებით მთავრობაში

კონოვალოვის თავმჯდომარეობით შემდგარმა სხდომამ მოისმინა შინაგან საქმეთა მინისტრის **ნიკიტინის** მოხსენება ანარქიის შესახებ ადგილებზე. ნიკიტინის სიტყვით მღელვარება რუსეთის მთელ სივრცეზე არა თუ არ ცხრება, არამედ ფართოვდება. დროებითი მთავრობა ადგენს — არ მოერიდოს არავითარ ზომებს ამ მღელვარებათა აღსაკვეთად.

იურიდიული თათბირი, არსებული დროებითი მთავრობასთან, შეუდგა შედგენას პროექტისას „რუსეთის რესპუბლიკის საბჭოს" ორგანიზაციის შესახებ.

დამფუძნებელი კრების წევრთა რიცხვი განსაზღვრულია 730 კაცით.

მოსკოვის საბჭოს ალმასკომის რეზოლიუცია

მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის გაერთიანებულმა სხდომამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც „უერთდება რა პეტროგრადის საბჭოს მიერ 5 ოქტომბერს მიღებულ რეზოლიუციას, მოუწოდებს ყველა პროვინციალურ საბჭოებს მოახდინონ ყველა ძალების მობილიზაცია მომავალი ბრძოლისათვის ლოზუნგით: „მთელი ძალაუფლება საბჭოებს", რადგან მხოლოდ ასეთ ხელისუფლებას შეუძლია უზრუნველჰყოს დემოკრატიული ზავი და წინ წასწიოს საერთაშორისო რევოლიუციის საქმე".

350 ბოლშევიკი მოსკოვის რაიონულ (მუნიციპალურ საბჭოებში)

გამოირკვა შედეგები არჩევნებისა მოსკოვის რაიონულ მუნიციპალურ საბჭოებში. 17 საბჭოში არჩეულ 710 დეპუტატიდან — 350 ბოლშევიკია, 184 — კადეტი, 104 — ესერი, 31 — მენშევიკი.

მოსკოვის სამაზრო საბჭოს სხდომა

მოსკოვის სამაზრო საბჭომ დემოკრატიული თათბირის შესახებ მოხსენების მოსმენის შემდეგ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიც უარყოფითი დამოკიდებულებას იჩენს დემოკრატიულ საბჭოს მიმართ და კიცხავს დროებითი მთავრობას, რომლის უმრავლესობა შესდგება რევოლიუციის აშკარა მტრებიდან.

შემდეგ რეზოლიუცია სასტიკად აკრიტიკებს მთავრობის დეკლარაციას და მოითხოვს საბჭოების მეორე ყრილობის მოწვევას. „უცხადებს რა უნდობლობას სრულიად რუსეთის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს და მის ხელმძღვანელ უმრავლესობას, მოსკოვის სამაზრო საბჭო წინადადებას აძლევს პეტროგრადის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს იკისროს საბჭოთა მეორე ყრილობის სასწრაფოდ მოწვევა".

ესტონეთის რევოლიუციონური ორგანიზაციები — დრ. მთავრობის წინააღმდეგ

რეველის მუშათა და სამხედრო დეპუტატების, ესტონეთის მხარეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების აღმასრულებელ კომიტეტის, პოლკების, როტებისა და სამხ. გემების კომიტეტების. ცენტრ. და საქარხნო კომიტეტების და პროფ. კავშირების ცენტრალურ ბიუროს პლენარული სხდომა, „უცხადებს რა უნდობლობას დროებითი მთავრობას, რომლის უმრავლესობა შესდგება კონტრ - რევოლიუციონერებისაგან, რომლებიც თავის კადეტ წარმომადგენლების სახით სულ მცირე ხნის წინათ სცდილობდენ სისხლში ჩაეღრჩოთ რევოლიუცია, ადგენს:"

1) დაუყოვნებლივ იქნეს დაშლილი დემოკრატიული საბჭო,

2) დაუყოვნებლივ იქნეს მოწვეული საბჭოების ყრილობა,

3) პლენარული სხდომა სავსებით უჭერს მხარს ძალაუფლების გადასვლას საბჭოების ხელში.

ბალტიის ფლოტში

გაიხსნა ბალტიის ფლოტის წარმომადგენელთა ყრილობა. ყრილობამ გაილაშქრა კოალიციის წინააღმდეგ, მოითხოვა საბჭოების ყრილობის დაუყოვნებლივი მოწვევა და წამოაყენა, აგრეთვე, სხვა ბოლშევიკური ლოზუნგები.

11 ოქტომბერი

სამზადისი დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის

რ. ს.-დ. მ. პ. (ბოლშევიკების) ცენტრალურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა მიმართვა „ყველა პარტიული ორგანიზაციებისადმი" დამფუძნებელი კრების არჩევნებისათვის მზადების შესახებ. ცენტრ. კომიტეტი, გარდა ზოგიერთ ტეხნიკური დავალებების მიცემისა, მოუწოდებს ადგილობრივ ორგანიზაციებს შექმნან საარჩევნო ფონდი, რომლის 40 პროც. უნდა გადაიგზავნოს ც. კ. სალაროში.

გამოქვეყნდა სია კანდიდატებისა დამფუძნებელ კრებაში ბოლშევიკური პარტიიდან: 1) **ლენინი,** ვლადიმერ ილიჩი, 2) **ზინოვიევი,** ევსევი აარონის ძე, 3) **ტროცკი,** ლევ დავითის ძე, 4) **კამენევი,** ლევ ბორისის ძე, 5) **კოლონტაი,** ალექსანდრა მიხეილის ასული, 6) **ლუნაჩარსკი,** ანატოლი ვასილის ძე, 7) **ბუხარინი,** ნიკოლოზ ივანეს ძე, 8) **პიატაკოვი,** იური მიხეილის ძე, 9) **სტალინი,** იოსებ ბესარიონის ძე, 10) **რიაზანოვი,** დავით ბორისის ძე, 11) **ბუბნოვი,** ანდრია სერგეის ძე, 12) **მილიუტინი,** ვლადიმერ პავლეს ძე, 13) **რიკოვი,** ალექსეი ივანეს ძე, **ნოგინი,** ვიქტორ პავლეს ძე, 15) **პოკროვსკი,** მიხეილ ნიკოლოზის ძე, 16) **კრესტინსკი,** ნიკოლოზ ნიკოლოზის ძე, 17) **ლარინი,** მიხეილ ალექსანდრეს ძე, 18) **სოკოლნიკოვი,** გრიგოლ იაკობის ძე, 19) **შაუმიანი,** სტეფანე გრიგოლის ძე, 20) **სმირნოვი,** ვლადიმერ მიხეილის ძე, 21) **სტუჩკა,** პეტრე ივანეს ძე, 22) **შმიდტი,** ვასილ თედორეს ძე, 23) **კისელიოვი,** ალექსი, 24) **ძერჟინსკი,** ფელიქს ედმუნდის ძე, 25) **სმირნოვი,** ალექსანდრე პეტრეს ძე, 26) **პეტროვსკი,** გრიგოლ ივანეს ძე, 27) **მურანოვი,** მათე კონსტანტინეს ძე, 28) **ბადაევი,** ალექსი ეგორის ძე, 29) **გლებოვი,** ნიკოლოზ პავლეს ძე, 30) **კრილენკო,** ნიკოლოზ ვასილის ძე, 31) **ლოზოვსკი,** სოლომონ აბრამის ძე, 32) **ოლმინსკი,** მიხეილ სტეფანეს ძე, 33) **შლიაპნიკოვი,** ალექსანდრე გაბრიელის ძე, 34) **სტეფანოვი,** ივანე ივანეს ძე, 35) **იოფფე,** ადოლფ აბრამის ძე, 36) **ლეშჩინსკი** იულიან, 37) **უნშლიხტი,** იოსებ სტანისლავის ძე, 38) **იაკოვლევა,** ვარვარა ნიკოლოზის ასული, 39) **სვერდლოვი,** იაკობ მიხეილის ძე, 40) **ოსინსკი.** ვალერიან. პირველი ოცდა ხუთი კანდიდატი ითვლებოდა ც. კ. ოფიციალურ კანდიდატად).

კრონშტადტელ მეზღვაურების ბედი

კრონშტადტის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომას ესწრება კრონშტადტის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს დელეგაცია. დელეგაციამ შემოიარა ქალაქები: ჰელსინგფორსი, ნარვა, რეველი, და სხვ. და ყველგან აყენებდა 3—5 ივლისის ამბების გამო დაპატიმრებულ კრონშტადტელ მეზღვაურების განთავისუფლების საკითხს. დელეგაციამ პეტროგრადის აღმასკომის სხდომაზე განაცხადა, რომ კრონშტადტელებს აკავებენ იმ დროს, როცა მრავალი აშკარა კონტრ - რევოლიუციონერი გაანთავისუფლეს.

პეტროგრადის საბჭოს აღმასკომი უერთდება კრონშტადტის საბჭოს გადაწყვეტილებას დაპატიმრებულ მეზღვაურთა განთავისუფლების შესახებ.

პეტროგრადის საბჭოს ორგანო

საბჭოების ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელშიც ბატონობდენ ესერ - მენშევიკები, მიისაკუთრა პეტროგრადის საბჭოს ორივე ორგანო— „უწყებები" და „ჯარის-კაცის ხმა". ამ გარემოებას არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა მანამდი, სანამ პეტროგრადის საბჭოს ესერ - მენშევიკები მეთაურობდენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელობა ბოლშევიკების ხელში გადავიდა, საბჭო ფაქტიურად დარჩა მოკლებული ბეჭდვითი ორგანოს, რადგან ორივე გაზეთის რედაქცია ესერ - მენშევიკების ხელში იყო.

იქონია რა მსჯელობა ასეთ მდგომარეობაზე, პეტროგრადის საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა ასეთი წინადადებით მიემართა საბჭოების ცაკისათვის:

„იღებს რა მხედველობაში, რომ პეტროგრადის საბჭოს ორივე ორგანო — „უწყებები" და „ჯარის-კაცის ხმა", შექმნილი პეტროგრადის პროლეტარიატისა და რევოლიუციონურ ჯარისკაცების თავდადებითა და ენერგიით, ამჟამად სრულიად რუსეთის საბჭოთა ცაკის განკარგულებაში იმყოფება და, რომ, კერძოთ, „ჯარისკაცის ხმა" ცაკის ორგანოთ იქნა გადაქცეული პეტროგრადის საბჭოში ამ საკითხის განხილვის გარეშე, — პეტროგრადის საბჭო ადგენს მიმართოს ცაკს წინადადებით ერთ - ერთ ორგანოს ტეხნიკური საშუალებები დაუთმოს პეტროგრადის საბჭოს და მოხსნას „უწყებებს" პეტროგრადის საბჭოს ორგანოს სახელწოდება".

აგრარული მღელვარებანი

დროებითი მთავრობის წევრების კერძო თათბირზე განხილულ იქნა საკითხი აგრარულ მღელვარებათა შესახებ, რომელიც განსაკუთრებით ფართედ მოედო ცენტრალურ რუსეთს. დროებითი მთავრობამ, აგრარულ მღელვარებებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით. დაადგინა შექმნას ადგილებზე „დროებითი მთავრობის განსაკუთრებული კომიტეტი". დადასტურებულია ძველი დადგენილება, რომ „მღელვარებათა აღსაკვეთათ, თუ საჭიროებამ მოითხოვა, გამოყენებულ იქნეს შეიარაღებული ძალები".

უნდობლობა მინისტრს

პეტროგრადში შესდგა ფოსტა - ტელეგრაფის მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელზედაც უნდობლობა გამოუცხადეს ფ.-ტ. მინისტრს — ნიკიტინს.

„ნოვაია ჟიზნი" იუწყება, რომ რ. ს.-დ. მ. პ. (გაერთიანებულის) ცენტრ. კომიტეტმა წინადადება მისცა შინაგან საქმეთა მინისტრ ნიკიტინს დასტოვოს პარტია რკინისგზელთა გაფიცვის დროს მიღებულ შეუფერებელ ღონისძიებებისათვის.

შავი რაზმი არმიაში

თვითმპყრობელობის დამხობის შემდეგაც ფრონტზე განაგრძობდენ მოქმედებას სახ. სათათბიროს უკიდურეს შავრაზმელ დეპუტატის მონარქისტ პურიშკევიჩის სანიტარული რაზმები და პუნქტები. ისარგებლა რა იმ გარემოებით, რომ მათ თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევდენ, ამ პუნქტების და რაზმების უმაღლესი პერსონალი შეუდგა შავრაზმულ აგიტაციას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც აგიტაციამ მიიპყრო ფრონტის რევოლიუციონური ორგანიზაციების ყურადღება და აღშფოთება გამოიწვია რევოლიუციონურ ჯარში, დროებითი მთავრობამ გასცა განკარგულება პურიშკევიჩის რაზმების და პუნქტების დაშლის შესახებ.

ამხ. ბუხარინის მოხსენება

მოსკოვის მუშათა და ჯარისკაცთა გაერთიანებულმა სხდომამ ამხ. ბუხარინის მოხსენებისა და ესერისა და მენშევიკის თანამოხსენებათა მოსმენის შემდეგ 346 ხმით 274 წინააღმდეგ მიიღო ამხ. ბუხარინის რეზოლიუცია მიმდინარე მომენტზე.

ტაშკენტში

გენ. კოროვიჩენკოს დამსჯელი ექსპედიციის რეპრესიების შემდეგ გაფიცვა შეწყდა. სამხედრო წესები მოხსნეს. მიტინგები ისევ აკრძალულია. აჯანყების მონაწილეებს აძლევენ სამხედრო სასამართლოში.

კორნილოვის მეგობრები ბიხოვში

ღამის ბიხოვში ჩაიყვანეს „დაპატიმრებული" გენერლები დენიკინი, ორლოვი, ელსნერი და სხვ.

ამიერ-კავკასიაში

10 ოქტომბერი

ფოტოგრაფების გაფიცვა

თბილისში დაიწყო ფოტოგრაფების გაფიცვა.

ნიანგის ცრემლები

ბაქოს ნავთის მრეწველებმა კერენსკის, შრომის მინისტრსა და ვაჭრობა - მრეწველობის მინისტრს გაუგზავნეს დეპეშა, რომელშიც აცხადებენ, რომ ისინი „წავიდენ ყოველგვარ შესაძლებელ დათმობაზე და იხსნიან პასუხისმგებლობას გაფიცვისათვის".

ბაქოს ნავთის სამრეწველოების მუშების გაფიცვა

ბაქოს ნავთის სამრეწველოების მუშათა კონფერენციამ, მიუხედავად ბაქოს საბჭოს თავმჯდომარის ის. რამიშვილის მოწოდებისა—განეგრძოთ მოლაპარაკება მრეწველებთან, გადასწყვიტეს გამოაცხადონ გაფიცვა.

კონფერენციამ თავისი თავი გამოაცხადა „საგაფიცვო კონფერენციად" და აირჩია საგაფიცვო კომიტეტი. შემუშავებულ იქნა ღონისძიებები მტკიცე რევოლიუციონური წესრიგის დასაცავად გაფიცვის დროს და იმ წარმოებადაწესებულებების ნორმალურ მუშაობის უზრუნველსაყოფად, რომლებიც მოსახლეობის კვების და ჯანმრთელობის საქმეს ემსახურებიან.

შავრაზმელების ბუდე ბაქოში

ბაქოს საბჭოს „უწყებებში" მოთავსებულია ცნობა, რომ ბაქოში აღმოაჩინეს შავრაზმული ორგანიზაცია. ჭეშმარიტ - რუსთა კავშირის თავმჯდომარის მღვდელ არხანგელსკის ბინის გაჩხრეკის დროს იპოვეს ბაქოს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ყალბი ბეჭედი და პოგრომული ლიტერატურა.

დაშნაკების კონფერენცია

თბილისში გაიხსნა დაშნაკელების კონფერენცია.

11 ოქტომბერი

გაფიცვა ბაქოში

ბაქოს ნავთის სამრეწველოების გაფიცულ მუშათა საგაფიცვო კომიტეტის თავმჯდომარედ აირჩიეს ამხ. ალ. ჯაფარიძე.

გაფიცვა მშვიდობიანად მიმდინარეობს.

ზოგიერთი ბნელი ელემენტები შეეცადენ გამოეწვიათ მღელვარება, მაგრამ საგაფიცვო კომიტეტის მიერ მიღებული ზომებით რევოლიუციონური წესრიგი სასწრაფოდ იქნა აღდგენილი.

საქმე იშოვეს

ქართველ პატრიოტების ორგანოებმა „სახალხო საქმემ" და „საქართველომ" საქმე იშოვეს. მთელი სვეტები აქვს დათმობილი საქართველოს ეკლესიის „განთავისუფლებას" — კირიონის კურთხევას კათალიკოსად, მცხეთობის აღწერას და მისალოცი დეპეშებს, რომლებიც კირიონს მოუვიდა.

სომეხთა ნაციონალური კონფერენცია

თბილისში გაიხსნა სომეხთა ნაციონალური კონფერენცია, რომელსაც გარდა ბურჟუაზიული პარტიებისა, ესწრებიან „სოციალისტებიც"—ესერები და მენშევიკები.

სას.-სამ. კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი

ოთხშაბათს, 12 ოქტომბერს, თბილისში გაიხსნება ამიერ - კავკასიის სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ინსტრუქტორთა თათბირი. თათბირი მოწვეულია „სოფლის კავშირი"-ს მიერ, სასოფლო - სამეურნეო კოოპერაციის ცენტრალურ კავშირის დავალებით.

თათბირს დაესწრებიან: აზერბეიჯანის, საქართველოს, სომხეთის, ნახიჩევანის, აჭარისტანის, აფხაზეთის და სამხრეთ - ოსეთის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატიულ კავშირების წარმომადგენლები.

თათბირი განიხილავს შემდეგ საკითხებს: „კავშირთა კავშირის" მუშაობა, მოხსენებები ადგილებიდან, კოოპერატიული მშენებლობის უახლოესი ამოცანები, სას. სამ. კოოპერაციის საფინანსო - სამეურნეო მდგომარეობა, მებამბეობის კოოპერაციის ორგანიზაცია, ღარიბ გლეხობის შეკავშირება სას. სამ. კოოპერაციაში და სხ.

სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის შესახებ*)

თემსაბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის საკითხში მრავალ შეცდომას უშვებენ.

სავალდებულო დადგენილების გამოცემის წესის თანახმად, თემის ფარგლებში უნდა იცემოდეს ასეთი დადგენილება თემსაბჭოს სახელით, ის უნდა ქვეყნდებოდეს „საყოველთაო ცნობისათვის", და თავსდებოდეს თვალსაჩინო ადგილას, რის შემდეგ შედის ის ძალაში. მაგრამ ადგილები ამ წესს ხშირად არღვევენ: საბჭოს მაგიერ სავალდებულო დადგენილებას სცემს პრეზიდიუმი, რასაც „საყოველთაო ცნობისათვის" არ აქვეყნებენ და ისე მოჰყავთ ძალაში.

გარდა ამისა, საკითხების წრე, რომელიც განსაზღვრულია დადგენილების თანახმად, როგორც თემის სავალდებულო დადგენილების გამოცემის საგანი, არ აკმაყოფილებს ადგილებს და ისინი ხშირად შორდებიან მის საზღვრებს.

თემის სავალდებულო დადგენილება არ ეგზავნება მაზრალმასკომს განსახილველად და დასტურისათვის, რითაც ირღვევა არსებული წესი, რომლის თანახმად „მაზრალმასკომი განიხილავს თემსაბჭოს მიერ წარდგენილ სავალდებულო დადგენილებას და, თუ მოიწონა იგი, დაამტკიცებს მას და დაუბრუნებს სათანადო საბჭოს, რომელიც მას გამოაქვეყნებს".

შენიშნულია აგრეთვე, რომ თემები არ იცავენ სავალდებულო დადგენილების გამოცემის ფორმას და ოქმის სახით გამოაქვთ იგი. არ არის ადგილებზე დაცული ჯარიმის რაოდენობის გადახდევინების წესი, 5 მანეთის (მაქსიმუმი ჯარიმის) მაგიერ აჯარიმებენ ხშირად 10-15 მანეთით და მეტითაც.

რათა ჩამოთვლილი დეფექტები იქნეს გამოსწორებული, საჭიროა ადგილებმა შეისწავლონ სავალდებულო დადგენილების საკითხი. შემდეგ სათანადო ორგანოებმა სავალდებულო დადგენილების გამოცემის წესში უნდა შეიტანონ ზოგიერთი ცვლილებები, რომლებიც თემის უფლება-მოვალეობებს გააფართოვებენ და აღმოფხვრიან შემჩნეულ დეფექტებს, რომლებიც ნაწილობრივ გამოწვეულია თემის უფლებების შეზღუდვით. სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის საკითხში თემების უფლების გაფართოება გაზრდის თემსაბჭოების ინიციატივას, თვითმოქმედებას და ხელს შეუწყობს მათი მუშაობის გამოცოცხლებას.

გარდა ამისა. ეხლანდელი წესი, რომლის თანახმად თემსაბჭომ თავისი სავალდებულო დადგენილება დასტურისათვის მაზრალმასკომებს უნდა გადასცეს და მხოლოდ გაატაროს ცხოვრებაში ეს წესი. თემსაბჭოს უნდა მიეცეს უფლება, სავალდებულო დადგენილების გამოცემასთან ერთად, უშუალოდ, სამაზრო ალმასკომის დასტურის გარეშე, მოიყვანოს ის სისრულეში, მხოლოდ ცნობისათვის დადგენილების ასლი თემსაბჭოს მიერ უნდა ეგზავნებოდეს მაზრალმასკომს, რათა მანაც მსგავს საგანზე არ გამოსცეს სავ. დადგენილება.

სავალდებულო დადგენილების მიხედვით, თემებს დადგენილების დარღვევისათვის უნდა ადგენდეს ხოლმე თემალმასკომის წევრი, ან მილიციის თანამშრომელი, რაც ადგილების მიერ მხოლოდ ნაწილობრივ ხორციელდება. უმეტეს შემთხვევაში ოქმებს დადგენილების დარღვევისათვის ადგენს ესა თუ ის სექცია, რის უფლება მას არა აქვს. იბადება საკითხი, საჭიროა თუ არა სექციებზე ამ უფლების მინიჭება? სექციები აუცილებლად უნდა იყვნენ ხსენებულ უფლებით აღჭურვილი. ავიღოთ მაგალითისათვის ასეთი შემთხვევა: სანიტარული სექცია მიდის სოფლად და ათვალიერებს მოსახლეობას; აღმოჩნდა, რომ ამა თუ იმ კომლს ურღვევია სანიტარული დადგენილება; ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცეს სექცია—ჩაინიშნოს ეს და შემდეგ შეატყობინოს ალმასკომს ან მილიციას, თუ თვითონ შეადგინოს ოქმი? თუ მან დადგენილების დარღვევის ფაქტი შეატყობინა მილიციას ან ალმასკომის რომელიმე წევრს, მას დასჭირდება დიდი დრო, საქმეს კი ეს არაფერს დაეხმარება, პირიქით გააჭიანურებს და ავნებს უმჯობესია, რათა სექციამ, რომელმაც აღმოაჩინა დადგენილების დამრღვევი, შეადგინოს დასაჯარიმებელი ოქმი, რომელსაც ის წარადგენს ალმასკომში. მხოლოდ სექციის მიერ ზედმეტად უნდა ჩაითვალოს ადმინისტრატიული ღონისძიების მიღება ჯარიმის ასაკრეფად,—ეს უკანასკნელი ევალება მხოლოდ მილიციას.

საკითხი ქალაქის საბჭოების უფლებების გაფართოების შესახებ სდგას მეტად მწვავედ. მაზრალმასკომის მიერ სავალდებულო დადგენილების გამოცემის წესის პირველი მუხლის შენიშვნა ლაპარაკობს: „ქიათურა, ხაშური, ბორჯომი და სამტრედია გამოსცემენ სავალდებულო დადგენილებებს, სათემო საბჭოების მიერ სავალდებულო დადგენილების გამოცემის წესის მიხედვით". ხსენებული დადგენილება, როგორც ადგილების გამოკვლევანი გვიმტკიცებენ, არ შეეფარდება სინამდვილეს. ბევრ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება თემისათვის შემოღებულ სავალდებულო დადგენილების გამოცემის წესი მოერგოს ქალაქის ცხოვრებას, ის ერთს მოითხოვს. თემი კი მეორეს, საჭიროა საკითხის ხასიათის შეცვლა და გათანაბრება ქალაქისათვის. წინააღმდეგ შემთხვევაში მრავალი ისეთი საკითხი შეიძლება დარჩეს მოუწესრიგებელი, რომლის მოწესრიგება არ არის გათვალისწინებული სათემო საბჭოებისათვის არსებულ სავალდებულო დადგენილების წესში.

ამასთან დაკავშირებული მეორე საკითხი, ქალაქის მცხოვრებთა დაჯარიმების შესახებ—არ არის მიზანშეწონილად განსაზღვრული. თუ ქალაქის მცხოვრებნი დაჯარიმდებიან იმავე წესით, როგორც თემის (სოფლის), რასაც დებულება მოითხოვს. ის არ იქნება სწორი, ჯარიმის მაქსიმუმი თემისათვის განსაზღვრულია 5 მანეთით, რაც ქალაქის მცხოვრებთათვის უმნიშვნელო თანხას წარმოადგენს. საჭიროა ჯარიმის გადიდება ქალაქის პირობებთან შეთანხმებით.

ამასთან, საჭიროა სავ. დადგენილებაში იქნეს შეტანილი დაჯარიმებათა აღრიცხვის საკითხი. რათა დაინტერესებულთ ორგანოებისათვის საჭიროების დროს ნათელი გახდეს, თუ რომელმა თემმა რა ხასიათის სავ. დადგენილების დარღვევისათვის რამდენი მოქალაქე დააჯარიმა.

გ. ლეშკაშვილი.

---

*) საკითხის გარჩევის წესით.

სასამართლო

ქურდი ადმინისტრატორი

ხშირად იტყვიან ხოლმე, ნემსის ქურდიც ქურდიაო. ნემსის ქურდი, თუ ქურდია, დანის ქურდი, ისიც უფროსი მილიციელი, რომელიც ქურდებს უნდა იჭერდეს და კანონიერების სადარაჯოზე უნდა იდგეს,—ქურდზე მეტია.

ქურდობა ხშირად ხდება თბილისში. გაზეთების ქრონიკები სავსეა ყოველდღე ქურდობის შემთხვევებით. მაგრამ ეს ქურდობა განსაკუთრებით იპყრობს ყურადღებას. ის მოხდა მესამე სამილიციო კომისარიატში. ქურდობა ჩაიდინა ამავე კომისარიატის უფროსმა თანამშრომელმა **რომანოზ დომენტისძე ებრალიძემ.**

ღამის პირველ საათზე მესამე კომისარიატში ნებაყოფლობით გამოცხადდენ ივანე ტერ-გრიგორიანი და მეეტლე ნოვიკოვი. მათ უთანხმოება მოსვლოდათ გზაში და ამ უთანხმოების მოსაგვარებლად მიმართეს მორიგ უფროს მილიციელს რ. ებრალიძეს. უთანხმოება მდგომარეობდა იმაში, რომ მეეტლე, რომელსაც ტერ-გრიგორიანი ეტარებინა, თავს დაკმაყოფილებულად არ სთვლიდა უკანასკნელისაგან მიღებული ფულით.

ებრალიძემ საკითხი მარტივად გადასჭრა, გასცა ბრძანება გაეჩხრიკათ ტერ-გრიგორიანი და გაეგზავნათ საპატიმრო ოთახში ხელქვეითმა თანამშრომლებმა ტერ-გრიგორიანი გაჩხრიკეს, ჩამოართვეს სხვა წვრილმან ნივთებთან ერთად ჯიბის დანა (10 მანეთად ღირებული) და ერთი მანეთი ფული, საიდანაც ათი შაური ებრალიძემ გადასცა მეეტლეს და სახლში გაუშვა. ტერ-გრიგორიანს შეუდგინა ოქმი, თითქოს ის მთვრალი იყო, ფული არ გადაუხადა მეეტლეს და ამისათვის დაპატიმრებულ იქნა.

ოქმზე ხელი უნდა მოეწერა ტერ-გრიგორიანს, მაგრამ ვინაიდან შინაარსს ის არ იცნობდა, მოითხოვა ჯერ წაეკითხათ მისთვის, რაზედ აწერინებდენ ხელს.

— ჩასვით საპატიმროში, თუ ხელს არ მოაწერს, ბრძანა ებრალიძემ.

რა გზა ჰქონდა ტერ-გრიგორიანს. საპატიმროს თუ გადარჩებოდა, არ დაეძებდა ხელის მოწერას. მოაწერა ხელი.

ეხლა თავისუფალია, მხოლოდ ჩამორთმეული ნივთები უნდა მიიღოს უკანვე.

ებრალიძემ ამ პროცედურის დროს ტერ-გრიგორიანის ჯიბის დანა თავის ჯიბეში გაუძახა.

დანარჩენი ნივთები ჩააბარეს ტერ-გრიგორიანს, რომელსაც კრინტი აღარ დაუძრავს, ისე გაექანა კარებისაკენ.

იქავე იყო მილიციელი ლოლუა, რომელმაც შენიშნა, რომ ჯიბის დანა უკან არ მიუღია ტერ-გრიგორიანს. მან გააჩერა მიმავალი ტერ-გრიგორიანი და შეკითხვა მისცა, სად არის მისი ჯიბის დანა.

გამანებეთ თავი, არ მინდა არაფერი, ოღონდ სახლში გამიშვით—უპასუხა ტერ-გრიგორიანმა.

— გამიშვით, ხალხნო და დანას ოთხს მოგიტანთ, არ მინდა არც დანა და არც თქვენი საპატიმრო.

ებრალიძემ კვლავ დასწერა ოქმი, რომელშიაც ტერ-გრიგორიანი ვითომ ლაპარაკობს, რომ მან ნივთები უკლებლად ჩაიბარა.

ტერ-გრიგორიანმა დიდი სიხარულით მოაწერა ხელი ოქმს და მოკრძალებით მადლობა გადაუხადა უფროს მილიციელს ებრალიძეს, რომელმაც ჯიბის დანა „ფეშქაშად" დაიტოვა.

საქმეს მიეცა მსვლელობა და ქურდი მილიციელი პასუხისგებაში არის მიცემული.

ბ.

გაფლანგვა

ამიერკავკასიის საქართველოს ოლქის სასამართლო ამხ. **ბურკაძის** თავმჯდომარეობით შეუდგა მოქ. გიორგი ნიკოლოზისძე **ანტონოვის** საქმის განხილვას.

ანტონოვი იყო „ზაკტპოს" ბორჯომის განყოფილებაში ნოქრად. გასული წლის მარტიდან ამა წლის სექტემბრამდე მან „მოასწრო" 3126 მანეთის გაფლანგვა.

გუშინდელ სხდომაზე დაკითხულმა ბრალდებულმა განაცხადა, რომ, მართალია, დანაკლისი აღნიშნული თანხის რაოდენობით აღმოაჩნდა, მაგრამ ის ალბად გადავაყოლე მუშტრებსო. (საკვირველია, რატომ ყოველთვის გადააყოლა და ერთხელაც არ გადმოაყოლა?).

საქმის გარჩევა გრძელდება. ბრალდებულს იცავს დამცველთა კოლეგიის წევრი ბარათაშვილი.

ტრამვაის გარშემო

(პასუხად ა. ენ—ძეს)

„კომუნისტი"-ს № 225-ში ა. ენ—ძე ბრალს სდებს ტრამვაის დირექციას და აცხადებს:

1) უბედურ შემთხვევების რიცხვი თანდათან მატულობს, 2) რონოდების უწესო და არათანაბარ მოძრაობას ბოლო არ ეღება, 3) მთავარ ხაზებზე არ ინიშნება საკმაოდ გამოცდილი ვატმნები, 4) მუშა რონოდებზე მუშაობენ ფარეხის მუშები, რომლებსაც არა აქვთ არავითარი გამოცდილება რონოდის წაყვანაში, 5) 1 ოქტომბერს მომხდარი უბედური შემთხვევის მიზეზი იყო ის, რომ რონოდას მართავდა ფარეხის მუშა, რომელიც არ იყო კარგად გაცნობილი არც რონოდის მოწყობილობას და არც გზის მდგომარეობას.

ყოველივე ამის საპასუხოდ ვაცხადებ:

1) უბედურ შემთხვევის რიცხვი არ მატულობს, პირიქით თანდათან ისპობა და ეს მას შემდეგ, რაც ამასკომის სავალდებულო დადგენილებების თანახმად აიკრძალა ტრამვაის ლიანდაგებზე ხალხის და გადამზიდ საშუალებათა მიმოსვლა და რონოდების გაჩერების დროს რონოდების გვერდზე გადამზიდ საშუალებათა გავლა, და თუ ხანდისხან კიდევ აქვს ადგილი უბედურ შემთხვევას, ეს მიეწერება მხოლოდ იმას, რომ მრავალი მოქალაქე არ ასრულებს სავალდებულო დადგენილებებს, 2) რონოდების უწესო და არა თანაბარ მოძრაობას ბოლო არ მოეღება მანამდის, სანამ მოქალაქეები არ მოიშლიან: ა) ტრამვაის ლიანდაგებზე მიმოსვლას, ბ) რონოდებში განსაზღვრულზე მეტი ადგილების დაკავებას და ამ ნიადაგზე კონდუქტორებთან დავა-ჩხუბში რონოდების გაცდენას, ვ) რონოდების სრულად გაჩერებამდე ახტომა-ჩამოხტომას, დ) გასაჩერებლებზე და სადგურებზე უხალისოდ, ზანტად, აუჩქარებლად ასვლა-ჩამოსვლაში რონოდების გაცდენას, ე) უბილეთოდ ან გავლილი უბნის ბილეთით მგზავრობას, ვ) ბილეთის შე[illegible]ის დროს ფულის ჯიბეებში უხალისოდ, ზანტად, აუჩქარებლად ძებნაში კონდუქტორების გაცდენას, ზ) სავალდებულო დადგენილებების დამრღვევი მოქალაქეების დაჯარიმების ან წესრიგისკენ მოწოდების დროს კონდუქტორებთან დავა-ჩხუბს, თ) ტრამვაის მოძრაობის შესახებ კონდუქტორებთან და ვატმანებთან დავა-ჩხუბს. 3) ჩვენ დიდი ხანია, მთავარ ხაზებზე ვნიშნავთ მხოლოდ და მხოლოდ ისეთ ვატმანებს, რომლებიც არ იყვნენ შენიშნული: სიმთვრალეში, რონოდების გადამზიდ საშუალებებზე დაჯახებაში, უბედურ შემთხვევების მოხდენაში, დაბნეულად მუშაობაში, რონოდის სწრაფად წაყვანაში, მგზავრებთან ლაპარაკ-ბაასში და სხვ., 4) მუშა რონოდებზე ვამუშავებთ ფარეხის იმ მუშებს, რომლებმაც ისწავლეს რონოდის მართვა და ჩაგვაბარეს სათანადო გამოცდები, და (ა. ენ—ძეს საყურადღებოთ), სამწუხაროდ უბედური შემთხვევები მოხდით ძველ და გამოცდილებს; 5) 1 ოქტომბერს რონოდას მართავდა ზეინკალი, რომელიც მუშაობს 1904 წლიდან. 10 წელიწადზე მეტი მუშაობდა სახელოსნოში რონოდების შეკეთება-გამოშვებაზე და 12 წელიწადი კი მუშაობს ლიანდაგების შეკეთება-დაგებაზე. ამ ხნის განმავლობაში მართავდა-მიმოყავდა მუშა-რონოდა და ზედმიწევნით იცის როგორც რონოდის მოწყობილობა-მართვა, ისე გზის მდგომარეობაც. ხელფასს იღებს დღეში 6-7 მანეთს, იმ დროს, როცა ვატმანების ხელფასი არ აღემატება საშუალოდ 4 მან. 50 კაპ., რაც შეეხება ვატმანების და ფარეხის მუშების ხელფასს, განსხვავება არის, მაგრამ ჩვენ ამით არ ვხელმძღვანელობთ, არამედ ვხელმძღვანელობთ იმით, რომ ფარეხის მუშებმაც შეისწავლონ რონოდის მართვა მუშა რონოდებზე (გამოცდილი ვატმანები ციდან არ ცვივა), რათა საჭიროების დროს მათაც საშუალება მიეცეთ ვატმანათ გადაყვანის და თუ გინდ იმ განსხვავების მიღების, რომელზეც ლაპარაკობს ა. ენ—ძე.

თბილისის ტრამვაის დირექტორი ფარნიევი.

108 მილ. მან. უმუშევართ

წელს ინვალიდების, დროებით შრომის უნარმოკლებულთათვის და უმუშევრებისათვის დასახმარებლად სოციალურ დაზღვევის ცენტრალურმა სამმართველომ გადასდო 77 ნახევარ მილიონი მანეთით მეტი, ვიდრე გასულ 1926—27 საბიუჯეტო წელში.

ვინაიდან საბჭოთა აღმშენებლობა სწრაფი ტემპით მიდის—წელს საბჭოთა კავშირში მოსალოდნელია მუშა-ხელის გაზრდა. გარდა ამისა გადაწყვეტილია გადიდდეს დახმარების მიმღებ პირთა რიცხვი 261 ათასი კაცის რაოდენობით.

ყოველივე ამის გამო, წელს უმუშევრებზე გაიცემა 108 ნახევარი მილიონი მანეთი.

ქუჩებისა და ხიდების

შეკეთება

თბილისის აღმასკომის პრეზიდიუმმა დაამტკიცა კეთილმოწყობის განყოფილების მიერ წარმოდგენილი გეგმა ქალაქის ქუჩებისა და ხიდების შეკეთების შესახებ. გეგმის მიხედვით პირველ რიგში შეკეთებული იქნება პლეხანოვის პროსპექტი მთლიანად, არდანის, ბარისახის, კახეთის, კომუნალური და როსტომოვის ქუჩები. ამას გარდა, გაფართოებული და შეკეთებული იქნება კარლ მარქსის სახელობის ფაბრიკის პირდაპირ მდებარე ხიდი და ორთაჭალის ხიდი. ამასთან ერთად კეთილმოწყობის განყოფილება მიმდინარე წელს გაამაგრებს ვარაზის ხევის ნაპირებს და ამ მიზნით ხევის ორივე მხარეზე ამოიყვანს ქვის კედლებს.

აგრეთვე განზრახულია ქალაქში ვიწრო და მრუდე ქუჩების გაფართოება და გასწორება.

ამ მიზნით კეთილმოწყობის განყოფილება აწყობს საზოგადო სამუშაოებს უმუშევრებისაგან.

ხორცის ბაზარზე

თბილისის ხორცის ბაზარზე შექმნილი მდგომარეობის დეტალურად შესწავლის შემდეგ, ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებული მივიდა იმ დასკვნამდე, რომ კერძო მეყასბეებთან ბრძოლის ერთ-ერთ შემაფერხებელ მიზეზს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ხორცის კოოპერატიული დუქნიდან ნებადართულია ერთ პირზე ხორცის საკმაო რაოდენობის—1 ფუთამდე გაცემა. დილით ადრე, როგორც კი გაიხსნება კოოპერატიული დუქანი, გაჩნდებიან სამიკიტნოებისა, სასადილოებისა და კერძო საყასბოების პატრონები და ფუთობით მიაქვთ ხორცის საუკეთესო ნაჭრები. შემდეგ ისინი ამ ხორცს ჰყიდიან თავიანთ მომხმარებლებზე, რა თქმა უნდა, შედარებით უფრო ძვირად, ვიდრე კოოპერატივი.

ამიტომ ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის რწმუნებულის ვაჭრობის მომწესრიგებელი სამმართველო ამზადებს დადგენილებას, რომლის თანახმად კოოპერატიული დუქნიდან ხორცის გაცემა ერთ პირზე შემცირებული იქნება.

ღვინის მოსავალი

იმერეთში

იმერეთში ყურძნის მოსავალი კარგია. ზესტაფონის რაიონში მოსავალი საშუალოა, სვირის და ბაღდათის რაიონებში საშუალოზე მეტი. ხარაგოულის რაიონში ვენახები დააზარალა სეტყვამ. ვაქევის სახალხო მამულში წელს მოსავალი 500 ფუთით უფრო მეტია შარშანდელთან. ამ მამულის ყურძნისაგან სპეციალურად ამზადებენ შამპანიურს.

ყურძნის კრეფა თითქმის მოთავებულია. ვარციხის სახალხო მამულები თითქმის აწარმოებენ შესყიდვას გლეხებისაგან. ამ მამულებში ღვინის დამზადება სწარმოებს მექანიკურად.

გურიასა და სამეგრელოში

დიდი წვიმებისა და ნიაღვრების გამო ყურძნის მოსავალი გურიასა და სამეგრელოში საშუალოა. ამას გარდა ზოგ რაიონებში ვენახები დააზარალა სოკომ. „იზაბელა"-ს ჯიშის ვენახები დააზარალა განსაკუთრებით ძლიერმა ქარებმა. ყურძნის კრეფა ჯერ არ არის დაწყებული.

ბიბლიოგრაფია

„განათლების მუშაკი" № 1

პედაგოგიურ - პროფესიონალური ორკვირეული ჟურნალი

გამოცემა საქ. გან. მუშაკთა კავშირისა, გვ. 54, ფასი 40 კაპ. თბილისი—1927

საკმაო ხანის შეჩერების შემდეგ, განახლდა განათლების მუშაკთა კავშირის საკუთარი ბეჭდვითი ორგანოს გამოცემა. ჟურნალის საერთო მიზნები და ის შინაარსი, რომელსაც ჟურნალის პირველი ნომერი შეიცავს, შორდება ვიწრო პროფესიონალურ ჯგუფს და მას ყველა კულტურულ მკითხველის გასაცნობ საგნად ხდის.

გარდა პროფესიონალურ ხასიათის წერილებისა, რომელნიც უმთავრესად აშუქებენ, კავშირის მუშაობას თავიანთ წევრების სასარგებლოთ, ადგილკომების მუშაობას და ბიბლიოთეკართა მუშაობისა და მათი მდგომარეობის საკითხებს, ჟურნალი მოწინავე წერილებს უთმობს მომენტის აქტუალურ საკითხებს: თავდაცვის საქმე, შექმნილ გართულებასთან და საომარი ტეხნიკის და სამხედრო საქმის მექანიზაციასთან დაკავშირებით, ქვეყნის საკუთარი საწარმოო ძალების განვითარებისათვის ინდუსტრიალური სესხის განაღდების საკითხს და მომავალი დღესასწაულის ჩასატარებლად წინასწარ სამზადისს.

შემდეგ ჟურნალში ყურადღებას იპყრობს შემდეგი წერილები: ს. აბულაძე—„ქართული მართლწერისა და დამწერლობის შესახებ", ვ. ხუროძე—„მშობლიური ლიტერატურისა და ენის სწავლების საკითხები", დ. ყიფშიძე—„საზოგადოებათმეცნიერება სკოლაში", ნ. მექვაბიშვილი—„სკოლის საზოგადოებრივ-სასარგებლო მუშაობა". ს. აბულაძეს პატარა წერილში დასმულია მტკიცედ საკითხი ქართული მართლწერისა და დამწერლობის (ხელის) შესახებ, ეს [illegible] საკითხია (განსაკუთრებით უკანასკნელი), რომელსაც დიდი ხნის ისტორია აქვს, მაგრამ ყველაზე ნაკლებ ხასიათდება თავისი მიღწევებით.

მტკიცე, სტაბილურ ქართული მართლწერის გამომუშავების ნაცვლად, რომელიც საგანგებო ინსტიტუტების, კონფერენციების და მრავალ მკვლევართა იდეალს შეადგენდა, ელემენტარული მართლწერის გარკვეული წესები ჯერაც არ არის გამომუშავებული, რომლის სწავლებაც შეიძლებოდეს დამწყებ ბავშთათვის. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკანასკნელად კვლავ გაცხოველებული ინტერესით, ოდნავად მაინც წასწევს წინ საკითხს და ჩვენ რაიმე რეალური მიღწევები გვექნება.

ამავე საკითხს ეხება ვ. ხუროძე, რომელიც აღიარებს საერთოდ როგორც ქართული ენის, ისე ლიტერატურის სწავლების სისუსტეს დღევანდელ სკოლებში და მის მიზეზებს ასახელებს. ავტორი ფიქრობს, ეს საკითხი უფრო დაწვრილებით გააშუქოს ჟურნალის შემდეგ ნომერში. საზოგადოებათა მეცნიერების სწავლის შესახებ ჩვენს სკოლებში ავტორი პირველ წერილში არკვევს იმ მიზეზებს, რომლის გამო საზოგადოთ მეცნიერება ძველად სკოლებიდან განდევნილი იყო, ახალ სკოლებში კი სასწავლო საგანთა შორის მთავარ ადგილს აღნიშნული მეცნიერება უნდა იჭერდეს, რათა ბავშს გაუადვილდეს იმ საზოგადოების სტრუქტურის შეცნობა, რომლის მშენებელი თვითონ არის.

ჟურნალში ყურადღებას იპყრობს პროფესორ **გრიგოლ წერეთელის** საგანგებოთ ამ ჟურნალისათვის დაწერილი ავტობიოგრაფიული შენიშვნები, რომელშიაც ის იძლევა თავისი მეცნიერული მუშაობის მდიდარ ცნობებს და იმ დამსახურებას, რომელიც მას მეცნიერების წინაშე მიუძღვის. ავტობიოგრაფია მეტად მდიდარია და ინტერესით იკითხება.

შემდეგ ჟურნალში აღსანიშნავია შენიშვნა ჰანრი ბარბიუსის საქართველოში ჩამოსვლის გამო, ბიბლიოგრაფიული შენიშვნები, ქრონიკა და იუმორი.

ჟურნალს აქვს დეფექტები: ზოგიერთი წერილების შერჩევისა და დალაგების მხრივ. ჟურნალში არ არის ჩვეულებრივათ მიღებული პირველი ნომრისთვის სარედაქციო წერილი. გაურკვეველია ცალკე განყოფილებები. სარჩევი დამახინჯებულად არის შედგენილი. სუსტია რედაქცია; ერთი წერილი მეტად დამძიმებულია უცხო ციტატებით. ჟურნალზე არ აწერია, თუ რომელი თვისაა.

ჟურნალი აუცილებლად უნდა გაუმჯობესდეს და რაც მთავარია, მოხდეს მასალის რიგიანი დალაგება და შერჩევა.

სასურველია, ამ ჟურნალის გავრცელება კარგად მოეწყოს, იმ ფართო წრეებში, რომლისთვისაც იგი არის დანიშნული.

ვ. ზ.

ახალი გზატკეცილები

ჯავა-როკის გზა

მუშაობა ჯავა-როკის გზატკეცილის გასაყვანად, რომელიც საზაფხულო სამუშაო სეზონის გამო შეწყვეტილი იყო, 20 სექტემბრიდან ისევ განახლდა. სამუშაოდ საგზაო ბეგარის წესით გამოწვეულნი არიან იმ რაიონის გლეხები, სადაც ამჟამად გზატკეცილი გაჰყავთ. ჯავა-როკის გზატკეცილის გასაყვანად მუშაობა გაგრძელდება დაჩქარებითი წესით.

ცხინვალ-ჯავას გზა

ცხინვალ-ჯავას გზატკეცილის მე-18 ვერსზე დამთავრდა მუშაობა ახალი ხიდის ასაგებად. ხიდი აგებულია ხის მასალისაგან და დადგმულია ქვითკირის ბურჯებზე. ხიდის სიგრძე უდრის 14 მეტრს. მისვლა-მოსვლა ამ ხიდის საშუალებით უკვე სწარმოებს მიმდინარე თვის პირველი რიცხვებიდან.

მეფუტკრეობა

სენაკის მაზრაში დიდი ჭყონის რაიონში დაარსდა მეფუტკრე გლეხების კოოპერატიული ამხ-ბა „ფუტკარი". ამხ-ბაში ამჟამად ირიცხება 47 წევრი.

წევრად ჩაწერის დროს იმ გლეხს, რომელსაც ყავდა 10 ოჯახი ფუტკარი, ერთი ოჯახი გადასცა ამხ-ბას, ხოლო ვისაც 10 მეტი ყავდა, ამხ-ბას გადასცა 2 ოჯახი ფუტკარი. ამ გზით ამხ-ბამ შეაგროვა 65 ოჯახი ფუტკარი.

ამხ-ბის მოსაწყობად თბილისიდან გაგზავნილი იყო აგრონომი ამხ. ბერუჩავა.

სოფლის კავშირმა გადასწყვიტა აღნიშნულ ამხ-ბისათვის ხელმძღვანელობის გასაწევად მიავლინოს ერთი ინსტრუქტორი.

რკინისგზაზე

მატარებლების დაგვიანების წინააღმდეგ

უკანასკნელ ხანებში ამ.-კავკ. რკინის გზებზე ადგილი აქვს სახალხო მატარებლების სისტემატიურ დაგვიანებას.

ამჟამად გზების მოძრაობის განყოფილება დაწვრილებით იკვლევს და ისწავლის ყველა იმ ზომებს, რომლებიც იწვევენ მატარებლების გაჩერებას სადგურზე და ხაზზე.

ირკვევა, რომ მატარებლების დაგვიანებაში ბრალი მიუძღვით მოძრაობასთან დაკავშირებულ გზის აგენტებს.

რათა საბოლოოდ მოეღოს ბოლო ასეთ მოვლენებს და მატარებლების მიმოსვლა მოწესრიგებულ იქნეს მოძრაობის განრიგების მიხედვით, იმ გამოუსწორებელ აგენტების წინააღმდეგ, რომლებიც შემჩნეული არიან მატარებლების სისტემატიურ დაგვიანებაში, მიღებულია მთელი რიგი ზომები. გათვალისწინებულია ზოგი მათგანის სრულიად მოხსნა სამსახურიდან.

გაფრთხილება მოლარეებს

სადგ. ძირულის ბილეთების გამყიდველი მოლარე **ჩიმაკაძე** ბილეთების გაცემის დროს სისტემატიურად ართმევდა მგზავრებს ზედმეტ ფულებს.

ამის გამო გზის გამგეობამ მას გამოუცხადა საყვედური გაფრთხილებით — სამსახურიდან დათხოვნის შესახებ.

ანალოგიური სასჯელი მიესაჯა სადგ. ნავთლუღის საბარგო მოლარეს გეტაშვილს, რომელიც აყოვნებდა მიღებულ საქონლის დუბლიკატების მიცემას ტვირთის გამგზავნელთათვის.

შრომის კოლექტივები

ამიერ-კავკასიის შრომის სახალხო კომისარიატმა მოახდინა შრომის კოლექტივების მუშაობის გამოკვლევა თბილისში, ბაქოში და ერევანში.

გამოკვლევის დროს გამოირკვა, რომ შრომის კოლექტივების მუშაობა არ არის დამაკმაყოფილებელი. შრომის კოლექტივები დაარსებული არიან უგეგმოთ, შრომის ბაზრის გაუთვალისწინებლად. ამას გარდა კოლექტივები ვერ დგებიან თავიანთ მოწოდების სიმაღლეზე, რის გამო მარტო თბილისში ა. კ. შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით დაიხურა 9 კოლექტივი. ამ კოლექტივებმა იზარალეს 60.000 მანეთი.

გამოკვლევის შემდეგ შრომის კომისარიატმა გამოიმუშავა ღონისძიებები, შრომის კოლექტივების მუშაობის გასაჯანსაღებლად. ამ მიზნით ა. კ. შრომის კომ. დაევალა შეადგინონ შრომის კოლექტივების დაარსებისა და მათი მოწყობის მტკიცე გეგმები. შრომის კოლექტივები უნდა არსდებოდეს უმუშევარ შავი მუშებისაგან და გონებრივ მუშებისაგან.

ჭადრაკი

რკინისგზელებს შორის

კვირას, 9 ოქტომბერს ამხ. ორჯონიკიძის სახელობის კლუბში შესდგა რკ. გზის თბილისის მუშა - მოსამსახურეების შორის საჭადრაკო შეჯიბრი პირველობაზე.

შეჯიბრში მონაწილეობა მიიღო 14 კაცმა მე-3 ტურის გათამაშება მოხდება ოთხშაბათს საღამოს 7 საათზე ამავე კლუბში.

რკ.-გზელ ქალთა შეჯიბრი

რკ.-გზელ ქალთა შეჯიბრზე მონაწილეობას მისაღებათ, გარდა წინეთ ჩაწერილებისა — ახლათ ჩაეწერენ შემდეგნი:

შუბლაძე, გიგაურინ, ლომინაძე, შატირაშვილი, ბუზარიაშვილი, ამირხანოვა და პეტროვა.

ნარევი

ახალი უდიდესი საოკეანო გემი

ამ რამდენიმე ხნის წინად საფრანგეთში დასრულეს უდიდესი საფოსტო - სამგზავრო გემ „ილდე - ფრანს"-ის აგება. ეს გემი რეგულიარულად ივლის გავრსა და ნიუ - იორკს შორის.

მისი სიგრძე უდრის 240 მეტრს, განი 28 მეტრს, წყალწყვა — 42.000 ტონას, მანქანების სიმძლავრე — 52.000 ცხ. ძალას, სისწრაფე 80 ვერსს. გემი იტევს 1.644 მგზავრს, მოწყობილია ტეხნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით.

უცნაური მწერი

მიდდელბაერგის (ინგლისი) რაიონში გამოჩნდა მწერი, რომელიც გარეგნულად კოღოს წააგავს. დღემდი ეს მწერი სრულიად უცნობი იყო მეცნიერებისათვის და ისინი კატეგორიულად უარყოფენ, რომ ის ეკუთვნის კოღოების ოჯახს. ექიმებს ჯერ კიდევ არ უპოვიათ საშუალება დიდი მტკივანი სიმსივნის წინააღმდეგ, რომელსაც იწვევს ამ მწერის კბენა.

მიმოსვლა უდაბნოში

ეგვიპტის მთავრობამ ერთ დიდ ამერიკელ ფირმას მისცა კონცესია რეგულიარულ სატრანსპორტო მიმოსვლის მოსაწყობად ლივიის უდაბნოში. დღემდი ამ უდაბნოში დადიოდენ მხოლოდ ახალი გზების მაძიებელთა ავტომობილები.

ლივიის უდაბნო მდებარეობს ჩრდილოეთ-დასავლეთ აფრიკაში და წარმოადგენს საჰარის ცნობილ უდაბნოს გაგრძელებას.

რამდენს სჭამენ ბავშვები

ერთმა ფრანგმა ექიმმა სხვადასხვა ოჯახის ორმეტ ბავშვზე (4-დან 15 წლის ჰასაკამდე) გამოარკვია წონა იმ საჭმელის, რომლებსაც ისინი სჭამდენ. აღმოჩნდა, რომ თავის წონასთან შეფარდებით ბავშვები ორჯერ მეტ საჭმელს ჭამენ, ვიდრე დიდები.

ახალი სისტემის როიალი

ინგლისელმა კომპოზიტორმა **მურმა** გამოიგონა როიალი ორმაგი კლავიატურით. ზემო კლავიატურას ერთი ოქტავით უფრო მაღალი რეგისტრი აქვს, ვიდრე ქვემო კლავიატურას. დაკვრის დროს კლავიატურების შეერთება ძლიერ აადვილებს დაკვრის ტეხნიკას.

პასუხი მოქ. სერგო ამაღლობელს

(წერილი რედაქციის მიმართ)

მოქ. რედაქტორო! გთხოვთ ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთში ამ პატარა შენიშვნას.

მოქ. ს. ამაღლობელს ძლიერ აინტერესებს, რატომ მე არა ვარ პასუხისგებაში მიცემული, ვითომდა ჩემი ბოროტმოქმედებისათვის, ხოლო თუ მე გამართლებულ ვარ, რატომ ის თითონ არ მივეცი პასუხისგებაში.

ძლიერ ბევრი ადგილი დამჭირდებოდა იმის მოსათხრობად, თუ რამდენი ენერგია დახარჯეს ზოგიერთმა პირებმა, რომ როგორმე ჩემთვის ჩირქი მოეცხოთ, მაგრამ ვერც მუშათა და გლეხთა ინსპექცია, ვერც სისხლის სამართლის მილიცია, ვერც პროკურატურა და ვერც სასამართლო შეცდომაში ვერ შეიყვანეს. სამწუხაროდ მოქ. სერგო ამაღლობელიც აჰყვა ამ პირებს, მაგრამ, ვერც მისმა ცდამ გასჭრა და ბოროტმოქმედათ ვერ გამომიყვანეს.

საბოლოოდ, 1927 წლის მაისის 9-ს მეორე უბნის სახალხო სასამართლომ იქონია მსჯელობა ჩემი საქმის შესახებ, [illegible] „ქალაქის ბაღის" [illegible] სწორედ და საქმე გამწესრიგებელ სხდომაზედვე შესდა.

რაც შეეხება მოქ. ს. ამაღლობელს, 1927 წ. მარტის 28-ს „ქალაქის ბაღის" გამგეობის და სარევიზიო კომისიის შეერთებულმა სხდომამ დაადგინა იგი პასუხისგებაში მისცეს და სათანადო განცხადებაც შეტანილია. მეც ჩემის მხრით აღვძარი საჩივარი ს. ამაღლობელის წინააღმდეგ. სამწუხაროდ, სასამართლომ აქამდე არ დანიშნა ეს საქმე და არც მე მითხოვნია დაჩქარება, რადგანაც არც დრო და არც სურვილი არ მქონია დღე და ღამ ვიფიქრო და ვირბინო ამ საქმეზე. მაგრამ, რადგანაც მოქ. ამაღლობელს მოთმინება არ ყოფნის, იძულებული ვარ ვსთხოვო მეორე უბნის სასამართლოს დააჩქაროს მისი საქმე.

კ. მაღიჩ.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქართველოს კომ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის არსრაიკომის საგ.-საპროპ. განყოფილება სამშაბათს 11 ოქტომბერს საღამოს 7 სათზე რაიკომის შენობაში იწვევს მეორე **ჯგუფის პარტსკოლების ხელმძღვანელთა თათბირს.**

მე-2-ე რაიონის ხელმძღვანელთა დასწრება აუცილებელია.

საქართველოს კომ. პ. (ბ) არსრაიკომის მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება იუწყება, რომ სამშაბათს 11 ოქტომბერს 1927 წ. საღამოს 5 ნახ. საათზე ც. მ. კ. შენობაში შესდგება **ახალი მოწვევის ქალთა ხადელეგატო კრება.**

ყველა დელეგატების და ქალთა ორგანიზატორების დასწრება დაუგვიანებლად სავალდებულოა.

სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომუჯრედთა ბიურო იუწყება, რომ 12 ოქტომბერს (ოთხშაბათს) დილის 9 საათზე, მოწვეულია **ბიუროს სხდომა.**

ბიუროს წევრთა და კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა.

საქართველოს რემედასის ცეკა იტყობინება, რომ დღეს, 11 ოქტომბერს საღამოს 5 საათზე დანიშნულია **რემედასის ცეკას პრეზიდიუმის კომფრაქციის სხდომა** და 6 საათზე კი შესდგება პრეზიდიუმის მორიგი სხდომა.

დასწრება ყველა წევრთათვის სავალდებულოა.

ს. კ. პ. ლენინის რაიონის მე-8-ე პარტკონფერენცია იწვევა 13 ოქტომბერს ა. წ. საღამოს 5 საათზე **კალხანოვის სახელობის კლუბის შენობაში.**

—ს. კ. პ. ლენრაიკომი

სამშაბათს 11 ოქტომბერს საღამოს 6 საათზე პროფკავშირთა საბჭოს მცირე დარბაზში შესდგება ქალაქის და სოფლის კავშირის საზოგადოების ქალაქის საბჭოს გაფართოებული პლენუმი ქალ. და სოფ. კავშირის საზოგადოების უჯრედთა ბიუროების, სარევიზიო კომისიების და საშეფო აქტივის მონაწილეობით.

ყველა ზემოაღნიშნულების დასწრება სავალდებულოა.

პრეზიდიუმი.

სახ. უნივერსიტეტის ამხ. მიხა კახიანის სახელობის მუშფაკის ახ. ლ. კ. კ. ბიურო კოლექტივი აცხადებს, რომ 11 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზე, მოწვეულია ბიურო-კოლექტივის გაფართოებული სხდომა აქტივთან ერთად. სავალდებულოა აგრეთვე დასწრება ყველა იმ ამხანაგების, რომლებიც გამოყოფილი არიან კურს-უჯრედების მიერ სხვადასხვა კომისიებში.

ს. ა. ლ. კ. კ. ცეკას საკონფლიქტო კომისია წინადადებას აძლევს ამხ. კირილე ჯანაშვილს გამოცხადდეს ოთხშაბათს, 12 ოქტომბერს დილის 10 საათზე საკონფ. კომისიაში (რუსთაველის გამზირი № 20).

სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის პრეზიდიუმი მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას, რომ ოქტომბრის 9, ქ. თბილისში გარდაიცვალა კავშირის წევრი მხცოვანი მწერალი

ილია ქუონია

დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. 106

ღრმად დამწუხრებული გრიგოლ დიმიტრის-ძე წერეთელი, მეუღლით და ქალიშვილით, სიმონ დიმიტრის-ძე წერეთელი მეუღლით და ვაჟიშვილებით, ალექსანდრე დიმიტრის-ძე წერეთელი მეუღლით და ვაჟიშვილებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, ძვირფასი და საყვარელი რძლის და ბიცოლის

ეკატერინე ნიკოლოზის ასული წერეთლის

უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება ვერის წმ. ნიკოლოზის ეკლესიიდან, ვერის ახალ სასაფლაოზე, დღეს, 11 ოქტომბერს, ნაშუადღევის 4 საათ. 103

ანონსი
მალე
თავისი გრანდიოზული დადგმით
იშვიათი კინო-ფილმა
პოეტი და მეფე
„პოეტი და მეფე" არაჩვეულებრივი წარმატებით მიდის
ერთდროულად რუსეთის 68 კინო-თეატრში
1-1 ნ.

აპოლლო
არფასტო
სოლეი
დარბაზი
0—8 ნ. 1388

მეორე კვირა
„ამოკი" სტეფან ცვეიგისრომან. მიხედვით დადგმა კ. მარჯანიშვილის
პირველად თბილისში! ამერიკის კინო-წარმ. ახალი სურათი
„ვიქტორიის დალუპვა"
მთავარ როლში ამერიკის ცნობილი ისახიობი ქალი ბეტტი კომპსონი
შენიშვნა: ადგილები პარტერში დანომრილია
„მეჟრაბპომ-რუს"-ის იშვიათი სურათი
„კაცი რესტორანიდან"
დადგმა ი. ა. პროტაზანოვის
შენიშვნა: ადგილები პარტერში დანომრილია
ამერიკის ცნობილი მსახიობი ქალი
რუფ როლლანდი სურათში
„მზის [illegible]" 1 და 2 სერია ერთად

„მეჟრაბპომ-რუს"-ის სურათი
დღეს და ყოველდღე
მინიონი, სოლეი, პალასი
კაცი რესტორანიდან
დადგმა: ი. ა. პროტაზანოვის
მთ. როლებში: დამსახ. მსახიობი მ. ა. ჩეხოვი, ვ. ს. მალინოვსკაია, კოვალ-სამბორსკი.
ნ. 38

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი
ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება: 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორანოვის ქ., № 20 1—25

ექიმი
გ. ნ. ონანოვი
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი, სქესობრივი სისუსტის ექიმობა
ავდმყოფების მიღება დილით 9 საათიდან 12 საათამდე, საღამოთ 5—8 ს-დე. ქალების 7—8 ს-დე. ელისაბედის ქუჩა, № 3. 25—

ექიმი
ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიულ და კანის სნეულება.
მიღება 8—12 დილ. 7—9 საღამ. პლეხანოვის პრ. № 116. სასტუმრო „ნოე"-ს პირდაპირ 25—1

მედიც. დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ვენერიული და სიფილისი.
დილ. 9—12, საღ. 6—8. პლეხანოვი პროსპექტი № 7, კ. მარქსის ძეგლთან, შესავალი ამ სახლის კუთხიდან.
5—2

დღეს,
სასტუმრო „ორიანტთან"
გაიხსნება მუშკოოპის
რესტორანი სასადილო
საუზმე—დილ. 8 საათ., სადილი—დღ. 2-დან 5 საათამდე, ვახშამი—საღ. 8 ს. ღამის 2 საათამდე.
მზადდება სხვადასხვა სადილები. ხელმისაწვდომი ფასი. სამზარეულოს და რესტორანს მუდმივ ზედამხედველობს ექიმი—ჰიგიენისტი.
რესტორანში—სიმებიანი ორკესტრი სტუპპელის ხელმძღვანელობით. ნ. 42

ქ. ქუთაისსა
და მის რაიონში
გაზ. „კომუნისტ"-ზე
ხელის მოწერა და ყოველგვარ განცხადებათა მიღებას
აწარმოებს მხოლოდ კონტრაგენტი
მინა ტყაბლაძე
„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა
3—1

ქ. ხონსა
და მის რაიონში
გაც. „კომუნისტ"-ზე
და ჟურ. „ახალ გზა"-ზე
ხელის მოწერას და განცხადებების მიღებას აწარმოებს მხოლოდ
რწმუნებული
მიტროფანე გოლდავაძე
„კომუნისტი"-ს მთავარი კანტორა
3—1

ქ. ხაშურში
საჭიროა
გამოცდილი
კონტრაგენტი
გაზეთ „კომუნისტი"-ს
და „ახალი გზის"
გასავრცელებლად.
3—2

საქ. და სავაჭრო მუშაკების პროფკავშირის პირველი საანგარიშო მეცნიერებთა
კურსები
აცხადებს, რომ მსმენელთა მიღება გრძელდება. ყოველგვარი ცნობების გაგება შეიძლება აღნიშნულ კავშირის კულტ-განყოფილებაში, ოთახი № 88. დღის 12—2 საათამდე და საღამოთი 5—8 საათამდე, კურსების ბინაზე. დიდი ვანქის ქუჩა № 12, შრომის სკოლა № 101.
93 2—1

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გ. კ. ჯინჭველაშვილი
ამით აცხადებს, რომ ის 13 ოქტომბერს 1927 წლ. დღის 1 საათზე სახლში № 1 ნეკრასოვის ქ. **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. ალექსანდრე ხანდაზიანის მოძრავ ქონებას: ბუფეტის შკაპს, სკამებს, მაგიდებს, საყინულეს, დანა-ჩანგლებს, ჰურჭლებს, სპილენძის ქვაბებს, დივანს და სხვას, შეფასებულს 230 მანეთად სახალხო კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქალ. თბილისის შრომის სახალხო სამართლოსაგან 15 მაისს 1927 წ. თარიღით № 1612 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. ნ. 35

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
გრ. ა. დანელია
ამით აცხადებს, რომ ის 14 ოქტომბერს 1927 წ. დღის 1 საათზე, სახლში № 5 ლენინის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის სერგო კახიტელიძის მოძრავ ქონებას: სპილენძის ქვაბებს, სახ. და სხ. ფირმის ღვინოს, ფრაკის დანა-ჩანგლებს და სხვ., შეფასებულს 314 მანეთად, 50 კაპ. სახ. კვების კავშ. ვალის დასაკმაყოფილებლად, თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 6 სექტ. და 7 ოქტ. წლ. №№ 3246 და 3475 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლებისა. ნ. 36

ქუთაისის მე-2 უბნის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ვლ. კანდელაკი
ამით აცხადებს, რომ 17 ოქტომბერს 1927 წ. ნაშუადღევის 2 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში პუშკინის ქუჩის მე-2 შესახვევში დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება: გარდაცვალებულის ალექსი ბეჟანს-ძე დეისაძის მემკვიდრის ხადიალექსის ასულის თარხნიშვილის ერთ სართულიანი შერეული ქვიტკირის, აგურის და ხის სახლი № 2 დახურული კრამიტით, აგებული საეზოვე ნაკვეთ მიწაზე, ზომით დაახლოვებით 60 კვად. საჟ. იოსებ გრინტალის და ალექსანდრე არენშილდის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 430 მანეთ. საიდანა დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხ. სამ. საპ. კოდ. საწინდარი 10%. ნ. 37

ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი
ამით აცხადებს, რომ მისს ფართლის სავაჭროს, ა. წ. 1-ლ აგვისტოდან
ლიკვიდაცია ეყო
ნ. 37 2—1. ქუთაისის აღმასრულებელი კომიტეტი.

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი
ამით აცხადებს, რომ 17 ოქტომბერს 1927 წელს დღის 12 საათზე ადგილობ ქ. ქუთაისში ჩოგოვაძის ქუჩაზე დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება მარკოზ ეფრემის-ძე ტყეშელაშვილის ხის ორთვალი სახლი № 85 აგებული საეზოვე მიწაზე ზომით 500 კვად. საჟენი ეკატერინე კუტივაძის ვალის დასაკმაყოფილებლად. სახლი დაფასებულია 100 მან., საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს საჯარო ვაჭრობაში უნდა წარმოადგინოს ცნობა აღნიშნული 311 და 312 მუხლ. სამ. საპ. კოდ. და საწინდარი 10% ნ. 37

ქუთაისის მე-2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
ვლ. კანდელაკი
ამით აცხადებს, რომ 21 ოქტომბერს 1927 წ. დილის 11 საათზე ადგილობ სოფ. ოფიშკვითში ქუთ. მაზრა დანიშნულია **საჯარო ვაჭრობა** გაიყიდება ანა იორამის ასულის იოლკინას უფლება 1/6 ნაწილზე ორი თვალი წისქვილისა და ხის ერთი თვალი შენობისა დახურული კრამიტით, აგებული მდინარე რიონის გაყვანილ ნაჭყვეტზე, ანდრო ქაჯაიას ვალის დასაკმაყოფილებლად, დაფასებულია 100 მანეთ. საიდანაც დაიწყება საჯარო ვაჭრობა. ცნობების მიღება შეიძლება ჩემთან სასამართლოში. ნ. 37

ექიმი **ჯალალოვი**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფობის მიღება
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფობანი, შეშხაპუნება „914". ტრიპერისა და მისი შედეგების წამლობა.
ავადმყოფ. მიღება დილ. 8—9—საათამდე საღამოს 5—8 საათამდე. ქალების მიღება 2—3 საათ მისამართი კამოს ქუჩა, № 19 (ყოფ. დიდი მთავრის ქ.), ყოფ. ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. 25 | 1

ექიმი **კ. ს. ფონ-ირტელი**
საშარდე, სასქესო, ვენერ., სიფილისი, კანის და ქირურგ. ავადმყოფობანი
(სიმსივნე, ბუასილი, სქესობრ. უძლურება, სიფილისი და ტრიპერი და მათი შედეგები) სპეციალისტი.
ელექტრო მკურნალობა და ოპერაცია. ავადმყოფების მიღება დილის 7 ს-დან 11 ს-მდე, საღამოს 5—7 ს-მდე. ქალების მიღება დილის 11 ს-დან 1 ს. პლეხანოვის პრ. № 10, მარქსის ძეგლის ახლო, (ყოფ. ვორონცოვის) 3645—18—1

თმის მკურნალობა
და
სამკურნალო კოსმეტიკა
ელექტრო-სინათლით მკურნალობის კაბინეტი.
ი. გ. კანტოროვიჩი
მიღება 11-დან 3-დე და 6-დან 8-დე
კოსმეტიური მასაჟი და პირის სახის მკურნალობა უცხოეთის უახლეს მეთოდებით.
საბა-სულხანის ქ. ყოფ. ფრეილინის. 1—25

ექიმი **ი. ი. გერიშვილი**
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა
დილით 9—1 საათ., საღამოს 5—8 ს. ქალებისთვის ცალკე შესავალი. სასტუმრო „ევროპას" (ყოფ. „ნოეს" პირდაპირ „ჩოდრიშვილის" შესახვევი ყოფ. პლეხანოვის შესახვევი) № 8

სათვალეების მორგება
უფასოდ



ექიმ სპეციალისტის მიერ „სახმეცვაჭრობის" ოპტიკურ განყოფილებაში დღის 1—5-დე. პლეხანოვის გამზირი № 106 (ყოფ. მიხეილის პროსპექტი) ტელ. 3—63. 25—1

ექიმი **მ. ო. ზანდუკელი**
დაბრუნდა და დაიწყო ავადმყ.
მიღება
შინაგან და ნერვიულ ავადმყ. ელექტრონით და სინათლით მკურნალობა
ავადმყ. მიღება ახალი მისამართით ლენინის ქუჩა (ოლღას ქ.) № 11 საღ. 7—8 საათ.
ტელ. 4—82 25—

ექიმი
ი. პ. მჭედლიშვილი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. **შინაგანი სნეულებანი.** სპეციალურად **კუჭის და ნაწლავების** სნეულებათა გამოკვლევა და მათი მკურნალობა. ღებულობს 5—6 ს სანაპირო ქუჩა (ყოფ. ნაბერეჟნაია) № 7—ვერის ხიდთან. ტელ. № 15—02

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მონსე
განაახლა ავადმყოფების მიღება ყოველ დღე 10—1 საათამდე და საღ 6—7 საათამდე
როგორც მოზრდილთა, ისე ბავშვთა შინაგანი ორგანოებისა და ნერვიული სისტემის ავადმყოფობათა მკურნალობა. გიპნოზი.
კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქუჩა № 17, ზემო სართული. 25—

ხელოვნურ კბილების
მომზადება და ჩასმა (კაუჩუკზე და ოქროზე) შეღავათიან ფასებში სწარმოებს სტომატოლოგიურ კლინიკასთან არსებულ კბილის ტეხნიკოსთა კურსებზე—პლეხანოვის გამზირი № 126 ავადმყოფობის მიღება სწარმოებს სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით საღამოს 4—6 საათამდე. 25—1

დაკარგა განათლების კავშირის წიგნაკი № 15173 და ქართულ მთიელთა საზოგ. დოების წიგნაკი № 83 მიხეილ ოჩიაურის სახელზე, ჩ. გ. 98

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი და პასპორტი თომა გორდეზიანის სახელზე, ჩ. გ. 99

დაკარგა სამხედრო აღრიცხვის ბარათი ფორმა № 4 მირიან თოდრიას სახელზე, ჩ. გ. 97

დაკარგა დამზღვევ სალაროს წიგნაკი № 75 ს. მაჩხულიას სახელზე, ჩ. გ. 105

დაკარგა კავშირის წიგნაკი № [illegible]074 კონსტანტინე კვირიკაძის სახელზე, ჩ. გ. 101

დაკარგა მუშკოოპის საწევრო წიგნაკი № 10130 თეოფილე ქაჯაიას სახელზე, ჩ. გ. 104

დაკარგა საწევრო წიგნაკი № 23564 გაცემული გორის მაზრის საბ. მუშაკთა კავშირის მიერ ალექსი პეტრესძე ალღუზაშვილის სახელზე, ჩ. გ. 100

დაკარგა მეტრიკული მოწმობა მარიამ ივანეს ასული ხურცილავას სახელზე, ჩ. გ. ნ. 37

დაკარგა საპენსიო წიგნაკი № 3370 მახარამ [illegible] ტოპალიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 37

დაკარგა პირადობის მოწმობა და სამხედრო აღრიცხვის წიგნაკი პავლე ვასილისძე ჩერნოვის სახელზე ნ. 37

დაკარგა ცხრ. წლედის მოწმობა № 457 დავით ერმილესძე ფანჩულიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 37

დაკარგა გიორგი არტემისძე ალიხანოვის ღვინის სარდაფის კუპონის წიგნაკი გაცემული არამრეწველ [illegible] გადასახადთა ქ. განყოფილების მიერ 8 მარტს 1927 წ. № 226 რეგი ტრაც. № № 4781—4800 ჩაითვ. გაუქმ. 102

დაკარგა ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის საწევრო წიგნაკი № 5606. ბესარიონ კობახიძის სახელზე, ჩ. გ. ნ. 40

დაკარგა [illegible] კავშირის წიგნაკი № 173968 დავით თოხაძეს სახელზე, ჩ. გ. 105

[illegible] სტამბა, კამოს ქ. [illegible]